პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

19 სექტემბერი **ორშაბათი** 2011

№220 (13517) ფასი 80 თეთრი

ბესიკ ჯანგავაძე დანიდინიდან

lariwin.com the better way to play

მეტი, ვიდრე თამაში

რეპორტაჟების სპონსორია ონლაინ კაზინო „ლარივინი“

როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

# ტერიტორია ჩვენი, ბურთი ჩვენი, გამარჯვება?

IRB RUGBY WORLD CUP 2011

10-11






ეროვნული ბიბლიოთეკა

18

# აქაც ესპანეთი!




5

# ჭანტურიას და კაშიას სუპერგოლები



9

# ასიანი იუნაიტედი

დღევანდელი ლელო 20-გვერდიანია



გიორგი ჭედია (ბურთით) და დავით გამეზარდაშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# შესაშური სტაბილურობა

17.09.რუსთავი. ფოლადი.
1 500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| მეტალურგი | 2 |
| ტორპედო | 0 |

1:0 ტატანაშვილი (32), 2:0 ტატანაშვილი (61)

| მეტალურგი 4-4-1-1 | ტორპედო 4-2-3-1 |
|---|---|
| ბედიაშვილი | მიგინეიშვილი |
| სეთურიძე | ფოფხაძე |
| ა. კვახაძე | გამეზარდაშვილი |
| გ. კვარაცხელია | ფარულავა |
| ჯაფარიძე | ჩიკვილაძე |
| რაზმაძე | გ. დათუნაიშვილი |
| ქავთარაძე | დილმელაშვილი |
| ჭედია | დოლიძე |
| გ. მიქაბერიძე | დ. ბოლქვაძე |
| გენაძე | იოსელიანი |
| ტატანაშვილი | საბანაძე |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| კ. ჟორჟიკაშვილი | გ. კიკნაძე |

**მეტალურგი**

58. ქავთარაძე - **დობროვოლსკი**
58. გ. მიქაბერიძე - **ი. მაისურაძე**
67. სეთურიძე - **მახვილაძე**

სათადარიგოები: ბათიაშვილი, გავაშელიშვილი, პავლიაშვილი, ჩადუნელი

**ტორპედო**

46. დოლიძე - **კუხიანიძე**
55. იოსელიანი - **მეგრელაძე**
68. საბანაძე - **გოცირიძე**

სათადარიგოები: ქვილითაია, ტაბატაძე, გურული, თარხნიშვილი

გაფრთხილება: რაზმაძე (5), გ. დათუნაიშვილი (25), გამეზარდაშვილი (63)

არბიტრი: ლ. სილაგავა

ზედიზედ ორი მატჩია, რუსთავის „მეტალურგი“ ერთნაირი ანგარიშით (2:0) იმარჯვებს და, ისე როგორც წინა ტურში, ამჯერადაც „დუბლით“ გამოირჩა 27 წლის **დიმიტრი ტატანაშვილი!** ეგ კი არა, „ტორპედოსთან“ შეხვედრაში ტატანაშვილს, სულ მცირე, კიდევ ორი გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ ამ ფაქტის გამო მასპინძელთა ქომაგებს გული არ დაწყდებოდათ: „მეტალურგმა“ ყველა ასპექტში აჯობა მეტოქეს და დამსახურებულადაც მოიგო. რუსთაველთა გუნდის უპირატესობა მთელი მატჩის განმავლობაში საგრძნობი იყო და ბევრად უფრო შთამბეჭდავი ანგარიშით მოგებაც არავის უნდა გაჰკვირვებოდა; სამაგიეროდ, გასაკვირი და, ცოტა არ იყოს, [illegible] ვენა სტუმართა გუნდის ფეხბურთელთა (ერთი-ორის გამოკლებით) ინდიფერენტული დამოკიდებულება: ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩა, რომ „ტორპედოს“ მოთამაშეებს ნაკლებად აღელვებდათ მატჩის ბედი; თუმცა, ყოველივე ეს მასპინძელთა დამაჯერებელ გამარჯვებას სულაც არ აკნინებს: „მეტალურგის“ ფეხბურთელები მთელ რიგ ეპიზოდებში გააზრებული კომბინაციებით ანებივრებდნენ რუსთაველ გულშემატკივრებს. რუსთაველები ფლანგებს მაქსიმალურად იყენებდნენ და ზედიზედ მეორე მატჩია, გუნდის მთავარი მწვრთნელის **კობა ჟორჟიკაშვილის** სათამაშო სტრატეგიას სასურველი შედეგი მოაქვს.

ახლა კი უშუალოდ ტურის ცენტრალურ მატჩზეც ვისაუბროთ, რომლის დასაწყისშიც ცოტაც და, კურიოზულ გოლს ვიხილავდით: სტუმართა მეკარეს, **ომარ მიგინეიშვილს** ბურთი თამაშში შემოჰქონდა და ისე მოხდა, რომ ბურთი მასპინძელთა ფორვარდს (ტატანაშვილს) ზურგში მოხვდა და დაუცველი კარისკენ წავიდა, მაგრამ ხარიხას გადაუარა და ხიფათიც ასე მორჩა. თუმცა, სულ მალე **გიორგი მიქაბერიძის** გამოზომილი პასის შემდეგ **გიორგი ჭედია** აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაზე, მაგრამ მასპინძელთა მარჯვენა გარემარბმა მცირეოდენ არაზუსტად დაარტყა. ამასობაში „მეტალურგის“ უპირატესობა თვალშისაცემი გახდა და გოლიც ლოგიკური იყო. მარცხენა ფლანგზე **რევაზ გენაძემ** იაქტიურა, მეტოქის საჯარიმოში ჭედიამაც ბოლომდე იბრძოლა და ყველაფერი კი დიმიტრი ტატანაშვილის ზუსტი და ეფექტური დარტყმით დამთავრდა! პირველი ტაიმის ბოლომდე მასპინძლებს კიდევ ორი ხელსაყრელი მომენტი ჰქონდათ: **ქავთარაძე**-ტატანაშვილი-ჭედიას ჩინებული კომბინაცია ამ უკანასკნელის მცირეოდენ არაზუსტი დარტყმით დასრულდა, მეორე ეპიზოდში კი გენაძის სტანდარტულის შემდეგ ტატანაშვილმა ვერ მოახერხა მახვილი კუთხიდან ბურთის ზუსტად დარტყმა. რაც შეეხება სტუმრებს, პირველ ტაიმში „ტორპედომ“ ერთადერთი მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი შექმნა: **დავით ბოლქვაძის** ჩინებული პასით გარღვევაზე **ნიკა საბანაძე** გადიოდა, მაგრამ **გრიგოლ ბედიაშვილმა** კარი დროულად დატოვა და თავდამსხმელს დაასწრო. კიდევ ერთი ეპიზოდის გახსენებაც შეიძლება, როცა კუთხურის შემდეგ **თემურ ფარულავამ** თავით დაარტყა.

მოედანზე არსებული სიტუაციის შეცვლას სტუმართა თავკაცი **გიორგი კიკნაძე** შეეცადა: მეორე ტაიმის დაწყების შემდეგ მოედანზე ჯერ ახალგაზრდა ნახევარმცველი **გიორგი კუხიანიძე** გამოიყვანა, მერე კი გამოცდილი ფორვარდი **გიორგი მეგრელაძეც** ჩართო თამაშში; კობა ჟორჟიკაშვილმაც მაშინათვე გააკეთა „საპასუხო სვლა“ და ერთობ ეფექტიანმა ორმაგმა ცვლილებამ თამაშის შინაარსზე გადამწყვეტი როლი ითამაშა. ამ შემთხვევაში კი. უპირველესად, **ირაკლი მაისურაძის** მონდომებულ ასპარეზობას ვგულისხმობთ — ახალგაზრდა ნახევარმცველმა მეტოქის მცველებს უამრავი პრობლემა შეუქმნა და მეორე გოლშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო. საგოლე კომბინაცია კი მარჯვენა ფლანგიდან ჭედიამ წამოიწყო, მერე მაისურაძემ იაქტიურა და ტატანაშვილსაც ახლო მანძილიდან ზუსტი დარტყმის შესრულება არ გასჭირვებია. გოლიდან ორიოდ წუთში **ალექსანდრე კვახაძის** შორეული საჯარიმო დარტყმა ვიხილეთ - ბურთი ძალიან მცირე მანძილით ასცდა სტუმართა კარს. ორბურთიანი უპირატესობის შემდეგ მასპინძლებმა თამაში „დააწყნარეს“ და ბურთსაც უნარიანად აკონტროლებდნენ. ასე გრძელდებოდა მანამდე, ვიდრე მატჩის ბოლო ათწუთიან „გამოცოცხლებას“ არ ვნახავდით: ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მასპინძლებს, სულ მცირე, ოთხი რეალურზე-რეალური მომენტი ჰქონდათ! თანაც, დიმიტრი ტატანაშვილს თავისუფლად შეეძლო „ჰეთ-თრიქი“ ან „პოკერი“ შეესრულებინა, მაგრამ ირაკლი მაისურაძისა და რევაზ გენაძის ჩინებული გადაცემების შემდეგ „მეტალურგის“ ცენტრფორვარდმა პირველ ეპიზოდში ბურთი ხარიხას გადააცილა, მეორედ კი ომარ მიგინეიშვილმა იყოჩაღა. „ტორპედოს“ მეკარემ გიორგი ჭედიასაც არ დაანება გოლის გატანა, ხოლო მაისურაძის საშუალო მანძილიდან დარტყმული ბურთი კი მიზანს აცდა. ამ ათწუთიან მონაკვეთში „ტორპედომ“ ერთადერთი სახიფათო შეტევა განახორციელა, თუმცა მეგრელაძის ურთულესი მდგომარეობიდან დარტყმული ბურთს საიმედოდ მოთამაშე ბედიაშვილი დაეუფლა. მასპიძელთა მეკარემ მსაჯის მიერ დამატებულ დროშიც ჩინებული რეაქცია გამოავლინა, როცა **თენგიზ ჩიკვილაძის** შორეული „საფირმო“ დარტყმა მოიგერია — ზედიზედ მესამე მატჩია, „მეტალურგი“ გოლს არ უშვებს და, რაც მთავარია, ლიდერთა ჯგუფში იმყოფება. აი, „ტორპედოს“ ირგვლივ რა ხდება, ძნელი სათქმელია; თანაც, საყვარელი გუნდის საქომაგოდ რუსთავში ჩამოსულ ქუთაისელ გულშემატკივართა ჯგუფი მატჩის დროსაც და შეხვედრის დასრულების შემდეგაც [illegible] „უკმაყოფილებას“ „ტორპედოს“ სამწვრთნელო შტაბის მიმართ.

**გია ტუხაშვილი**

● სავარაუდო ცვლილება ეროვნული ჩემპიონატი

# გეგუჩაძე ტორპედოში ხანგრძლივი კონტრაქტით მივა

ქუთაისის „ტორპედოს“ ახალი მწვრთნელი ეყოლება. საკუთარი განცხადების საფუძველზე, **კიკნაძე-ზამთარაძის** დუეტმა კლუბი რუსთავის „მეტალურგთან“ განცდილი მარცხის შემდეგ დატოვა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, იმერულ კლუბს სათავეში **გია გეგუჩაძე** ჩაუდგება, რომელიც ამასთანავე ავსტრიის ნაკრებში, **ფრანკო ფოდას** თანაშემწედ განიხილებოდა, რაც თავად გეგუჩაძემაც დაადასტურა, მაგრამ, ვინაიდან ფოდას ოფიციალური წარდგენა გადაიდო, ხოლო გეგუჩაძემ წინადადება „ტორპედოს“ ხელმძღვანელობისგან მიიღო, ბოლო პერიოდის ერთ-ერთი წარმატებული ქართველი სპეციალისტი მუშაობას დაახლოებით ორ კვირაში, „ტორპედოში“ შეუდგება.



გია გეგუჩაძე

„ლელოსთან“ საუბრისას გია გეგუჩაძემ დაადასტურა, რომ „ტორპედოსთან“ მოლაპარაკებები დაწყებულია, ხოლო კლუბის პრესატაშემ **რამაზ ჩხიკვაძემ** კი განაცხადა, რომ ამასთან დაკავშირებით, ოფიციალურ განცხადებას ხვალ ქუთაისელები გაავრცელებენ.

შეგახსენებთ, რომ ქუთათურებმა გასულ 5 ტურში მხოლოდ ორჯერ შეძლეს მოგება, სამჯერ კი დამარცხდნენ. 21 სექტემბერს, „დინამოსთან“ გადადებულ მატჩში გუნდს დუბლშემადგენლობის მწვრთნელი **გიორგი სუხიაშვილი** გაიყვანს, მასვე მოუწევს „ბაიას“ წინააღმდეგ „ტორპედოს“ თავკაცობა.

როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, „ტორპედო“ გეგუჩაძეს გრძელვადიან კონტრაქტს შესთავაზებს.

**მაგდა კლდიაშვილი**

# იღბალი სტუმრებს სწყალობდათ

18.09.ზუგდიდი. გ. თუთბერიძე.
800 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ბაია | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 1 |

0:1 ვასაძე (13, კორიფაძის პასით)

| ბაია 4-5-1 | ვიტ ჯორჯია 4-2-3-1 |
|---|---|
| სომხიშვილი | ძაძამია |
| რიგვავა | ხურცილავა |
| აფაქიძე | ადამაძე |
| მგელაძე | კასრაძე |
| კანკია | ლანიაშვილი |
| გუგუჩია | გურამ გურეშიძე |
| ეხვაია | ვასაძე |
| ნ. შონია | კორიფაძე |
| ტყემალაძე | ჯანელიძე |
| წურწუმია | ზაქრაძე |
| ქობალია | ჩიმაკაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ე. ძოძუაშვილი | ზ. ბერიძე |

**ბაია**

46. კანკია – **პაჭკორია**
71. შონია – **კუკავა**
56. ეხვაია – **სიხარულია**

სათადარიგოები: ჯომიდავა, სვირავა, სამუშია, ენდელაძე

**ვიტ ჯორჯია**

69. ზაქრაძე – **ოთარიშვილი**
82. ჩიმაკაძე – **სიხარულიძე**
90. ვასაძე – **გოგიაშვილი**

სათადარიგოები: რეჭია, მაისაშვილი, გიორგი გურეშიძე, ვაშაკიძე

გაფრთხილება: წურწუმია (16), ხურცილავა (16), ქობალია (32), ლანიაშვილი (56), ზაქრაძე (69), ძაძამია (87)

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

სეზონის სტარტზე განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, მატჩის ფავორიტად “ბაია” იყო მიჩნეული, მაგრამ “ვიტ ჯორჯიამ” მედგრად იბრძოლა და ზუგდიდიდან შინ სამი ქულით ხელდამშვენებული დაბრუნდა.

ზუგდიდელებს ურიგოდ არც ამჯერად უთამაშიათ, მაგრამ არაერთი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს და დაისაჯნენ კიდეც. საკმარისია მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ **ლევან წურწუმიასა** და **ლუკა გუგუჩიას** დარტყმებისგან სტუმრები კარის ძელმა იხსნა. ხოლო მაშინ, როცა ბურთი კარის ჩარჩოში მიდიოდა, უშეცდომოდ მოქმედებდა “ვიტ ჯორჯიას” მეკარე **გიორგი ძაძამია.**

“ბაია” მეორე ტაიმში კიდევ უფრო გააქტიურდა, მაგრამ ვიტელებმა მოპოვებული უპირატესობა ბოლომდე დაიცვეს და მიმდინარე ჩემპიონატში მეორე, ხოლო სტუმრად პირველი გამარჯვება მოიპოვეს. **გიორგი ვასაძის** გოლი კი **გიორგი კორიფაძის** ფლანგურ გარღვევას მოჰყვა.

“ბაია” ჩემპიონატის ლიდერობას დაემშვიდობა და სანამ “ზესტაფონს” გორის “დილასთან” გადადებული მატჩი ჩაუტარებია, მეორე ადგილს ინარჩუნებს. ზუგდიდელებს აქამდე მიმდინარე გათამაშებაში შინ ქულა არ ჰქონდათ დაკარგული და საკუთარ კარსაც მშრალად ინარჩუნებდნენ.

**ნიკა გვათუა**
ზუგდიდიდან

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), აზნორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის ქოპირება და მასალების და ფოტოების სხვა გამოცემებში გამოქვეყნება აკრძალულია

# ორმაგად ფასეული გამარჯვება

17.09.ზუგდიდი.
გ. თუთბერიძე

**კოლხეთი 0**
**დინამო 3**

0:1 კვეკვესკირი (58), 0:2 კოშკაძე (62), 0:3 ჯილაური (76)

| კოლხეთი | დინამო |
|---|---|
| 4-4-1-1 | 4-2-3-1 |
| ნადირაშვილი | ლორია |
| ცხვიტარია | ოდიკაძე |
| შავგულიძე | კაკუბავა |
| ინწკირველი | ჰომოლა |
| თედიაშვილი | თომაშვილი |
| ლემონჯავა | ალვარო |
| პ. დათუნაიშვილი | კვეკვესკირი |
| ქებაძე | კოშკაძე |
| გოგონაია | ლექვთაძე |
| გვალია | იაგუე |
| ჯანაშია | კოტო |
| **მწვრთნელი:** | **მწვრთნელი:** |
| ს. ფილია | ა გარსია |

**კოლხეთი**

70. ჯანაშია - **ციცხვაია**
74. გოგონაია - **ცხადაია**

**დინამო**

61. ლექვთაძე-**რობერტინიო**
73. ალვარო-**ჯილაური**
86. იაგუე-**ფანცხავა**
*სათადარიგოები:გრიშიკაშვილი, თექთურმანიძე, კახელიშვილი, გ. გველესიანი*

გაფრთხილება: **გოგონაია (31), პ. დათუნაიშვილი (52)**
არბიტრი: **დ. ხარიტონაშვილი**

ფოთის სტადიონს რეკონსტრუქცია უკეთდება და გარკვეული პერიოდის განმავლობაში „კოლხეთს" სხვადასხვა არენაზე უწევს საშინაო მატჩების ჩატარება. შეგახსენებთ, რომ IV ტურის მატჩი („კოლხეთი"-„დილა") ლანჩხუთში ჩატარდა, ამჯერად კი **სოსო ფილიას** გუნდმა ჩვენს ყველაზე ტიტულიან გუნდს ზუგდიდში უმასპინძლა. ამ წყვილში ფავორიტად სტუმრები მიიჩნეოდნენ და საბოლოოდ, დინამოელთა მაღალმა კლასმა და ინდივიდუალურმა ოსტატობამ „თავისი საქმე" გააკეთა — **ალექს გარსიას** გუნდმა სეზონში პირველად შეძლო დიდი ანგარიშით გამარჯვება. „დინამოს" ესპანელ თავკაცს ძირითად შემადგენლობაში რამდენიმე იძულებითი ცვლილების გაკეთებამ მოუწია: ტრავმის გამო შეხვედრაში ვერ მონაწილეობდნენ **ჩისკო და გიორგი რეხვიაშვილი;** ამ უკანასკნელის ადგილი დაცვის მარცხენა ფლანგზე მართლაც უნივერსალმა **გულვერდ თომაშვილმა** დაიკავა, ხოლო ცენტრალური მცველის პოზიციაზე ჩეხი **ირჟი ჰომოლა** გამოჩნდა.

პირველ ტაიმში „კოლხეთი" თავს ორგანიზებულად იცავდა და სწრაფი კონტრშეტევების იმედად იყო; თუმცა, მასპინძლებმა მხოლოდ ერთადერთხელ შექმნეს მეტ-ნაკლებად სახიფათო კონტრიერიშის განხორციელება, მაგრამ **გიორგი ლორიამ** ჩინებული რეაქცია გამოავლინა. სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობა სტუმართა მხარეს კი იყო, მაგრამ „დინამომ" პირველ ტაიმში მხოლოდ ორჯერ შექმნა სახიფათო მომენტი: პირველ ეპიზოდში თომაშვილს შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ არაზუსტად დაარტყა, მანამდე კი **მიკელ ალვაროს** ჩინებული პასის მერე **ალექსანდრე კოშკაძე** ხელსაყრელ პოზიციაზე აღმოჩნდა, მაგრამ „კოლხეთის" მეკარემ **ლადო ნადირაშვილმა** საკუთარი გუნდი გადაარჩინა.

მატჩის შემდეგ დინამოელთა უპირატესობა უფრო გამოიკვეთა, სტუმართა ფეხბურთელები თავისუფალ ზონებს იოლად ნახულობდნენ და შედეგმაც არ დააყოვნა: ამ შეხვედრის ერთ-ერთმა გამორჩეულმა მოთამაშემ ალვარომ ზუსტი პასით ნიკა კვეკვესკირი მოძებნა და დინამოელთა ახალგაზრდა ნახევარმცველმაც შორეული დარტყმით ანგარიში გახსნა. სტუმრებს აღებული ტემპის შენარჩუნება არ გასჭირვებიათ და მალე მეორე გოლიც გაიტანეს: კომბინაცია **იაგუემ** წამოიწყო, **კოტომ** გააგრძელა და „დინამოს" კაპიტანს ალექსანდრე კოშკაძეს ზუსტი დარტყმის შესრულება არ გასჭირვებია. მატჩის დამთავრებამდე 14 წუთით ადრე კი ზუგდიდში საყვარელი გუნდის საქომაგოდ ჩასულ „დინამოს" ფანებმა მორიგი გოლით გაიხარეს: კოშკაძის საჯარიმოს მეტოქის საჯარიმოში **რობერტინო** „გამოეხმაურა", მაგრამ ბურთი ხარიხას მოხვდა, თუმცა შეცვლაზე შემოსულმა **ჯაბა ჯილაურმა** მაინც შეძლო ზუსტი დარტყმის შესრულება. ერთადერთი, „კოლხეთს" რაც შეეძლო. პრესტიჟის გოლის გატანა იყო, მაგრამ მატჩის მიწურულს მათი იერიში იმით დამთავრდა, რომ ბურთი „დინამოს" კარის ძელს მოხვდა. სტუმართა გუნდისთვის ეს გამარჯვება ორმაგად ფასეული აღმოჩნდა: ექვსი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილს ერთპიროვნულად „დინამო" ლიდერობს; თანაც, ალექს გარსიას გუნდს ერთი მატჩიც „თადარიგში" აქვს...

**მატჩის შემდეგ**

**ალექს გარსია** („დინამო"): „ჩაკეტილი თამაში იყო. პირველ ტაიმში მომენტები და კარის აღების შანსი არ გვქონია, პირიქით მეტოქემ შექმნა ხიფათი ჩვენ კართან. მეორე ტაიმში თამაში „გაიხსნა" და 3 ქულის მოპოვებაც შევძელით. ჩვენი მთავარი მიზანი 90 წუთის განმავლობაში მოედანზე დომინირებაა, თუმცა ამჯერად გოლები მეორე ტაიმში გავიტანეთ".

**სოსო ფილია** („კოლხეთი"): „მეტოქეს გამარჯვებას ვულოცავ. „დინამო" კლასითა და ოსტატობით ჩვენზე მაღლა დგას. თანაც, ნეიტრალურ მოედანზე თამაშმა ჩვენი ამოცანა კიდევ უფრო გაართულა. ვცდილობდით საკუთარ ნახევარზე გვეთამაშა და მეტოქისათვის ფლანგები გადაგვეკეტა, რაც პირველ ტაიმში მოვახერხეთ; მეორე ტაიმში კი დინამოელებს ველარ ვასწრებდით და სივრცეებიც გაჩნდა, რამაც განაპირობა კიდეც ჩვენი მარცხი".

**ნიკა გვათუა**



17.09.ბოლნისი. თ. სტეფანია
400 მაყურებელი

**სიონი 1**
**ზესტაფონი 2**

0:1 წინამძღვრიშვილი (63. პენ.), 0:2 ს. ლომია (80. სარდალიშვილის პასით), 1:2 ლ. ჩხეტიანი (90)

| სიონი | ზესტაფონი |
|---|---|
| 4-4-1-1 | 4-4-2 |
| ზუხბაია | რ. კვასხვაძე |
| კობაური | ალადაშვილი |
| გ. ოქროპირიძე | მ. კობახიძე |
| სვანიძე | გ. ონიანი |
| ლ. ჩხეტიანი | ელიავა |
| უგრეხელიძე | აფციაური |
| ვ. ბოლქვაძე | გორგიაშვილი |
| გაბრიჭიძე | ბაბუნაშვილი |
| კობერიძე | შ. გრიგალაშვილი |
| რეხვიაშვილი | დვალი |
| უგულავა | წინამძღვრიშვილი |
| **მწვრთნელი** | **მწვრთნელი** |
| ლ. ბაჯელიძე | გ. ჭიაბრიშვილი |

**სიონი**

46. კობერიძე – **ქუცურუა**
66. უგულავა – **მ. ოქროპირიძე**
82. რეხვიაშვილი – **ისიანი**
*სათადარიგოები: ლობჟანიძე, ადამაშვილი, ხურციძე, კემუხტაშვილი*

**ზესტაფონი**

45. აფციაური – **სარდალიშვილი**
45. დვალი – **ს. ლომია**
67. ბაბუნაშვილი – **ბენაშვილი**
*სათადარიგოები: მამალაძე, თ. ლონდაძე, საჯაია, ფიფია*

გაფრთხილება: **გორგიაშვილი (22), აფციაური (38), სვანიძე (56), გ. ონიანი (58), წინამძღვრიშვილი (62), ალადაშვილი (68), ლ. ჩხეტიანი (72)**
გაძევება: **სვანიძე (60)**
არბიტრი: **ლ. კვარაცხელია**

# ბოლნისში ჩემპიონს საჩუქარი დაახვედრეს



**ლევან ბაჯელიძის** ხელმძღვანელობით "სიონმა" პირველი მატჩი ჩაატარა და ბოლნისელებს ახალი ფაქტობრივი მთავარი მწვრთნელის ხელი უმალ შეეტყოთ. მასპინძლებს ციდან ვარსკვლავები ნამდვილად არ მოუწყვეტიათ, მაგრამ წინა შეხვედრებთან შედარებით გაცილებით აზრიანად და მძლავრად ითამაშეს და შეიძლება გამარჯვება ვერა, მაგრამ მატჩის ფრედ დასრულება ნამდვილად შეეძლოთ.

"ზესტაფონმა" კი პირიქით, საოცრად უფერულად ითამაშა და რომ არა "სიონის" კაპიტან **დავით სვანიძის** მიერ დაშვებული საბედისწერო შეცდომა, საქართველოს ჩემპიონებს შინ სამი ქულით დაბრუნებება აშკარად გაუჭირდებოდათ.

ეპიზოდი, რომელმაც დიდწილად განაპირობა მატჩის შედეგი, მე-60 წუთზე მოხდა. "ზესტაფონმა" "სიონის" საჯარიმოში ბურთი ჩააწოდა. ბოლნისელთათვის ხიფათს თითქოს არაფერი მოასწავებდა, მაგრამ სვანიძემ ყოვლად გაუგებარი გადაწყვეტილება მიიღო და ბურთი, რომელიც მოედნის ფარგლებს ტოვებდა, ჰაერიდან კალათბურთელივით ჩამოხსნა. არბიტრმა სრულიად ლოგიკური გადაწყვეტილება მიიღო და პენალტი დანიშნა, სვანიძეს კი მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა და მოედანი დაატოვებინა. **რატი წინამძღვრიშვილმა** თერთმეტმეტრიანის შესრულებამდე დასარტყმელი წერტილის თაობაზე იდავა და გაფრთხილება მიიღო, თუმცა უმაღლესი საფეხბურთო სასჯელი მაინც ალასრულა 0:1.

"ზესტაფონის" გოლამდე "სიონმა" პირველ ტაიმში ორი რეალური საგოლე შანსი გაუშვა ხელიდან. მე-18 წუთზე **გიორგი რეხვიაშვილმა** სტუმართა კარს ბურთი ოდნავ გადააცილა ზემოდან, 43-ეზე კი მასპინძლები დაწინაურებასთან კიდევ უფრო ახლოს იყვნენ – **ჯაბა უგულავამ ვლადიმერ უგრეხელიძის** გადაცემით ვერ ისარგებლა და მიზანმა ახლო მანძილიდან უმტყუნა. მოკლედ, "ზესტაფონი" მეტოქეს ხიფათს საერთოდ ვერ უქმნიდა და ფეროელთა თავკაცმა **გიორგი ჭიაბრიშვილმა** მდგომარეობის გამოსწორება პირველი ტაიმის მიწურულს განხორციელებული ორი ცვლილებით სცადა.

სტუმართა მეორე გოლი სწორედ **მიხეილ სარდალიშვილმა** და **საბა ლომიამ** შექმნეს. სარდალიშვილმა "ზესტაფონის" მთავარ გუნდში ჩატარებული მეორე შეხვედრა საგოლე პასით აღნიშნა, ლომიამ კი უმაღლეს ლიგაში პირველი გოლი თავურით გაიტანა.

თამაშის ბედი აქვე გადაწყდა, თუმცა ათკაციან "სიონს" ბრძოლა არ შეუწყვეტია და პრესტიჟის გოლის გატანა მაინც მოახერხა. **როინ კვასხვაძეს** ბურთი ხელიდან გაუვარდა, რითაც **ლევან ჩხეტიანმა** ისარგებლა და ახლო მანძილიდან გაიტანა.

ასე დასრულდა მატჩი, რომელმაც დაგვანახა, რომ "სიონს" აუტსაიდერობისგან თავის დაღწევის პოტენციალი აქვს, "ზესტაფონს" კი ჩემპიონობის შესანარჩუნებლად გაცილებით ხარისხიანი ფეხბურთის თამაში მართებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**
ბოლნისი-თბილისი

17.09. მარტვილი. ცენტრალური
1 300 მაყურებელი

**მერანი 2**
**დილა 2**

0:1 დ.ჩაგელიშვილი (21. ახალკაცის პასით), 1:1 მანწკავა (23), 1:2 რაჟამაშვილი (62.ბერაიას პასით), 2:2 მანწკავა (67. ჩალაძის პასით)

| მერანი | დილა |
|---|---|
| 4-4-1-1 | 4-4-2 |
| შეროზია | მერლანი |
| ჟვანია | ლომიძე |
| დიდავა | ქარქუზაშვილი |
| კაკუბაძე | ბაქრაძე |
| სუხიაშვილი | გველესიანი |
| მემარნიშვილი | რაჟამაშვილი |
| მანწკავა | ნემსაძე |
| ე. გრიგალაშვილი | პ. ხორგუაშვილი |
| ჩალაძე | ვ. ხორგუაშვილი |
| ამბროლაძე | ახალკაცი |
| ტაპე | დ. ჩაგელიშვილი |
| **მწვრთნელი** | **მწვრთნელი** |
| ა. ჩხაბერიძე | გ. ცეცაძე |

**მერანი**

67. ე. გრიგალაშვილი - **სამადაშვილი**
86. ტაპე - **ტორაძე**
*სათადარიგოები: წოწორია,იატრო, შალიკაშვილი, მელიავა, შენგელია*

**დილა**

46. ბაქრაძე - **მაჭავარიანი**
46. ახალკაცი - **ი. ბერაია**
63. ნემსაძე - **ნ. ნოზაძე**
*სათადარიგოები: კეჩხუაშვილი, ჭითანავა, ლ.ჩაგელიშვილი, სადალაშვილი*

გაფრთხილება: **რაჟამაშვილი (61), ხორგუაშვილი (73)**
არბიტრი: **თ. გვანცელაძე**

მიუხედავად იმისა,რომ მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში გორის „დილა" შედეგიანობით ვერ დაიკვეხნის, ქართველ ჟურნალისტთა აღიარებით ერთ-ერთ ლამაზ და შემტევ ფეხბურთს აჩვენებს. პრინციპში, გორელებმა არც მარტვილთან ითამაშეს ურიგოდ,ისინი შეხვედრაში ორჯერ დაწინაურდნენ, თუმცა ტრადიციისამებრ ვერც ამჯერად შეინარჩუნეს უპირატესობა. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც,რომ გორელები თამაშის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე მიადგნენ მარტვილის ცენტრალურ სტადიონს,ამის მიზეზი მარშუტის არცოდნა იყო : ისინი სენაკის გავლით ჩხოროწყუში ჩასულან (ასეთი რალაცებიც ხდება ხოლმე), ამან კი ,რა თქმა უნდა, ფეხბურთელებზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა.

# დებიუტანტთა უხვგოლიანი ფრე და მანწკავას დუბლი

მასპინძლებს ორი წამყვანი ფეხბურთელი აკლდათ: დისკვალიფიცირებული მცველი **იობაშვილი** და ტრამვირებული თავდამსხმელი **კუჭუხიძე**. ცალკე აღნიშვნის თემაა **გიორგი მანწკავას** თამაში,რომელსაც წინა ტურში ზესტაფონთან არ უთამაშია,დილასთან მატჩში კი საკუთარ თავზე აიღო ლიდერობა და გუნდს ორი გოლით შეეწია.

ანგარიში 21-ე წუთზე გაიხსნა. **რომან ახალკაცმა** ერთი-ერთზე გაიყვანა **დავით ჩაგელიშვილი**,რომელმაც ნავსი გატეხა და თანაგუნდელები დააწინაურა. ამ ეპიზოდში აშკარად ჩავარდა მერანის დაცვა.

სტუმართა სიხარული ხანმოკლე გამოდგა,ზუსტად ორ წუთში სტანდარტული მდგომარეობა უნაკლოდ შეასრულა **გიორგი მანწკავამ**,რომელმაც უშანსოდ დატოვა გამოცდილი მეკარე **მირზა მერლანი.** ამის შემდეგ ჯერ **ამბროლაძეს** შეეძლო ბურთის გატანა, შემდეგ კი **ახალკაცი** დარჩა მეკარესთან პირისპირ,რომელმაც მასპინძელთა მეკარე მოატყუა ,თუმცა ცარიელ კარში ვერ გაიტანა...

მეორე ტაიმში ტერიტორიულ უპირატესობას მასპინძლები დაეუფლდნენ, თითქოს მოვლენები ლოგიკურად ვითარდებოდა და მერანს თამაშის სადავეები ხელიდან არ უნდა გაეშვა,მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა: შეცვლაზე შემოსულმა **ბერაიამ** შესანიშნავი გადაცემა გაუკეთა **დავით რაჟამაშვილს**,რომელმაც არ დაალალატა თავისიანები—1:2.

მარტვილელთა სასახელოდ უნდა ითქვას,რომ ისინი არ მოდუნდნენ და მანწკავას ორჯერ შეეძლო გორელთა კარის აღება ; ჯერ სტუმართა მეკარემ ითამაშა დამაჯერებლად, ხოლო შემდეგ ძლიერად დარტყმული აცდა კარის ჩარჩოს. მესამე ცდა კი წარმატებული გამოდგა: მარჯვენა ფლანგზე ჩინებული რეიდი განახორციელა **ლაშა ჩალაძემ**, რომელმაც საჯარიმოში ჩამოაწოდა, უმეთვალყურეოდ დარჩენილმა გიორგი მანწკავამ ბურთს თავი დაუხვედრა და საბოლოო ანგარიში 2:2 დააფიქსირა.

ბოლო 15 წუთში მარტვილელებს მატჩის მოგებაც შეეძლოთ, თუმცა **მერლანის** დამაჯერებელმა თამაშმა გორელებს ქულა გადაურჩინა. ანგარიშის შეცვლის შანსი მასპიძელთაგან ამბროლაძესა და მატჩის უდავოდ საუკეთესო ფეხბურთელს მანწკავას ჰქონდათ.გორელთაგან კი გამოსარჩევი მხოლოდ **ვალტერ ხორგუაშვილის** დარტყმა იყო,რომლის მოგერიება არ გასჭირვებია შეროზიას.

საბოლოოდ შეხვედრა, რომელიც საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა, ორივე გუნდის მწვრთნელთა თქმით, კანონზომიერი ფრით დასრულდა.

**ბესიკ გვაზავა**
მარტვილიდან



ავტორის ფოტო

18.09. თბილისი. მერანი
800 მაყურებელი

| | |
|---|---|
| გაგრა | 0 |
| სპარტაკი | 0 |

| გაგრა 3-2-3-2 | სპარტაკი 4-1-4-1 |
|---|---|
| კ. სეფიაშვილი | ძაგანია |
| კალანდაძე | შონია |
| ტყეშელაშვილი | ტეტუნაშვილი |
| გაბუნია | ლომაია |
| ნაკონეჩნი | ხუბუა |
| შარიქაძე | თიბილაშვილი |
| ხუციძე | ვ. კილასონია |
| ორდინსკი | შალამბერიძე |
| ნ. ჯიშკარიანი | ჯიქია |
| მაგაჯი | ნ. მაისურაძე |
| კვანტალიანი | მეტრეველი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ა. პისკოვეცი | ვ. ხაჩიძე |

**გაგრა**

13. ხუციძე - **ზვიადაძე**
26. შარიქაძე - **ქართველიშვილი**
*სათადარიგოები: ბეგაშვილი, სიჭინავა, გაბედავა, როსტიაშვილი, ყურულაშვილი.*

**სპარტაკი**

52. კილასონია - **მამუჩიშვილი**
59. მეტრეველი - **დ. გელაშვილი**
63. ჯიქია - **რუხაძე**
*სათადარიგოები: ნ. დაუშვილი, ბურძენაძე, ქანთარია, შარაშენიძე.*

გაფრთხილება: ქართველიშვილი (29), ლომაია (30), მაისურაძე (73)
არბიტრი: ჯ. ხორავა

# თავსატეხი თამაში



ზვიად მეტრეველი (მარცხნივ) და გიორგი ტყეშელაშვილი ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ცხინვალის "სპარტაკი" შეხვედრას ცვლილებით შეხვდა – წარუმატებელი სტარტის გამო, კლუბის მეპატრონეებმა მთავარი მწვრთნელი **ბადრი კვარაცხელია** გამოცდილი **ვლადიმერ ხაჩიძით** ჩაანაცვლეს, რომელმაც შემადგენლობაში გარკვეული კორექტივები და გადაადგილებები მოახდინა.

"სპარტაკის" ფეხბურთელები მოედანზე ისეთი შემართულები გავიდნენ, ცოტა ზედმეტიც მოუვიდათ - 26-ე წუთზე "გაგრას" მთავარი მწვრთნელი **ანატოლი პისკოვეცი** იძულებული გახდა, ორი მოთამაშე შეეცვალა – ჯერ **ირაკლი ხუციძე** დაშავდა, მერე **ლევან შარიქაძე** და მასპინძელთა მწვრთნელმა იძულებითი გადაადგილებები მოახდინა. თუმცა ორი ლიდერის მოედნიდან გაყვანამ "გაგრას" თამაშს დაღი დაასვა.

საერთოდ, პირველი ტაიმი ორთაბრძოლებით უფრო იყო აღსანიშნავი, ვიდრე ფეხბურთით: ერთ-ერთი შეჯახებისას თავი გაუტყდათ "გაგრას" კაპიტან **გიორგი ტყეშელაშვილსა** და "სპარტაკის" თავდამსხმელ **ზვიად მეტრეველს**. საბოლოოდ, ეს უკანასკნელი გამოსაცვლელი გახდა.

თამაში ტაიმის მიწურულს გამოცოცხლდა: 34-ე წუთზე **მიკოლა ნაკონეჩნიმ** სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ "სპარტაკის" მეკარე **ლაშა ძაგანიამ** მშვენიერი რეაქცია გამოავლინა და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

მთავარი მოვლენები მეორე ტაიმში მოხდა: "გაგრას" შეტევებს უნარიანად ხელმძღვანელობდა ნაკონეჩნი, რომელიც ბევრს მოძრაობდა, თანაგუნდელებს ჩინებული გადაცემებით ამარაგებდა და თავადაც უტევდა.

48-ე წუთზე **შალვა კვანტალიანმა უმარ მაგაჯის** ბურთი საჯარიმოში გადააწოდა, რომელმაც ძლიერად დაარტყა - მეკარე ძაგანიამ "სპარტაკი" აშკარა გოლისგან იხსნა.

59-ე წუთზე ნაკონეჩნიმ სტანდარტული შეასრულა და საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩენილი **ვლადიმერ ორდინსკი** შენიშნა, რომელმაც ვარდნაში სცადა კარის აღება, მაგრამ უშედეგოდ.

ორიოდე წუთში უკრაინელებმა როლები გაცვალეს, ამჯერად ასისტენტობა ორდინსკიმ იკისრა, არაზუსტად კი ნაკონეჩნიმ დაარტყა.

"გაგრა" მონდომებით უტევდა, "სპარტაკიც" თავის შანსს ელოდა: 70-ე წუთზე სპარტაკელმა **ბუბა რუხაძემ** (რომელიც თამაშში კარგად ჩაერთო) ჩინებულად ითამაშა "გაგრას" საჯარიმოსთან, ეფექტურად ჩამოიცილა მცველი და უძლიერესად დაარტყა – რომ არა მეკარე **კოკა სეფიაშვილის** საუცხოო რეაქცია, მასპინძლები ვერ გადარჩებოდნენ.

77-ე წუთზე ორდინსკის გადაცემით დასარტყმელ პოზიციაზე ისევ მაგაჯი გავიდა და კვლავ არაზუსტად დაარტყა.

86-ე წუთზე ისევ ნაკონეჩნიმ წამოიწყო შეტევა და საჯარიმოში ბურთი კვანტალიანს შეაყოლა – "გაგრამ" ამჯერადაც ვერ იხეირა.

87-ე წუთზე კი "სპარტაკის" მწვავე კონტრშეტევას მარჯვენა მცველი **თემურ შონია** აგვირგვინებდა – სეფიაშვილმა ამჯერადაც დამაჯერებლად ითამაშა.

დამატებულ წუთებში "გაგრამ" მონდომებით შეუტია, მაგრამ ვერაფერს გახდა და მხოლოდ ფრეს დასჯერდა, ვოვა ხაჩიძის ხელმძღვანელობით კი "სპარტაკმა" გასვლაზე მნიშვნელოვანი ქულა მოიპოვა.

**მერაბ მამულაშვილი**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები | | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო | 5 | 4 | 1 | 0 | [illegible] | 4 | 13 |
| 2 | ბაია | 6 | 4 | 0 | 2 | 10 | 4 | 12 |
| 3 | ზესტაფონი | 5 | 3 | 2 | 0 | 10 | 6 | 11 |
| 4 | მეტალურგი | 6 | 3 | 2 | 1 | 6 | 2 | 11 |
| 5 | გაგრა | 6 | 3 | 1 | 2 | 9 | 6 | 10 |
| 6 | მერანი | 6 | 2 | 2 | 2 | 6 | 8 | 8 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 6 | 2 | 2 | 2 | 6 | 8 | 8 |
| 8 | ტორპედო | 5 | 2 | 0 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 9 | კოლხეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 3 | 8 | 5 |
| 10 | დილა | 5 | 1 | 1 | 3 | 7 | 9 | 4 |
| 11 | სპარტაკი | 6 | 0 | 3 | 3 | 2 | 6 | 3 |
| 12 | სიონი | 6 | 0 | 2 | 4 | 3 | 11 | 2 |

III ტურის გადმოტოვებული მატჩები

21 სექტემბერი
ტორპედო-დინამო

21 სექტემბერი
ზესტაფონი-დილა

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ტატანაშვილი (მეტალურგი) | 4 |
| ჩისკო (დინამო) | 3 |
| მანჭკავა (მერანი) | 3 |
| გუგუჩია (ბაია) | 3 |
| წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) | 3 |
| კვანტალიანი (გაგრა) | 3 |

**VII ტური**

**25 სექტემბერი, კვირა**

ვიტ ჯორჯია-გაგრა
ტორპედო-ბაია
სპარტაკი-კოლხეთი
ზესტაფონი-მეტალურგი *Live*
დილა-სიონი
დინამო-მერანი

# 20 000$ ყველაზე საზრიანს ედმონდ აბაშიძისგან

## „თიბისი ბანკი" ახალ გათამაშებას იწყებს

თიბისი ბანკი მეანაბრეებს ახალ თამაშს სთავაზობს, რომლის გამარჯვებულიც 20 ათასი დოლარის მფლობელი გახდება. თამაშში მონაწილეობას მიიღებს თიბისის ბანკის ყველა ის მენაბრე, ვინც 15 სექტემბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით გახსნის ანაბარს თიბისი ბანკში, მიიღებს სტანდარტულს პლუს 1% საპროცენტოს სარგებელს და ასევე 20 000 დოლარის მოგების შანსს.

თიბისი ბანკის წინა გათამაშებისგან განსხვავებით, )განძი" ამჯერად მიწაში არ არის დამარხული, ის ბანკში, ანგარიშზე დევს და ყველაზე აზარტულ და საზრიან მოთამაშეს ელოდება.

წინა გათამაშებისგან — )იპოვე 10 000$" განსხვავებით, თიბისი ბანკმა ამჯერად საპრიზო თანხა გააორმაგა, ხოლო თამაშმა ბევრად უფრო სახალისო ხასიათი შეიძინა და ვიქტორინის პრინციპს ეფუძნება. თამაშის მონაწილეებს შეუძლიათ სახლიდან გაუსვლელად, ინტერნეტის საშუალებით ჩაერთონ მასში, გამოიცნონ 34 შეკითხვა, მათივე შერჩეული 10 სხვადასხვა თემიდან და მოიგონ ბანკის მიერ დაწესებული პრიზი. 20 000 დოლარი მას ერგება, ვინც ყველაზე სწრაფად გასცემს სწორ პასუხს კითხვებზე.

კითხვების ავტორი, თიბისი ბანკის სარეკლამო რგოლის მთავარი გმირი, ედმონდ აბაშიძეა. როგორც ამბობს, ბებიასგან მემკვიდრეობით დიდი ქონება მიიღო, ამიტომ ახლა მთელ თავისუფალ დროს თავსატეხების მოფიქრებას უთმობს. ამბობს, რომ 20 000 დოლარი თიბისი ბანკში ანაბარზე აქვს განთავსებული და ამ თანხას მას გადასცემს, ვინც პირველი მოახერხებს ამ ანაბრის ნომრის გაგებას. ნომერს კი მას გაანდობს, ვინც ყველაზე ნაკლებ დროს დახარჯავს მის კითხვებზე პასუხების გაცემაში.

თამაშში მონაწწილეობისთვის კი საჭიროა თიბისი ბანკის ვადიან ან ვადიან ანაბარზე 31 ოქტომბრამდე განათავსოთ მინიმუმ 1000 დოლარი და იქვე მიიღოთ პერსონალური კოდი, რომლითაც თამაშში ჩაერთვებით. ვიქტორინის პირველი შეკითხვა 21 ოქტომბერს გახდება ცნობილი, ხოლო გამარჯვებული მიმდინარე წლის 11 ნოემბერს, ზუსტად 11:11 საათზე გახდება ცნობილი.

სპეციალურად ამ გათამაშებისთვის შეიქმნა ვებგვერდი www.tbcdeposits.ge,სადაც განსაზღვრული პერიოდულობით გამოქვეყნდება კითხვები. მეანაბრე მისთვის მინიჭებული პერსონალური კოდით შევა ვებგვერდზე, ესტუმრება ედმონდის სპეციალურ




ვირტუალურ ოთახს და მისთვის ხელსაყრელ ნებისმიერ დროს უპასუხებს კითხვას.

თითოეულ მოთამაშეს ამ ვებ-გვერდზე ექნება ტავისი პირადი ოთახი , რომელშიც



ის სწორედ კოდის საშუალებით შევა და, შესაბამისად, სხვა მის თამაშს და გაცემულ პასუხებს ვერ დაინახავს. ასევე ინდივიდუალურად მოხდება თითოეული მოთამაშის მიერ დახარჯული დროის ათვლა, რაც მათ პირად ოთახში მუდმივად იქნება დაფიქსირებული.

აღსანიშნავის, რომ გათამაშებაში მეანაბრეს შეუძლია დაიხმაროს ახლობელმეგობრები, ოჯახის წევრები, ენციკლოპედია თუ ინტერნეტ—საძიებლები.

ვახტანგ ბუცხრიკიძე, (თიბისი ბანკის პრეზიდენტი): )ჩვენ გვინდოდა სიახლე შეგვეთავაზებინა ჩვენი მეანაბრეებისთვის და გადავწყვიტეთ სრულიად ახალი თამაში წამოგვეწყო. 15 სექტემბრიდან, ყველა, ვინც გახნის დეპოზიტს თიბისი ბანკში, სულ მცირე 1000 დოლარის ოდენობით, მიიღებს დამატებით სარგებელს 1%-ის ოდენობით და ამავე დროს გახდება სახალისო ვიქტორინის მონაწილე. ხოლო ვიქტორინის ერთ-ერთი მონაწილე გათამაშების დასრულების შემდეგ 20 000 დოლარის მფლობელი გახდება. ეს იქნება ძალიან სახალისო და ამავე დროს საინტერესო გათამაშება, რომლის გამარჯვებულიც ანაბარზე სარგებელთან ერთად სოლიდურ ფულად ჯილდოსაც მიიღებს."

ედმონდ აბაშიძე, (თიბის ბანკის ანაბრების კამპანიის მთავარი გმირი): )ბებიისგან მემკვიდრეობით დიდი ქონება მერგო და სწორედ მან დამიბარა, რომ გავუფრთხილდე ფულს და უაზროდ არ გავფლანგო. მეც გადავწყვიტე მომეფიქრებინა სახალისო თამაშები. გახსოვთ ალბათ, რომ წინა გათამაშებისას მიწაში დავმარხე 10 000 დოლარი და გათამაშების მონაწილეებს უნდა ეპოვათ ეს ფული. ამჯერად კი გადავწყვიტე რამე უფრო განსხვავებული მომეფიქრებინა და საპრიზი ფონდიც გამეზარდა. ამჯერად სრულიად განსხვავებულ თამაშს ვპირდები თიბისი ბანკის მეანაბრეებს. ასე რომ ვურჩევ იჩქარონ, განათავსონ ბანკის ანაბარზე მინიმუმ 1000 დოლარის ოდენობის ანაბარი და ჩაერთონ ჩემს გათამაშებაში."

R

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლეგიონი

| ფეხბურთელი | ას. | კლუბი | მეტოქე | ანგ. | შენიშვნა | სეზ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია. I ბუნდესლიგა. VI ტური** | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | 34 | ჰერტა | აუგსბურგი | 2:2 (შ) | 90 წუთი | 6 თ |
| **გერმანია. II ბუნდესლიგა. VIII ტური** | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | 33 | კარლსრუე | ზტ. პაული | | დღეს | 7 თ, 3 გ. |
| **იტალია. სერია ა. II ტური** | | | | | | |
| კახა კალაძე | 33 | ჯენოა | ლაციო | 2:1 (გ) | 90 წუთი, გააფრთხ. | 2 თ |
| **იტალია. სერია ბ. V ტური** | | | | | | |
| ლევან მჭედლიძე | 21 | ემპოლი | კროტონე | 1:2 (გ) | 45 წთ (შეცვალეს) | 2 თ |
| ირაკლი შეყილაძე | 18 | ემპოლი | კროტონე | 1:2 (გ) | არ უთამაშია | 0 თ |
| **საფრანგეთი. ლიგა 2. VII ტური** | | | | | | |
| გიორგი მაკარიძე | 21 | ლე მანი | მეცი | 0:1 (შ) | 90 წუთი | 3 თ |
| ამირან სანაია | 21 | ბასტია | მონაკო | 1:1 (შ) | არ უთამაშია | 1 თ |
| **რუსეთი. პრემიერლიგა. XXIV ტური** | | | | | | |
| საბა კვერკველია | 19 | რუბინი | ზენიტი | 2:3 (შ) | არ უთამაშია | 5 თ 1 გ |
| ჯანო ანანიძე | 19 | სპარტაკი | კრილია | 3:0 (შ) | სათადარიგო | 10 თ, 1 გ |
| ნუკრი რევიშვილი | 24 | ანჟი | კუბანი | 0:1 (გ) | 90 წუთი | 22 თ |
| ოთარ მარცვალაძე | 27 | კრასნოდ. | ტომი | 4:0 (გ) | 90 წთ, 2 პასი, გააფრთხ. | 17 თ, 6 გ |
| ალექს. ამისულაშვილი | 28 | კრასნოდ. | ტომი | 4:0 (გ) | 90 წუთი, გააფრთხ. | 20 თ, 1 გ |
| ლევან გვაზავა | 31 | ტერეკი | ლოკომოტივი | 0:4 (შ) | 56 წთ (შეცვალეს) | 15 თ |
| გია გრიგალავა | 21 | ვოლგა | ნალჩიკი | 1:0 (შ) | სათადარიგო | 17 თ |
| ლაშა სალუქვაძე | 29 | ვოლგა | ნალჩიკი | 1:0 (შ) | არ უთამაშია | 15 თ, 1 გ |
| გოჩა ხოჯავა | 26 | ვოლგა | ნალჩიკი | 1:0 (შ) | არ უთამაშია | 10 თ, 2 გ |
| მათე ვაწაძე | 22 | ვოლგა | ნალჩიკი | 1:0 (შ) | 58 წთ (შეცვალეს) | 16 თ, 1 გ |
| ზურაბ არზიანი | 23 | ვოლგა | ნალჩიკი | 1:0 (შ) | არ უთამაშია | 2 თ |
| დავით სირაძე | 29 | ნალჩიკი | ვოლგა | 0:1 (გ) | 75 წთ (შეცვალეს) | 18 თ, 2 გ |
| გუჯა რუხაია | 24 | ნალჩიკი | ვოლგა | 0:1 (გ) | 62 წთ (შეცვალეს) | 5 თ |
| ზურაბ ცისკარიძე | 24 | ამკარი | დინამო | 0:3 (გ) | 26 წთ (შეცვლაზე) | 3 თ |
| **რუსეთი. I დივიზიონი. XXVIII ტური.** | | | | | | |
| გიორგი ნავალოვსკი | 25 | ხიმკი | ლუჩი | 1:0 (შ) | 90 წუთი | 24 თ |
| **უკრაინა. პრემიერლიგა. X ტური** | | | | | | |
| უჩა ლობჟანიძე | 24 | კრივბასი | მეტალისტი | 0:1 (შ) | არ უთამაშია, ტრავმა | 6 თ |
| ჯაბა კანკავა | 25 | კრივბასი | მეტალისტი | 0:1 (შ) | 90 წუთი | 9 თ |
| ალექსანდრე კობახიძე | 24 | არსენალი | ოლექსანდრია | 0:0 (შ) | 26 წთ (შეცვლაზე) | 10 თ, 2 გ |
| ვასილ გიგიაძე | 34 | ტავრია | დნიპრო | 1:2 (გ) | სათადარიგო | 4 თ, 1 გ |
| ბექა გოცირიძე | 22 | დნიპრო | ტავრია | 2:1 (შ) | არ უთამაშია | 0 თ |
| თორნიკე ოქრიაშვილი | 19 | ილიჩივეცი | ზარია | 1:1 (შ) | 17 წთ (შეცვლაზე) | 4 თ |
| ჯაბა ლიპარტია | 23 | ზარია | ილიჩივეცი | 1:1 (გ) | 90 წუთი, გააფრთხ. | 10 თ, 1 გ |
| დავით თარგამაძე | 21 | ოლექსანდ. | არსენალი | 0:0 (გ) | 90 წთ (შეცვალეს) | 10 თ, 2 გ |
| ალექსანდრე გურული | 25 | კარპატი | ობოლონი | 0:0 (შ) | 13 წთ (შეცვლაზე) | 2 თ |
| **ჰოლანდია. ერედივიზიე. VI ტური** | | | | | | |
| გურამ კაშია | 24 | ვიტესი | როდა | 5:0 (შ) | 90 წუთი, 1 გოლი | 6 თ, 1 გ |
| გიორგი ჭანტურია | 18 | ვიტესი | როდა | 5:0 (შ) | 90 წუთი, 1 გოლი | 6 თ 2 გ |
| ვალერი ყაზაიშვილი | 18 | ვიტესი | როდა | 5:0 (შ) | სათადარიგო | 0 თ |
| **საბერძნეთი. სუპერლიგა. III ტური** | | | | | | |
| დავით კვირკველია | 31 | პანიონიოსი | პაოკ | 1:2 (შ) | 82 წთ (შეცვალეს) | 3 თ |
| გიორგი შაშიაშვილი | 32 | ერგოტელისი | აეკ | 0:1 (გ) | სათადარიგო | 1 თ |
| **თურქეთი. სუპერლიგა. II ტური** | | | | | | |
| აკაკი ხუბუტია | 25 | სამსუნი | გალათასარაი | 1:3 (გ) | არ უთამაშია | 0 თ |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 29 | კაისერი | ანთალია | 0:1 (შ) | 90 წუთი | 2 თ |
| **ავსტრია. ბუნდესლიგა. VIII ტური** | | | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | 24 | შტურმი | ვაკერი | 1:1 (შ) | სათადარიგო | 5 თ |
| **კვიპროსი. I დივიზიონი. II ტური** | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | 33 | ეთნიკოსი | დერნია | 1:1 (შ) | 90 წუთი | 3 თ |
| ლევან ძებაძე | 36 | ეთნიკოსი | დერნია | 1:1 (შ) | 15 წთ (შეცვლაზე) | 3 თ |
| კლიმენტი წიტაიშვილი | 36 | ნეა სალამინა | ერმისი | 1:0 (შ) | არ უთამაშია | 0 თ |
| **ისრაელი. ლიგატ ჰაალი. IV ტური** | | | | | | |
| ლადო დვალიშვილი | 25 | მაქაბი ჰ. | ირონი | 3:1 (შ) | არ უთამაშია | 2 თ |
| **შვეიცარია. სუპერ ლიგა. IX ტური** | | | | | | |
| ირაკლი ჩირიკაშვილი | 23 | ქსამაქსი | იანგ ბოისი | | 21 სექტემბერს | 3 თ |
| **დანია. სასლიგა. VIII ტური** | | | | | | |
| დავით დევდარიანი | 23 | ორჰუსი | კოგე | 2:0 (გ) | 23 წთ (შეცვლაზე) | 2 თ |
| გიორგი დიასამიძე | 19 | ორჰუსი | კოგე | 2:0 (გ) | არ უთამაშია | 0 თ |
| დავით სხირტლაძე | 18 | ორჰუსი | კოგე | 2:0 (გ) | არ უთამაშია | 1 თ |
| **პოლონეთი. ექსტრაკლასა. VII ტური** | | | | | | |
| ნიკა ძალამიძე | 19 | ვიძევი | ზაგლებიე | 0:0 (შ) | 85 წთ (შეცვალეს) | 7 თ, 1 გ |
| მერაბ გიგაური | 18 | იაგიელონია | ლეხი | 1:4 (გ) | არ უთამაშია | 0 თ |
| **სერბეთი. სუპერლიგა. V ტური** | | | | | | |
| გიორგი მერებაშვილი | 24 | ვოივოდინა | ოფკ | 2:0 (შ) | 80 წთ (შეცვალეს), გააფრთხ. | 5 თ |
| **უნგრეთი. NB-1. IX ტური** | | | | | | |
| გიორგი განუგრავა | 23 | ლომბარდი | ჰალადაში | 1:2 (გ) | 90 წუთი | 9 თ, 1 გ |
| ლაშა თოთაძე | 22 | ლომბარდი | ჰალადაში | 1:2 (გ) | 90 წუთი, გააფრთხ. | 9 თ |
| რატი ალექსიძე | 33 | დიორი | ფერენც. | 2:0 (შ) | 66 წთ (შეცვ.), 1 გოლი, 1 პასი | 9 თ 2 გ |
| **ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XXV ტური** | | | | | | |
| ირაკლი სირბილაძე | 28 | იარო | ტიპს | 1:2 (გ) | 90 წუთი | 10 თ, 8 გ |
| **იაპონია. ჯეილიგა. XXVI ტური** | | | | | | |
| დავით მუჯირი | 33 | ჰიროშიმა | ივატა | 3:1 (შ) | 1 წთ (შეცვლაზე) | 26 თ, 5 გ |
| **სამხ. აფრიკა. პსლ. IV ტური** | | | | | | |
| გიორგი ნერგაძე | 28 | მოროკა | ამაზულუ | 1:0 (გ) | 90 წუთი | 4 თ |

# არნემის ქართული დღე

## კობის საინტერესო დუელი, ლიდერი რატი და მარცვალაძის საუკეთესო

შაბათს არნემში ქართული დღე იყო - **მერაბ ჟორდანიას** „ვიტესმა“ 5:0 გაანადგურა „როდა“ და ცხრილის ზედა მხარეს აინაცვლა. ქართველი პრეზიდენტის გუნდს 5 თამაშიდან უკვე 3 მოგება აქვს. რაც ყველაზე მთავარია, „ვიტესის“ ქართველმა ლეგიონერებმა დიდებულად ითამაშეს. მეორე გოლი სტუმართა კარში 71-ე წუთზე გავიდა და ეს **გურამ კაშიამ** გააკეთა, გუნდის კაპიტანმა ლამის ნახევარი მოედანი გაიარა ბურთიანად კონტრშეტევაზე, მოატყუა სამი მცველი და მეკარე და ისე აიღო „როდას“ კარი. ეს კაშიას პირველი გოლია სეზონში. მცველს თანამემამულე ფორვარდმაც უმალ აუბა მხარი, ორ წუთში **გიორგი ჭანტურიამ** შორეული გასროლით სტუმართა „ცხრიანში“ გაიტანა. ამით არ დასრულებულა ჩვენებურთა გმირობანი, 76-ე წუთზე ჭანტურიამ თავგზა აუბნია ფლანგზე მცველებს და ის მხოლოდ წესის დარღვევით შეაჩერეს, პენალტი კი სხვამ დაარტყა. 18 წლის ჭანტურიამ სეზონში მე-2 გოლი გაიტანა.



არნემული მატჩის ქართველი გმირები: გიორგი ჭანტურია (მარცხნივ) და გურამ კაშია

რაც „კრასნოდარშია“, **ოთარ მარცვალაძემ** საუკეთესო მატჩი ჩაატარა - არადა, გოლი არ გაუტანია, კავკასიელებმა ციმბირში 4:0 მოუგეს „ტომს“ (**ამისულაშვილმა** შეუცვლელად ითამაშა), მატჩის ყველაზე აქტიური მოთამაშე კი ოთარი იყო. ქართველი ფორვარდის ანგარიშზე ორი საგოლე პასი, მოპოვებული პენალტი და დაწიოკებული მასპინძელი მცველებია. „ვოლგა“ თანდათან უინტერესო ხდება ჩვენთვის, ქართველთა სიმრავლის მიუხედავად, რეგულარულად ჩვენებურები აღარ თამაშობენ ამ გუნდში, ბოლო ტურში მხოლოდ **მათე ვაწაძემ** ითამაშა, არადა, თუ **გოგუას** ჩავთვლით (რომელიც დუბლების მატჩში გააძევეს), ნიჟნი ნოვგოროდის კლუბში 6 ჩვენებური ირიცხება.



ბურთით ოთარ მარცვალაძე

ბუნდესლიგაში ძალიან საინტერესო დუელი ვიხილეთ - ბერლინში „ჰერტა“ „აუგსბურგს“ დაუპირისპირდა და 2:2 დაუზავდა. საინტერესო კი **ლევან კობიაშვილისა** და **აკაკი გოგიას** დუელი იყო, ქართველი დაცვის მარცხენა ფრთაზე თამაშობდა, ქართული წარმოშობის გერმანელი კი - ზუსტად მის მხარეს, შეტევის მარჯვენა ფრთაზე. „შპორტალმა“ კობიაშვილი ამ დუელიდან გამარჯვებული გაიყვანა - კობის 3,5 დაუწერეს, გოგიას - 4. ლევანს ქულები შეტევაში არცთუ აქტიურობისთვის დაუკლეს, თორემ დაცვაში სოლიდური იყოო. მოდი, შევადაროთ მათი სტატისტიკაც - კობიაშვილი ბურთს 62-ჯერ შეეხო, გოგია - 29-ჯერ, ლევანმა 46 პასი გააკეთა (93,5%-იანი სიზუსტით), აკაკიმ კი მხოლოდ - 15 (66,7%-იანი სიზუსტით).

**კახა კალაძის** „ჯენოამ“ 2:1 მოიგო რომში „ლაციოსთან“ მატჩში, ჩვენებურმა 90 წუთი ითამაშა დაცვის ცენტრში. თამაშის შემდეგ კახამ შეცვლაზე შესულ **ხორკერას** გენუის პატარა პირლო უწოდა. „კალჩომერკატომ“ ჩვენებურს 5,5 ბალი დაუწერა. „დატასპორტი“ (იგივე შეფასება) იუწყება, რომ ქართველმა მცველმა მეორე ტაიმში უკეთ ითამაშა.

**რატი ალექსიძემ** სეზონში მეორე გოლი გაიტანა, მან მეორე გოლშიც ლომის წილი დაიდო („დიორი ეტომ“ 2:0 მოუგო „ფერენცვაროშს“). ქართველის გუნდი „დებრეცენთან“ ერთად, 25-25 ქულით ლიდერობს უნგრეთში.

ჩვენი ლეგიონის მონაგარს ცხრილიდანაც შეიტყობთ, რაც ცხრილში ვერ მოხვდა კი (უფრო დაბალი დონის ლიგებში) ესაა: ლატვიის ჩემპიონატში „გულბენე“-“დაუგავას“ მატჩში მხოლოდ ქართული გოლები გავიდა, ჯერ მასპინძელმა **ლევან არველაძემ** გახსნა ანგარიში, შემდეგ **მამუკა ლონლაძემ** დუბლი შეასრულა და სტუმრებს მოაგებინა - 2:1. 25 წლის ლონლაძემ 18 თამაშში 15 გოლი გაიტანა ჩემპიონატში. ამავე ჩემპიონატში, რიგის „ოლიმპსმა“ 1:7 წააგო „ლიეპაიასთან“ და პრესტიჟის გოლი პენალტით **პაატა ბალაძემ** გაიტანა. ესტონეთში გოლი „ფლორას“ შემტევმა ნახევარმცველმა **ზაქარია ბეგლარიშვილმა** გაიტანა („ტამეკას“ კარში).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ინგლისური და რუსული ენების შემსწავლელი ცენტრი FutureWorld გთავაზობთ:

- ენების შესწავლა ჯგუფურად და ინდივიდუალურად!
- მოსამზადებელი კურსები PET, FCE, CAE, CPE, IEILTS, TOEFL.
- საბავშვო საერთაშორისო Helen O'Grady ინგლისური ენის დრამის.
- საზაფხულო საერთაშორისო ბანაკები ევროპაში.
- აბიტურიენტების მომზადება ეროვნული გამოცდებისათვის.
- სტუდია სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის
- კურსდამთავრებულთათვის გაიცემა შესაბამისი სერთიფიკატი.



FutureWorld

ჩვენი მისამართია: თბილისი, საბურთალო, მიცკევიჩის ქ. 17, ბ. 10
238-22-96, 599-53-61-96
www.futureworld.ge

## უცხოური ფეხბურთი

ესპანეთი. ლა ლიგა. III ტური

# ნუ გაალღვიძებთ მთვლემარე მხეცს!

## და ნუ იხუმრებთ უშნოდ



ლეო მესი ადამიანია, თუმცა 3 გოლი და 2 საგოლე პასი სხვაზე მეტყველებს

შაბათს, მატჩისწინა პრესკონფერენციაზე უშნო ხუმრობა გამოუვიდა **ჟოზე მოურინიოს**. პორტუგალიელმა, თავის ჭკუით, დასცინა **ხოსეპ გვარდიოლას** ფრთხილ გამონათქვამებს - მე არასოდეს ვგეგმავ ტიტულებსო და უფრო შორს წავიდა - „განსაკუთრებულმა" თქვა, ჩვენი მიზანია ლიგიდან არ გავვარდეთო. მეორე დღეს კი მისმა გუნდმა ტურის მთავარი სენსაცია შემოგვთავაზა - ნახევარზე მეტი დრო 10 კაცით ითამაშა და 0:1 წააგო მოკრძალებულ „ლევანტესთან". „რეალის" სერია კოტდივუარელმა **არუნა კონემ** შეწყვიტა, როცა მეორე ტაიმში **ხავი ვენტას** პასი გამოიყენა, მანამდე იყო **სამი ხედირას** გაძევება. ტურში კი ორმა გუნდმა („ბარსელონამ" და „ატლეტიკომ") ლამის იმაზე მეტი გაიტანა, ვიდრე დანარჩენმა 18-მა.

ბოლო დღეებში „ბარსელონამ" ორჯერ 2:2 ითამაშა, ჯერ ბასკურ „რეალ სოსიედადთან", შემდეგ იტალიურ „მილანთან" და წავიდა... არ დარჩენილა მთელ ევროპაში თუნდაც ერთი მედია საშუალება (მათ შორის, ჩვენიც), რომელსაც „ბარსას" კრიზისზე თუ არა, არადამაჯერებელ სტარტზე მაინც რომ არ დაეწეროს. გაკეთდა შორსმიმავალი დასკვნებიც (მაგალითად, კატალონიელთა ზეობა სრულდება), თვითკრიტიკული გამონათქვამებიც (**დანი ალვეში:** ჩვენ ისეთი დიდებიც არ ვართ, როგორც გვგონია; ხოსეპ გვარდიოლა: შარშანდელი დონის თამაშით, წლეულს ლიგას ველარ მოვიგებთ) და ასე შემდეგ. მოკლედ, ისე გამოვიდა, რომ ამ ხელოვნურმა გამაღიზიანებელმა ისევ ამ საქმეში უდანაშაულო დააზარალა - ნავარული მოკრძალებული, მაგრამ ამაყი „ოსასუნა". გუნდმა ისედაც იცოდა სად მიდიოდა და რა ელოდა შაბათს, მაგრამ გაავებული „ბარსელონა" კი დაუხვდა - პეპის გუნდი ისე თამაშობდა, თითქოს, მოსისხლე მტერი „რეალი" იყო მის წინააღმდეგ გამოსული და ნავარული ბასტიონიც ნაწილებად დაიშალა - 8:0, პირველი არასოლიდური ანგარიში წლევანდელ ლა ლიგაში. **ლეო მესიმ** სეზონის პირველი ჰეთ თრიკი შეასრულა (რასაც ორი საგოლე პასი დაამატა), **დავიდ ვილიამ** - დუბლი, გოლები გაიტანეს **სესკ ფაბრეგასმა** და **ჩავიმაც**, ერთიც თავის კარში გაიტანეს სტუმრებმა და ასე შეგროვდა 8 გოლი საბრალო **ანდრეს ფერნანდესის** კარში. სხვათა შორის, 24 წლის ანდრესი მესამე მეკარეა **რიკარდოსა** და **რიესგოს** შემდეგ, თუმცა ამ სეზონში უკვე მეორედ მოხვდა სასტარტოში. მოვლენები კი ასე განვითარდა მის კართან: მე-5 წუთზე დანი ალვეშმა მარჯვნიდან თავით ჩააწოდა მეკარის ბაქანზე, სადაც გოლკიპერს მესიმ დაასწრო. მე-12 წუთზე ფაბრეგასმა საჯარიმოში მესისგან მიილო პასი და არ დაალალატა თანაგუნდელი, 33-ე წუთზე **აბიდალმა** მეკარესთან პირისპირ ვილია გაიყვანა, მანაც მოატყუა ანდრესი და ცარიელ კარში შეაგორა, 39-ე წუთზე კვლავ ვილია გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ „ბოლო სიტყვა" მცველ **როვერსიოს** დარჩა, მე-40 წუთზე ფაბრეგასმა და მესიმ კომბინაცია პენალტის ნიშნულთან გაითამაშეს, რასაც არგენტინელის გოლი მოჰყვა. მეორე ტაიმში ჯერ ჩავიმ გადაუგდო მეკარეს თავზე ბურთი (56-ე წუთი), შემდეგ სესკის საოცარი დრიბლინგის შემდეგ ვილიამ გაიტანა და ყველაფერი მესიმ 78-ე წუთზე ისეთ სტილში დაასრულა, გულქვა იქნებოდი, „ოსასუნა", რომ არ შეგცოდებოდა და „ბარსელონაც" გაჩერდა.

მატჩის გმირი უდავოდ მესია, თუმცა არანაკლებ ითამაშა სესკმაც, რომელმაც გოლი და სამი საგოლე პასი მიითვალა.

მოდი, ასე ვთქვათ - ის, რომ „ვალენსია" დაუმარცხებელი ლიდერია, ორი კაცის დამსახურებაა, გოლის ავტორ **რობერტო სოლდადოსი**, რომელმაც ხიხონში გამარჯვებისა შეაგდო და მეკარე **ვისენტე გუაიტასი**, რომელმაც ასტურიელთა შეტევები მოიგერია. 29-ე წუთზე შეტევა მარცხნიდან **პაბლო ერნანდესმა** წამოიწყო, ბურთი **ჟონასს** მიუვიდა, თუმცა ბრაზილიელის დარტყმული **ხუან პაბლომ** მოიგერია, მისთვის საუბედუროდ ბურთი სოლდადოს მიუვიდა, რომელსაც ჩემპიონატში მე-5 გოლის გატანა არ გასჭირვებია. შაბათის სხვა მატჩებშიც თითო გოლმა გადაწყვიტა ყველაფერი - **ფრედერიკ კანუტემ** „სევილიას" მოაგებინა „რეალ სოსიედადთან" მატჩში, მას შემდეგ, რაც **ალვარო ნეგრედომ** თავით გადააწოდა პასი, „მალაგას" გამარჯვება **მარტინ დემიკელისის** თავურმა მოუტანა ბალეარებზე, ხოლო დებიუტანტ „გრანადას" პირველი ქულები ნიგერიელმა **იკეჩუკვუ უჩემ** მოუტანა „ვილიარეალთან" შეხვედრაში.

გუშინდელი დღე მცირე მადრიდული დერბით გაიხსნა, ორი გარეუბნის გუნდების მატჩში „რაიო ვალეკანომ" **მიგელ პერესის** (იგივე **მიჩუ**) ერთადერთი გოლის წყალობით იმარჯვა „ხეტაფეზე". „ესპანიოლს" „სარაგოსამ" კი არა, მისმა ყოფილმა კაპიტანმა, **ლუის გარსიამ** მოუგო, რომელმაც დუბლი შეასრულა ბარსელონელთა კარში - 2:1.

ესეც „პორტუს" ყოფილი ვარსკვლავის **რადამელ ფალკაოს** პირველი გოლები ესპანეთში, თანაც ერთბაშად სამი - კოლუმბიელის ჰეთ თრიკს **ადრიან ლოპესმა** ერთიც მიაყოლა და „ატლეტიკომ" 4:0 გაანადგურა „რასინგი". ვფიქრობთ, საქართველოს ნაკრების ყოფილი თავკაცი **ექტორ კუპერი** მოხსნის პირველი კანდიდატია პრიმერაში.

დაბოლოს, იყო თრილერი ბილბაოში, რომლის შესახებაც ხვალ უფრო დაწვრილებით მოგიყვებით (ეს თამაში ამად ღირს), 3:2 მოიგო „ბეტისმა" და ესპანეთში ორხელისუფლებიანობა დააკანონა.

გვერდი მოამზადა

**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### მომდევნო ტური

20 სექტემბერი: ოსასუნა-სევილია, რეალ სოსიედადი-გრანადა, ვილიარეალი-მალიორკა.

21 სექტემბერი: ატლეტიკო-სპორტინგი, მალაგა-ბილბაო, რაიო ვალეკანო-ლევანტე, რასინგი-რეალი, ვალენსია-ბარსელონა.

22 სექტემბერი: ესპანიოლი-ხეტაფე, ბეტისი-სარაგოსა.

## პორტუგალია

ლიგა საგრეში V ტური

**ჟილ ვისენტე-ოლჰანენსე 1:1**

გოლები: 0:1 ედუარდო (44), 1:1 კლაუდიო (89)

**ნასიონალი-ფერეირა 1:0**

გოლი: 1:0 მატეუში (20)

გაძევება: ფ. ლოპესი (76. ნასიონალი), ჟოზე (88. ფერეირა)

**ლეირია-მარიტიმუ 1:3**

გოლები: 0:1 ბაბა (20), 0:2 ოლბერდამი (22), 0:3 ბაბა (70), 1:3 კურტო (78)

**სეტუბალი-ბეირა მარი 1:0**

გოლი: 1:0 რ. სილვა (69)

**ფეირენსე-პორტუ 0:0**

გაძევება: ჯ. როდრიგესი (90. პორტუ)

**ბენფიკა-აკადემიკა 4:1**

გოლები: 1:0 სეზარი (26), 1:1 დანილო (40), 2:1 ნოლიტო (42), 3:1 აიმარი (82), 4:1 ნოლიტო (90)

**გიმარაეში-ბრაგა დღეს**

**რიუ ავე-სპორტინგი დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 5 | 4 | 1 | 0 | 12-3 | 13 |
| 2. ბენფიკა | 5 | 4 | 1 | 0 | 13-5 | 13 |
| 3. ბრაგა | 4 | 3 | 1 | 0 | 6-1 | 10 |
| 4. მარიტიმუ | 5 | 3 | 1 | 1 | 8-6 | 10 |
| 5. აკადემიკა | 5 | 3 | 0 | 2 | 8-7 | 9 |
| 6. სეტუბალი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-7 | 7 |
| 7. ოლჰანენსე | 5 | 1 | 3 | 1 | 6-6 | 6 |
| 8. ფეირენსე | 5 | 1 | 3 | 1 | 3-4 | 6 |
| 9. ბეირა მარი | 5 | 1 | 2 | 2 | 3-2 | 5 |
| 10. სპორტინგი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-6 | 5 |
| 11. ჟილ ვისენტე | 5 | 1 | 2 | 2 | 7-9 | 5 |
| 12. ფერეირა | 5 | 1 | 1 | 3 | 5-7 | 4 |
| 13. ნასიონალი | 5 | 1 | 1 | 3 | 2-10 | 4 |
| 14. გიმარაეში | 4 | 1 | 0 | 3 | 5-7 | 3 |
| 15. ლეირია | 5 | 1 | 0 | 4 | 6-12 | 3 |
| 16. რიუ ავე | 4 | 0 | 1 | 3 | 1-4 | 1 |

**ბომბარდირები:** 4 - კარდოსო (ბენფიკა), ედერი (აკადემიკა), ნოლიტო (ბენფიკა).

### სპორტინგი-ვალენსია 0:1

**სპორტინგი (4-2-3-1):** ხ. პაბლო - დ. სუარესი (77. კარმელო), ბოტია, გრეგორი, კანელია - რივერა, ს. ალვარესი - ნ. ნოვო (56. ლორა), ანდრე კაშტრო (57. სანგოი), დე ლას კუევასი - ბარალი.

**ვალენსია (4-2-3-1):** გუაიტა - ბრუნო, რამი, რუისი, ალბა - ალბელდა, ბანეგა - პ. ერნანდესი, ჟონასი (60. პიატი), კანალესი (78. ტ. კოსტა) - სოლდადო (68. ადურისი).

**გოლი:** 0:1 სოლდადო (29)

**გაფრთხილება:** რივერა - რუისი, ალბა, ბრუნო, ერნანდესი, პიატი

**კუთხური:** 5-8; **ჯარიმა:** 13-19; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 15-11 (4-5); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 20 000

### გრანადა-ვილიარეალი 1:0

**გრანადა (4-2-3-1):** რობერტო - ნიომი, დიახატე, მაინსი, სიკერა - მოისესი, იებდა (86. აბელი) - ხარა, მარტინში (68. რიკო), ბენიტესი - უჩე (72. გეიხო).

**ვილიარეალი (4-4-2):** სესარი - მარიო, საპატა, მუსაჩიო, კატალა (59. დე გუზმანი) - ბ. ვალერო, მარჩენა, კანი (67. კამუნიასი), ბრუნო - მ. რუბენი (59. ნილმარი), როსი.

**გოლი:** 1:0 უჩე (55)

**გაფრთხილება:** მარტინში, იებდა, მოისესი, რიკო, დიახატე, ნიომი - კატალა, მუსაჩიო

**კუთხური:** 0-7; **ჯარიმა:** 15-11; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 8-14 (2-4); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 14 000

### მალიორკა-მალაგა 0:1

**მალიორკა (4-2-3-1):** ავატე - ზუიველროონი, ჩიკო, რამისი, კასერესი - პინა, ტისონე - ტეხერა (70. პერეირა), ალფარო (46. იენაგა), ნსუე - ჰემედი (56. ვიქტორი).

**მალაგა (4-2-3-1):** კაბალიერო - გამესი, დემიკელისი, მატეისენი, ელიზეუ - ტულალანი, დუდა (80. სება ფერნანდესი) - ხოაკინი, ჟ. ბაპტიშტა (65. მარესკა), კასორლა - ვან ნისტელროი (70. რონდონი).

**გოლი:** 0:1 კასერესი (39. ს.კ.)

**გაფრთხილება:** ჩიკო, კასერესი - ტულალანი

**კუთხური:** 4-8; **ჯარიმა:** 21-12; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 6-8 (1-4); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 12 000

### ბარსელონა-ოსასუნა 8:0

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დ. ალვეში, მასკერანო, პუიოლი (53. მაქსველი), აბიდალი (46. ადრიანო) - ჩავი (60. აფელაი), ბუსკეტსი, ტ. ალკანტარა - მესი, ფაბრეგასი, ვილია.

**ოსასუნა (4-1-4-1):** ა. ფერნანდესი - ბერტრანი, რუბენი, როვერსიო, რაიტალა (46: სეხუდო) - ლოლო - დამია, პუნიალი (77. ტიმორი), რ. გარსია (61. იბრაჰიმა), ლამა - ნინო.

**გოლები:** 1:0 მესი (5), 2:0 ფაბრეგასი (12), 3:0 ვილია (33), 4:0 როვერსიო (39 ს.კ.), 5:0 მესი (40), 6:0 ჩავი (56), 7:0 ვილია (75), 8:0 მესი (78)

**გაფრთხილება:** ვილია - ლამა, გარსია, იბრაჰიმა, დამია, ტიმორი

**კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 9-15; **თამაშგარე:** 7-1; **კარში დარტყმა:** 18-7 (14-1); **ბურთის ფლობა:** 75%-25%.

**მაყურებელი:** 85 000

### სევილია-რეალ სოსიედადი 1:0

**სევილია (4-4-2):** ვარასი - კოკე, სპაჰიჩი, ესკუდე, ფ. ნავარო - ხესუს ნავასი, მედელი, ტროხოვსკი (73. რაკიტიჩი), პეროტი (82. არმენტეროსი) - კანუტე (68. დელ მორალი), ნეგრედო.

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - კ. მარტინესი, დემიდოვი, ი. მარტინესი, დე ლა ბელა - მარიგა, არანბურუ (60. ილარამენდი) - ჩაბი პრიეტო (30. კადამური), ზურუტუზა (76. აგირეჩე), გრიზმანი - იფრანი.

**გოლი:** 1:0 კანუტე (53)

**გაფრთხილება:** ესკუდე, სპაჰიჩი, კოკე - დე ლა ბელა, მარიგა

**კუთხური:** 8-1; **ჯარიმა:** 20-9; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 15-11 (5-1); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 35 000

### ხეტაფე-რაიო ვალეკანო 0:1

**ხეტაფე (4-4-2):** მოია - ვალერა, კატა დიასი, ლოპო, მასილელა - პედრო ლეონი (71. აბდელი), ლასენი, ხ. როდრიგესი (34. რ. პერესი), სარაბია (60. პ. რიოსი) - გუისა, მიკუ.

**რაიო ვალეკანო (4-2-3-1):** დანი - ტიტო, არიბასი, ხორდი, კასადო - მოვილია, ფუეგო - პიტი (74. დელიბაშიჩი), მიჩუ, ბოტელიო (82. პაჩეკო) - ტამუდო (57. ლას. ბანგურა).

**გოლი:** 0:1 მიჩუ (4)

**გაფრთხილება:** მასილელა, პერესი, რიოსი - ბოტელიო, არიბასი, კასადო, ტიტო, მიჩუ

**კუთხური:** 6-8; **ჯარიმა:** 20-14; **თამაშგარე:** 3-6; **კარში დარტყმა:** 7-9 (2-4); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 12 000

### სარაგოსა-ესპანიოლი 2:1

**სარაგოსა (5-4-1):** რობერტო - ხუარესი, მატეოსი, მეირა (78. აბრაამი), დ. სილვა, პარედესი - ლ. გარსია, პონსიო (59. ბარერა), რუბენ მიკაელი, ლაფიტა - პოშტიგა (81. ბრაულიო).

**ესპანიოლი (4-4-2):** ალვარესი - ხ. ლოპესი, ფორლინი, მორენო, დიდაკ ვილა - ს. გარსია, ბაენა, მარკესი (46. პანდიანი), ვერდიუ (24. რომარიკი) - ტიევი, ა. ვასკესი (46. ვეისი).

**გოლები:** 1:0 ლუის გარსია (29), 1:1 ხ. ლოპესი (71), 2:1 ლუის გარსია (91)

**გაფრთხილება:** მატეოსი, პოშტიგა - მორენო, ხ. ლოპესი, რომარიკი, ვეისი

**გაძევება:** ხ. ლოპესი (89)

**კუთხური:** 2-5; **ჯარიმა:** 23-11; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 12-14 (5-4); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 25 000

### ატლეტიკო-რასინგი 4:0

**ატლეტიკო (4-2-3-1):** კურტუა - პერეა, მირანდა, დომინგესი, ფილიპე ლუიში - ტიაგო, მ. სუარესი - რეიესი (75. ხუანფრანი), დიეგო (46. ადრიანი), არდა - ფალკაო (67. პიცი).

**რასინგი (4-2-3-1):** ტონიო - ფრანსისი, ალვარო, ოსმარი, სისმა - ციოლისი, ა. გონსალესი (66. ედუ ბედია) - არანა (65. ნაუელპანი), აკოსტა, ლუკე (46. სერანო) - სტუანი.

**გოლები:** 1:0 ფალკაო (23), 2:0 ფალკაო (35-პენ), 3:0 ფალკაო (55), 4:0 ადრიანი (78)

**გაფრთხილება:** პერეა, სუარესი, ადრიანი - ოსმარი, აკოსტა

**კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 17-16; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 17-4 (7-0); **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 48 000

### ლევანტე-რეალი 1:0

**ლევანტე (4-2-3-1):** მუნუა - ვენტა, ბალესტეროსი, ნანო, ხუანფრანი - ხ. ტორესი, იბორა - ვალდო, ბარკერო (72. რ. სუარესი), ხუანლუ (84. პალიარდო) - კონე (82. არანდა).

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - სერხიო რამოსი, პეპე, რიკარდო კარვალიო, მარსელო (69. იოზილი) - ხედირა, ჩაბი ალონსო - დი მარია, კაკა (58. იგუაინი), კოენტრაო - ბენზემა (46. რონალდო).

**გოლი:** 1:0 კონე (67)

**გაფრთხილება:** ბალესტეროსი, ვენტა, იბორა, პალიარდო, ვალდო, სუარესი - პეპე, ხედირა, კოენტრაო, დი მარია

**გაძევება:** ხედირა (39)

**კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 19-16; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 11-14 (4-3); **ბურთის ფლობა:** 30%-70%.

**მაყურებელი:** 25 000

### ბილბაო-ბეტისი 2:3

**ბილბაო (4-2-3-1):** ირაისოსი - ირაოლა, ხ. მარტინესი, ამორებიეტა, დე მარკოსი - გურპეგი (80. ტოკერო), იტურასპე (63. დ. ლოპესი) - სუსაეტა, მუნიაინი, გაბილონდო (66. ი. მარტინესი) - ლორენტე.

**ბეტისი (4-2-3-1):** კასტრო - ჩიკა, მარიო, დორადო, ნაჩო - ირინეი, ბენატი (82. მატილია) - პერეირა, სევილია, მონტერო (67. ესეკილი) - სანტა კრუსი (76. ამაია).

**გოლები:** 0:1 ბენატი (6), 0:2 ნაჩო (12), 1:2 დე მარკოსი (37), 1:3 სევილია (45-პენ), 2:3 დ. ლოპესი (85-პენ)

**გაფრთხილება:** ამორებიეტა, დე მარკოსი, გურპეგი, მუნიაინი - კასტრო, მარიო, ნაჩო, ირინეი

**გაძევება:** მარიო (74), ამორებიეტა (94)

**კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 12-18; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 18-18 (9-6); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 38 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვალენსია | 3 | 3 | 0 | 0 | 6-3 | 9 |
| 2. ბეტისი | 3 | 3 | 0 | 0 | 5-2 | 9 |
| 3. ბარსელონა | 3 | 2 | 1 | 0 | 15-2 | 7 |
| 4. სევილია | 3 | 2 | 1 | 0 | 5-3 | 7 |
| 5. რეალი | 3 | 2 | 0 | 1 | 10-3 | 6 |
| 6. მალაგა | 3 | 2 | 0 | 1 | 6-2 | 6 |
| 7. ვალეკანო | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| 8. ლევანტე | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| 9. ატლეტიკო | 3 | 1 | 1 | 1 | 4-1 | 4 |
| 10. სოსიედადი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 11. სარაგოსა | 3 | 1 | 1 | 1 | 2-7 | 4 |
| 12. ოსასუნა | 3 | 1 | 1 | 1 | 2-9 | 4 |
| 13. ესპანიოლი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| 14. მალიორკა | 3 | 1 | 0 | 2 | 1-2 | 3 |
| 15. გრანადა | 3 | 1 | 0 | 2 | 1-5 | 3 |
| 16. ბილბაო | 3 | 0 | 1 | 2 | 4-6 | 1 |
| 17. ხეტაფე | 3 | 0 | 1 | 2 | 3-6 | 1 |
| 18. რასინგი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-8 | 1 |
| 19. ვილიარეალი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-8 | 1 |
| 20. სპორტინგი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-5 | 0 |

**ბომბარდირები:** 5 - სოლდადო (ვალენსია), მესი (ბარსელონა); 4 - რონალდო (რეალი); 3 - აგირეჩე (რეალ სოსიედადი), კასორლა (მალაგა), მიკუ (ხეტაფე), ნეგრედო (სევილია), ფაბრეგასი (ბარსელონა), ფალკაო (ატლეტიკო).

### მომდევნო ტური

20 სექტემბერი: ოსასუნა-სევილია, რეალ სოსიედადი-გრანადა, ვილიარეალი-მალიორკა.

21 სექტემბერი: ატლეტიკო-სპორტინგი, მალაგა-ბილბაო, რაიო ვალეკანო-ლევანტე, რასინგი-რეალი, ვალენსია-ბარსელონა.

22 სექტემბერი: ესპანიოლი-ხეტაფე, ბეტისი-სარაგოსა.

### სეგუნდა დივიზიონი. IV ტური

**ერკულესი-ბარსელონა II 2:1**

გოლები: 1:0 მიჩელი (52), 1:1 დეულოფეუ (53), 2:1 სამუელი (71)

გაძევება: დიეგო რივასი (26. ერკულესი)

**ვალიადოლიდი-მურსია 1:3**

გოლები: 0:1 ბარახა (7 ს.კ.), 0:2 რიჩი (15), 1:2 ხავი გუერა (86), 1:3 იტურა (89)

გაძევება: პედრო (61. მურსია), რუედა (89. ვალიადოლიდი)

**დეპორტივო-საბადელი 2:1**

გოლები: 1:0 ვალერონი (41), 2:0 გუარდადო (45), 2:1 ნ. ბა (75)

**კარტახენა-ალკორკონი 0:2**

გოლები: 0:1 ქუინი (63), 0:2 მონტანიესი (77)

გაძევება: გონი (57. კარტახენა)

**უესკა-ალკოიანო 3:3**

გოლები: 1:0 ხ. მარტინესი (13), 2:0 მოლინა (22), 2:1 ა. გარსია (31), 2:2 მიკი (44), 3:2 ელგერა (72), 3:3 რ. გომესი (77)

**ხერესი-ხიმნასტიკი 0:0**

გაძევება: ხიმენო (83. ხიმნასტიკი)

**ნუმანსია-ხირონა 1:0**

გოლი: ალვარესი (90)

**უელვა-ელჩე 1:0**

გოლი: 1:0 კვილო (55)

გაძევება: რუპერი (68. ელჩე)

**ლას პალმასი-კორდობა 0:1**

გოლი: 0:1 შარლესი (71)

**ალმერია-სელტა 1:0**

გოლი: 1:0 ბერნარდელო (74)

**ვილიარეალი II-გვადალახარა 3:3**

გოლები: 1:0 ე. გარსია (10), 1:1 მორენო (17), 1:2 ჰარპერი (48), 1:3 ერნესტო (63-პენ), 2:3 ე. გარსია (68), 3:3 ხოსელუ (90)

გაძევება: დერვიტი (62. გაძევება)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ელჩე | 4 | 3 | 0 | 1 | 7-3 | 9 |
| 2. ერკულესი | 4 | 3 | 0 | 1 | 5-2 | 9 |
| 3. საბადელი | 4 | 3 | 0 | 1 | 10-8 | 9 |
| 4. დეპორტივო | 4 | 3 | 0 | 1 | 6-4 | 9 |
| 5. გვადალახარა | 4 | 2 | 2 | 0 | 8-5 | 8 |
| 6. ალმერია | 4 | 2 | 2 | 0 | 6-3 | 8 |
| 7. ალკორკონი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-2 | 7 |
| 8. ვალიადოლიდი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-4 | 7 |
| 9. ლას პალმასი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-3 | 7 |
| 10. კორდობა | 4 | 2 | 1 | 1 | 3-3 | 7 |
| 11. ხერესი | 4 | 2 | 1 | 1 | 2-2 | 7 |
| 12. სელტა | 4 | 2 | 0 | 2 | 6-5 | 6 |
| 13. უელვა | 4 | 2 | 0 | 2 | 3-3 | 6 |
| 14. ვილიარეალი II | 4 | 1 | 2 | 1 | 9-8 | 5 |
| 15. ნუმანსია | 4 | 1 | 2 | 1 | 2-2 | 5 |
| 16. ბარსელონა II | 4 | 1 | 0 | 3 | 7-7 | 3 |
| 17. მურსია | 4 | 1 | 0 | 3 | 4-7 | 3 |
| 18. ალკოიანო | 4 | 0 | 2 | 2 | 4-6 | 2 |
| 19. ხირონა | 4 | 0 | 2 | 2 | 4-8 | 2 |
| 20. ხიმნასტიკი | 4 | 0 | 2 | 2 | 1-6 | 2 |
| 21. უესკა | 4 | 0 | 1 | 3 | 5-10 | 1 |
| 22. კარტახენა | 4 | 0 | 0 | 4 | 2-11 | 0 |

**ბომბარდირები:** 4 - ბუენო (ვალიადოლიდი); 3 - რაფინია (ბარსელონა II), აირამი (ვილიარეალი II), ვიერა (ლას პალმასი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საფრანგეთი. ლიგა 1. VI ტური

# ლიონი ზემოთ, მარსელი ჯოჯოხეთში

საფრანგეთის ჩემპიონატი უხვგოლიანობით ნამდვილად არ გამოირჩევა, თუმცა ლიგა 1-ის გასულ ტურზე ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით. მოსაწყენი ერთი მატჩიც კი არ გამოსულა და მაყურებელმა ყველგან ჩინებული სანახაობა იხილა.

"მონპელიემ", რომელიც აქამდე ჩემპიონატს ერთპიროვნულად ლიდერობდა, სტუმრად "ბრესტთან" ორბურთიანი უპირატესობა გაანიავა და პოზიციები დათმო. ცხადი იყო, რომ "მონპელიე" ცხრილის სათავეში დიდხანს ვერ გაჩერდებოდა. ახლა საკითხავი ის არის, მალე გამოიკვეთება თუ არა ერთპიროვნული ლიდერი.

"ბრესტმა" კი ჩვეულებას არ უღალატა და ამჯერადაც ფრედ ითამაშა. მართალია, ამით ბევრს ვერაფერს მიაღწია და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა აუტსაიდერთა ჯგუფში დამკვიდრებისკენ, მაგრამ რაკი მარცხს "მონპელიესთან" დაპირისპირებაში გადაურჩა, ეს მატჩი უთუოდ ჯერაც გაუმარჯვებელი "ბრესტის" აქტივში უნდა ჩავწეროთ.

ვერ ივარგა მოქმედმა ჩემპიონმა "ლილმა", რომელმაც არასტაბილურობის კიდევ ერთი მაგალითი გვიჩვენა და იმის მიუხედავად, რომ ორჯერ დაწინაურდა, საკუთარ კედლებში "სოშოსთან" ფრეს დასჯერდა. "სოშოსთვის" ეს ზედიზედ მეოთხე დაუმარცხებელი მატჩი იყო, რაც ამ დონის გუნდისთვის საკმაო წარმატებაა.

ჩემპიონთა უილბლობა კი არაფერია იმ უსიამოვნებასთან შედარებით, რაც "ბორდოს" ტულუზში შეემთხვა. მასპინძლებმა ჩემპიონობის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატს ორბურთიანი ჩამორჩენა მეორე ტაიმის დებიუტში აღმოუფხვრეს, მეკარე **სედრიკ კარასოს** გაძევებამ კი "ბორდო" შოკში ჩააგდო და შეხვედრის მიწურულს ლოგიკური გოლი მიიღო.

გუშინ გალიდერებისკენ დიდი ნაბიჯის გადადგმა შეეძლოთ დედაქალაქელებს, მაგრამ პსჟ-მ, რომელიც დამარცხებასთანაც ახლოს იყო, შანსი ვერ გამოიყენა და ფრეს დასჯერდა.

შორსმიმავალი დასკვნების გაკეთება კი ჯერ ისევ ადრეა. როგორც ლიგა 1-ისთვისაა დამახასიათებელი, სატურნირო ცხრილში გუნდებს შორის საკმაო სიმჭიდროვეა და ცოტა მოგვიანებით გამოჩნდება, ვინაა ჩემპიონობის რეალური კანდიდატი და ვინ დასჯერდება უფრო მოკრძალებული მიზნებისთვის ბრძოლას.

ტურის ცენტრალურ მატჩში კი "ლიონმა" "მარსელს" შანსი არ დაუტოვა, თავად ერთპიროვნულად გალიდერდა, ხოლო ზღვისპირელები, რომლებსაც ჯერაც არ მოუგიათ, ცხრილის ფსკერზე ჩატოვა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**ოსერი–კაენი 1:1**

**გოლები:** 1:0 ჟემაა (32), 1:1 ნივე (45)

**ბრესტი–მონპელიე 2:2**

**გოლები:** 0:1 ჟირუ (19), 0:2 ჟირუ (41), 1:2 ვასა (61), 2:2 ჯენტილეტი (88)
**გაძევება:** მაკონდა (89. ბრესტი)

**ლორიანი–სენტ ეტიენი 3:0**

**გოლები:** 1:0 ალიადიერი (11), 2:0 ალიადიერი (77), 3:0 კუტადორი (90)

**ნიცა–აიაჩო 3:0**

**გოლები:** 1:0 მონსონი (45. პენ.), 2:0 მონსონი (87. პენ.), 3:0 სიველი (89)
**გაძევება:** კავალი (45. აიაჩო)

**ტულუზი–ბორდო 3:2**

**გოლები:** 0:1 დიაბეტე (19), 0:2 დიაბეტე (38), 1:2 ტაბანუ (53. პენ.), 2:2 კაპუე (59), 3:2 რივიერი (90)
**გაძევება:** კარასო (75. ბორდო)

**ვალანსიენი–დიჟონი 4:0**

**გოლები:** 1:0 დანიჩი (53), 2:0 გ. პუიოლი (75), 3:0 გ. პუიოლი (78), 4:0 კოჰადი (79)
**გაძევება:** პაული (76. დიჟონი)

**ლილი–სოშო 2:2**

**გოლები:** 1:0 პედრეტი (59), 1:1 ბაკამბუ (69), 2:1 აზარი (78. პენ.), 2:2 პრივატი (86)

**ევიანი–პსჟ 2:2**

**გოლები:** 1:0 ლეროი (15), 2:0 საგბო (20), 2:1 პასტორე (43), 2:2 ბოდმერი (80)

**რენი–ნანსი 1:1**

**გოლები:** 1:0 მონტანო (19), 1:1 ლუისი (78. პენ.)

**ლიონი–მარსელი 2:0**

**გოლები:** 1:0 გომისი (17), 2:0 ბაშტოში (29)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 6 | 4 | 2 | 0 | 11-5 | 14 |
| 2. მონპელიე | 6 | 4 | 1 | 1 | 12-5 | 13 |
| 3. ტულუზი | 6 | 4 | 1 | 1 | 10-6 | 13 |
| 4. ლილი | 6 | 3 | 2 | 1 | 11-8 | 11 |
| 5. პსჟ | 6 | 3 | 2 | 1 | 9-6 | 11 |
| 6. ლორიანი | 6 | 3 | 2 | 1 | 8-5 | 11 |
| 7. რენი | 6 | 3 | 2 | 1 | 11-9 | 11 |
| 8. სოშო | 6 | 2 | 3 | 1 | 10-9 | 9 |
| 9. ოსერი | 6 | 1 | 4 | 1 | 9-8 | 7 |
| 10. ევიანი | 6 | 1 | 4 | 1 | 6-6 | 7 |
| 11. კაენი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-8 | 7 |
| 12. ს.ტ ეტიენი | 6 | 2 | 1 | 3 | 5-9 | 7 |
| 13. ბორდო | 6 | 1 | 3 | 2 | 7-8 | 6 |
| 14. დიჟონი | 6 | 2 | 0 | 4 | 5-13 | 6 |
| 15. ბრესტი | 6 | 0 | 5 | 1 | 5-6 | 5 |
| 16. ნიცა | 6 | 1 | 2 | 3 | 5-6 | 5 |
| 17. აიაჩო | 6 | 1 | 2 | 3 | 6-12 | 5 |
| 18. ვალანსიენი | 6 | 1 | 1 | 4 | 7-8 | 4 |
| 19. ნანსი | 6 | 0 | 3 | 3 | 4-7 | 3 |
| 20. მარსელი | 6 | 0 | 3 | 3 | 6-10 | 3 |

**ბომბარდირები:** 5 - ა. ტრაორე (ოსერი), 4 – ჟირუ (მონპელიე), სამარიტანო (აიაჩო)

**შემდეგი ტური**

24 სექტემბერი: ევიანი-კაენი, ლილი-ლორიანი, ლიონი-ბორდო, ნიცა-დიჟონი, ტულუზი-ნანსი, ვალანსიენი-მარსელი, მონპელიე-პსჟ

25 სექტემბერი: ოსერი-სოშო, ბრესტი-აიაჩო, რენი-სენტ ეტიენი

## ბელგია

ჟუპილერლიგა. VII ტური

**სერკლ ბრიუგე-ლიერსი 0:0**

**ბეერსხოტი-ზულტე ვარეგემი 2:0**

გოლები: 1:0 სიდიბე (13), 2:0 გიიომი (85)

**კორტრიიკი-ევერლე 2:0**

გოლები: 1:0 ოსალა (4), 2:0 კაპონი (22)

**მონსი-მეხელენი 5:1**

გოლები: 1:0 პერბე (7), 1:1 იდი (35), 2:1 ბურაბია (44), 3:1 ბერბე (64), 4:1 პერბე (86), 5:1 ბურაბია (90)

**ვესტერლო-სენტ ტრუიდენი 2:0**

გოლები: 1:0 არბეიტმანი (51), 2:0 არბეიტმანი (69)

**გენტი-ანდერლეხტი 0:1**

გოლი: 0:1 სუარესი (8)

**რასინგი-სტანდარდი 3:0**

გოლები: 1:0 ბარდა (33), 2:0 ნადსონი (61), 3:0 ფოსენი (90)

**ლოკერენი-ბრიუგე 1:2**

გოლები: 0:1 დირარი (36), 1:1 სოლაერი (39), 1:2 ფლემინქსი (81)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრიუგე | 7 | 4 | 3 | 0 | 15-7 | 15 |
| 2. ანდერლეხტი | 7 | 4 | 2 | 1 | 11-6 | 14 |
| 3. სერკლ ბრიუგე | 7 | 4 | 2 | 1 | 10-7 | 14 |
| 4. გენტი | 7 | 4 | 1 | 2 | 12-8 | 13 |
| 5. მონსი | 7 | 3 | 3 | 1 | 17-11 | 12 |
| 6. გენკი | 7 | 3 | 3 | 1 | 14-9 | 12 |
| 7. კორტრიიკი | 7 | 3 | 2 | 2 | 10-6 | 11 |
| 8. სტანდარდი | 7 | 3 | 2 | 2 | 10-10 | 11 |
| 9. მეხელენი | 7 | 3 | 1 | 3 | 9-13 | 10 |
| 10. ევერლე | 7 | 3 | 0 | 4 | 8-9 | 9 |
| 11. ბეერსხოტი | 7 | 2 | 3 | 2 | 11-10 | 9 |
| 12. ზულტე-ვარ. | 7 | 1 | 3 | 3 | 7-12 | 6 |
| 13. ლოკერენი | 7 | 1 | 2 | 4 | 5-8 | 5 |
| 14. ლიერსი | 7 | 0 | 5 | 2 | 4-6 | 5 |
| 15. ვესტერლო | 7 | 1 | 1 | 5 | 6-15 | 4 |
| 16. სტ. ტრუიდენი | 7 | 0 | 1 | 6 | 9-21 | 1 |

ქოლესტერინის საზომი აპარატი 54 ლარი
გლუკომეტრები 25-99 ლარი
შპს „კონტრასტი"
მის: ბორჯომის ქ. №4 ტ: 34 74 03; 899 19 60 55

## შოტლანდია. VIII ტური

**დანფერმლაინი–ჰიბერნიანი 2:2**

**გოლები:** 0:1 სპროული (37), 0:2 ო'კონორი (51), 1:2 ტომსონი (53), 2:2 ჰენლონი (63 ს.კ.)

**აბერდინი–კილმარნოკი 2:2**

**გოლები:** 0:1 ჰეფერნანი (15), 0:2 შილზი (29), 1:2 კონსიდაინი (37), 2:2 მეივენი (53)

**დანდი–ინვერნესი 3:1**

**გოლები:** 1:0 ვალე (13), 1:1 როსი (16), 2:1 სუონსონი (44), 3:1 დეილი (71)

**ჰართსი–სენტ მირენი 2:0**

**გოლები:** 1:0 ჰემილი (43-პენ), 2:0 მეირი (70 ს.კ.)

**მოზერუელი–სენტ ჯონსტონი 0:3**

**გოლები:** 0:1 კლენსი (20), 0:2 სანდაზა (75), 0:3 კრეიგი (85)

**რეინჯერსი–სელტიკი 4:2**

**გოლები:** 1:0 ნეისმიტი (22), 1:1 ჰუპერი (34), 1:2 კადური (41), 2:2 იელავიჩი (55), 3:2 ლეფერტი (67), 4:2 ნეისმითი (90)
**გაძევება:** მალგრიუ (77-სელტიკი)

# დაჭრილი მხეცის ამბავი



რეინჯერსი-სელტიკი

შოტლანდიაში სეზონის პირველი „ოლდ ფირმ დერბი" გაიმართა: „რეინჯერსმა" „სელტიკს" უმასპინძლა. სტუმართა მწვრთნელმა, **ნილ ლენონმა** იმთავითვე კარგად იცოდა, რომ „აიბროქსზე" „სამკვდრო-სასიცოცხლო" ბრძოლა ელოდა და თავის ფეხბურთელებს აფრთხილებდა, იცოდეთ, „რეინჯერსი" დაჭრილი მხეცია და ჩვეულებრივზე გაცილებით საშიში გახლავთო. რამ დაჭრა შოტლანდიის ჩემპიონი? ფინანსურმა კრიზისმა, ბანკში გაყინულმა ანგარიშებმა და მსგავსმა მოედანსმიღმა „იარაღმა", რის გამოც ბრიტანეთის ამ ქვეყანაში ბევრი გუნდის ფიასკოს ელოდა, მაგრამ ამ ბევრში ლენონი ნამდვილად არ შედიოდა. მან იცოდა, რომ ფინანსური პრობლემები **ალი მაკოისტის** შეგირდებს კი არ დაასუსტებდა, არამედ დამატებით ძალებს შთაბერავდა.

*„გარწმუნებთ, ეს კრიზისი ჩვენ არაფერში დაგვეხმარება, პირიქით, ის „სელტიკის" საწინააღმდეგო ეფექტს მოახდენს. დაჭრილი მხეცი ყოველთვის გაცილებით საშიშია. „აიბროქსზე" ათმაგი ენერგიითა და ძალ-ღონით უნდა ვიბრძოლოთ, თორემ ცუდად წაგვივა საქმე,"* - ამბობდა „სელტიკის" თავკაცი და ცამდე მართალი აღმოჩნდა. „რეინჯერსმა" გაიმარჯვა და ახლა ცხრილში მთავარ მეტოქეს 4 ქულით აღემატება.

ანგარიში მასპინძელთა მთავარმა ბომბარდირმა **სტივენ ნეისმითმა** ლამაზი დარტყმით გახსნა, თუმცა **გერი ჰუპერმა** ოსტატურად გაქვითა და შემდეგ, როდესაც **ბადრ ელ კადურმა** ერთიც მიაყოლა, თითქოსდა „სელტიკისთვის" საიმედო ჰორიზონტი გამოიკვეთა, მაგრამ **ნიკიცა იელავიჩმა** და **კაილ ლაფერტიმ** შეხვედრა კვლავ „დაჭრილი მხეცის" სასარგებლოდ შემოატრიალეს, რასაც ორი ყვითლის გამო **ჩარლი მალგრიუს** გაძევება მოჰყვა და ათი კაცით დარჩენილ სტუმრებს ნეისმიტმა კიდევ ერთი გოლი დააყოლა.

ეს გახლდათ ალი მაკოისტის პირველი გამარჯვება „ოლდ ფირმში".

**ილია ბაბუნაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეინჯერსი | 7 | 6 | 1 | 0 | 15-3 | 19 |
| 2. სელტიკი | 7 | 5 | 0 | 2 | 16-6 | 15 |
| 3. მოზერუელი | 8 | 4 | 1 | 3 | 9-12 | 13 |
| 4. ჰართსი | 8 | 3 | 3 | 2 | 9-4 | 12 |
| 5. კილმარნოკი | 7 | 2 | 4 | 1 | 11-8 | 10 |
| 6. სტ. ჯონსტონი | 7 | 2 | 3 | 2 | 7-6 | 9 |
| 7. დანფერმლაინი | 7 | 2 | 3 | 2 | 11-12 | 9 |
| 8. დანდი | 8 | 2 | 3 | 3 | 10-13 | 9 |
| 9. სტ. მირენი | 8 | 2 | 3 | 3 | 4-7 | 9 |
| 10. აბერდინი | 8 | 1 | 3 | 4 | 4-10 | 6 |
| 11. ჰიბერნიანი | 7 | 1 | 2 | 4 | 5-12 | 5 |
| 12. ინვერნესი | 8 | 1 | 2 | 5 | 8-16 | 5 |

**ბომბერდირები:** 6 – ნეისმითი (რეინჯერსი); 5 - ჰეფერნანი (კილმარნოკი); 4 - ჰუპერი (სელტიკი), ო'კონორი (ჰიბერნიანი);

## სავარაუდო ტრანსფერი

# დღეს რეალი ნეიმარს გამოაცხადებს?

ბრაზილიური „ესტადაუ" ამტკიცებს, რომ უკვე დღეს მადრიდის „რეალი" **ნეიმარის** დამატების შესახებ გამოაცხადებს. წყარო იუწყება, რომ თინეიჯერმა ტალანტმა უკვე გაიარა „სამეფო კლუბში" სამედიცინო შემოწმება! 19 წლის ნეიმარმა პარასკევს სან პაულუს ჰოსპიტალ „სან ლუიზში" გაიარა შემოწმება. მას თან აგენტი **ვაგნერ რიბეირო** ახლდა, ევროპიდან კი სპეციალურად „რეალის" სამედიცინო შტაბის უფროსი კარლოს დიესი ჩავიდა. ნეიმარი „რეალში" ლონდონის ოლიმპიადის დასრულების შემდეგ ითამაშებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

C ჰეპატიტი

თბილისის მერიის, ეროვნული სკრინინგ ცენტრის და კომპანია ჰოფმან ლა როშის ხელშეწყობით მიმდინარეობს სკრინინგის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებული პაციენტების გამოვლენას სწრაფი ტესტის მეშვეობით.

გამოკვლევა უფასოა და ტარდება ეროვნულ სკრინინგ ცენტრში
მის: თბილისი, წერეთლის გამზირი 69, ტელ:2140093

ტესტის ჩატარება შეუძლია 20–55 წლის ასაკის ყველა მსურველს.
C ჰეპატიტის გადაცემა ხდება ინფიცირებულ სისხლთან ან სხვა ბიოლოგიურ სითხეებთან კონტაქტის დროს.

ვირუსით ინფიცირების შეასაძლო გზებია:
- ინფიცირებული სისხლის ან მისი პროდუქტების გადასხმა;
- ცუდად გასტერილებული ინსტრუმენტების (როგორც სამედიცინო, ასევე არა სამედიცინო) გამოყენება, მათ შორის ინტრავენური ნარკოტიკების მოხმარებისას;
- სამედიცინო ნემსის შემთხვევითი ჩხვლეტა;
- სტომატოლოგიური მანიპულაციები;
- საპარსი აქსესუარების საზიარო გამოყენება;
- მრავალ შემთხვევაში გადაცემის გზა უცნობია;

დროულად ჩაიტარეთ გამოკვლევა და დაიცავით ღვიძლი მძიმე ვირუსული დაზიანებისაგან!

გამოკვლევის შედეგი კონფიდენციალურია.
Roche

გერმანია. ბუნდესლიგა. VI ტური

# სასწაული ჰანოვერში

## ჩემპიონ დორტმუნდს თამაში ორ წუთში შეუტრიალეს!



ჰანოვერელ დიდიე ია კონანს თვითონაც არ სჯეროდა...

გუშინ, ჰანოვერში პატარა სასწაული მოხდა: ორწუთიანმა საგიჟეთმა „ჰანოვერისა" და დორტმუნდის „ბორუსიას" მატჩში ყველაფერი თავდაყირა დააყენა. **მირკო სლომკას** გუნდმა გერმანიის ჩემპიონს ბოლო წუთებში ცივი შხაპი გადაავლო და ეს „დორტმუნდისთვის" ბუნდესლიგაში ზედიზედ მეორე მარცხია – ხომ გახსოვთ, იურგენ კლოპის ბიჭებმა წინა ტურში საკუთარ მოედანზე „ჰერტასთან" წააგეს.

„ბორუსია" 87 წუთის განმავლობაში მოედანზე მიმდინარე პროცესებს აკონტროლებდა და თამაშს **შინჯი კაგავას** გოლით აბსოლუტურად დამსახურებულად იგებდა, მაგრამ საფინალო სასტვენამდე სამი წუთით ადრე ნამდვილი საგიჟეთი დაიწყო. ჯერ იყო და **ქარიმ ჰაგიმ** 87-ე წუთზე კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს თავი დაუხვედრა და ანგარიში გაათანაბრა, მერე კი, ორ წუთში „წითლების" გოლეადორმა **დიდიე ია კონანმა** ითამაშა ბრწყინვალედ და გამარჯვების გოლი თავიდან ბოლომდე მისი დამსახურებაა. *„არ დავნებდით, ბოლომდე ვიბრძოლეთ! ბიჭებს მთელი დღე ვეუბნებოდი, ამ მატჩს ძალისმიერი ფეხბურთით მოვიგებთ-მეთქი. როცა არ ნებდები, ყოველთვის გაქვს გამარჯვების შანსი!"* – ეს სიხარულისგან გადარეული სლომკას სიტყვებია.

ტურის ცენტრალურ მატჩში კი მიუნხენის „ბაიერნმა" „შალკეს" შანსი არ დაუტოვა: რეკორდმაისტერმა გელზენკირხენში ისევ ბრწყინვალედ ითამაშა და 2:0 მოიგო. ალსანიშნავია, რომ **მარიო გომესის** არყოფნაში, „კოტბუსიდან" ნაყიდმა თავდამსხმელმა **ნილს პეტერსენმა** გაიხარა – ანგარიში სწორედ მან გახსნა. **მანუელ ნოიერს** კი, რომელსაც „აუფ შალკეს" პუბლიკა ბურთთან ყოველი კონტაქტის დროს უსტვენდა, ბევრი საქმე ნამდვილად არ ჰქონია. ამრიგად, „ბაიერნმა" შაბათს დაკარგული ლიდერობა დაიბრუნა.

„ვერდერი" ერთი ქულის მოპოვებით ასე ბედნიერი იშვიათადაა ხოლმე. ნიურნბერგში ბრემენელებს საქმე იქამდე მიუვიდათ, რომ საფინალო სასტვენის შემდეგ მიღწეული ფრით (1:1) „მუსიკოსთაგან" ყველა ბედნიერი იყო. არა მარტო იმიტომ, რომ „ვერდერმა" მინიმუმ ერთი დღით პირველ ადგილზე გადაინაცვლა და „ბაიერნს", რომელიც გუშინ თამაშობდა ქულით გაასწრო, არამედ იმის გამო, რომ „ნიურნბერგს" ეს თამაში უნდა მოეგო! ბრემენელები 73 წუთის განმავლობაში კაცნაკლულები იყვნენ (მატჩის დასაწყისში **ტიმ ვიზე** გააძევეს) და საერთოდ, მატჩი ძალიან ქაოტური გამოვიდა იმის გამოც, რომ მეორე ტაიმი საშინელი უამინდობის გამო 20 წუთის დაგვიანებით დაიწყო.

ბრემენელები ერთი ქულითაც კმაყოფილები რომ დარჩნენ, ეს ვიზეს ბრალია. „მუსიკოსების" მეკარემ მსაჯს თავი **კრისტიან აიგლერთან** უაზრო ორთაბრძოლის გამო გააგდებინა და რაც ასევე საინტერესოა, ვიზე წელს მოედნიდან უკვე მეორედ გააძევეს – გუნდი დაღუპა, ფაქტობრივად! *„სულელურად მომივიდა, მაგრამ ფეხბურთში ამაზე უარესებიც ხდება. თანაგუნდელებს კი მადლობა უნდა გადავუხადო, მაგრამ იბრძოლეს და ამ დაწყევლილ თამაშში ქულა მაინც მოიპოვეს,"* – განაცხადა ნამატჩევს დამნაშავე ტიმმა. „ვერდერის" მენეჯერმა **კლაუს ალოფსმა** კი პირდაპირ თქვა, ვიზემ დღეს ძალიან დიდი შეცდომა დაუშვაო. ნიურნბერგელთა დამრიგებელ **დიტერ ჰეკინგს** კი ვიზეს შეცდომა ფეხებზე ჰკიდია – დიტერი იმას დარდობდა, რომ მსაჯმა მისი გუნდის ნახევარმცველ **მენდლერს** გოლი არ ჩაუთვალა. მერე კი ბრემენელები **მეჰმეთ ექიჩის** გოლით დაწინაურდნენ, გამარჯვებისთვის კი საათზე მეტი ჰქონდათ, მაგრამ ეს ვეღარ მოახერხეს – **ვოლშაიდმა** მეორე ტაიმში წონასწორობა აღადგინა.

როგორც ჩანს, „ჩელსისთან" ომმა „ლევერკუზენი" ისე დაღალა, რომ „კიოლნმა" შაბათს „ბაიერს" ისტორიული სენსაცია გამოუცხო: **ლუკას პოდოლსკიმ** და კომპანიამ შესანიშნავი გამარჯვება იზეიმეს. „კიოლნმა" რაინის დერბი სტუმრად 4:1 მოიგო – „თხებს" ლევერკუზენში ასეთი ანგარიშით მანამდე არასდროს გაემარჯვათ და თანაც, „ბაი არენაზე" 1996 წლის შემდეგ აღარ ჰქონდათ მოგებული. „კიოლნის" წარმატების უმთავრესი შემოქმედი კი სწორედ პოდოლსკი გახლდათ, რომელმაც „ლევერკუზენს" ორი გოლი გაუტანა (პოლდიმ ერთი საგოლე პასიც გააკეთა). ეს მატჩი ლუკასისა და გერმანიის ნაკრებში მისი კონკურენტის, **ადნრე შიურლეს** დუელიც გახლდათ, რომელიც კიოლნელმა უდიდესი უპირატესობით მოიგო. ამრიგად, დისკუსია იმის შესახებ, თუ ვინ უნდა იყოს გერმანიის ნაკრების მარცხენა შემტევი ნახევარმცველი, პოდოლსკი თუ შიურლე, დროებით მაინც შეწყდება. *„ლევერკუზენში გუნდმა 15-წლიანი პაუზის შემდეგ მოიგო და ეს შესანიშნავია. თუ ასე გავაგრძელებთ, თვით „ბაიერნიც" კი ვერ დაგვამარცხებს,"* – კმაყოფილი იყო მატჩის შემდეგ მთავარი გმირი. კიოლნელთათვის ცუდი მხოლოდ ის არის, რომ კაპიტანმა **პედრო ჟერომელმა** ტრავმა მიიღო და დიდი შანსია, რომ ზამთრამდე ველარ ითამაშოს – ბრაზილიელს ოპერაციას ორშაბათს გაუკეთებენ.

ლევერკუზენელები კი, რა თქმა უნდა, საშინელ ხასიათზე იყვნენ. საფინალო სასტვენის შემდეგ „ბაიერის" სპორტული დირექტორი **რუდი ფიოლერი** მოედანზე შევარდა და მსაჯ **გიუნტერ პერლს** რაღაცას უმტკიცებდა, მერე კი თქვა, პირდაპირ ვუთხარი, რომ მოედნიდან გასაძევებელი ჩვენი შიურლე კი არა, კიოლნელი პოდოლსკი იყოო. რატომ? იმიტომ, რომ შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე, პოლდიმ შიურლე აუტის ხაზთან მოცელა. თავად ლუკასი ამბობს, ეს ჩვეულებრივი ფოლი იყო, წითელ ბარათს არ ვიმსახურებდიოო. „ლევერკუზენი" მომდევნო ტურში მიუნხენში ჩადის, იქ კი „ფარმაცევტებმა" ბოლოს 1989 წელს მოიგეს...

*„ჯოჯოხეთურ მდგომარეობაში ვართ, ამაზე უარესი რაღა უნდა მოხდეს?"* – ეს „ჰამბურგის" კაპიტან **ჰაიკო ვესტერმანის** სიტყვებია. HSV-მ ისევ წააგო და ისევ ბოლო ადგილზეა. საკუთარ მოედანზე „გლადბახთან" განცდილი მარცხის შემდეგ (ბორუსიამ **იგორ დე კამარგოს** გოლით მოიგო), „ჰამბურგს" 6 ტურის შემდეგ ისევ მხოლოდ ერთი ქულა აქვს. გერმანიაში ფიქრობდნენ, რომ ეს მატჩი გუნდის მთავარ მწვრთნელ **მიხაელ იონინგს** შეინარჩუნებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. კვირას, ჩრდილოგერმანული კლუბის შეფმა **ფრანკ არნესენმა** თქვა, იონინგი მომდევნო ტურშიც პოსტზე იქნებაო. არადა, ჰამბურგელები პარასკევს კარგ ფორმაში მყოფ „შტუტგარტს" ხვდებიან, მერე კი „შალკეს" და როგორც ხედავთ, აუტსაიდერს უახლოეს ორ კვირაში რთული კალენდარი აქვს.

პარასკევს „შტუტგარტმა" ფრაიბურგიდან სამი ქულა წაიღო – **ბრუნო ლაბადიას** შეგირდებმა ერთი კვირის წინ „ბაიერნთან" განადგურებული ბრაისგაუელები **ჰარნიკის** დუბლის წყალობით 2:1 დაამარცხეს და ცხრილის პირველ მესამედში დამკვიდრდნენ. „ჰოფენჰაიმმა" „ვოლფსბურგს" მოუგო და **ფელიქს მაგათი** გაამწარა – „მგლები" ისევ გასავარდნ ზონასთან ტრიალებენ. წინა ტურში „დორტმუნდის" გამამწარებელმა „ჰერტამ" ამჯერად საკუთარ მოედანზე ელიტაშია სევე ახლახან აღზევებული „აუგსბურგი" ვერ დაამარცხა – 2:2. **ლევან კობიაშვილისა** და **აკაკი გოგიას** დუელი კი შედგა – **იოს ლუჰუკაიმ** წარმოშობით ქართველი ნახევარმცველი ძირითად შემადგენლობაში გაამწესა და სხვათა შორის, გოგია სწორედ კობიაშვილის ფლანგიდან უტევდა. „კაიზერსლაუტერნმა" „მაინცი" დაამარცხა და მდგომარეობა გაიუმჯობესა. სამაგიეროდ, მაინცელები ჩავარდნენ მძიმე მდგომარეობაში – გუნდი, რომელიც შარშან ამ დროს შესანიშნავი ფეხბურთით აღავაფრთოვანებდა, ახლა ოთხმატჩიანი მოუგებელი სერიით მე-13 ადგილზეა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

### მომდევნო ტური

23 სექტემბერი. შტუტგარტი-ჰამბურგი

24 სექტემბერი. შალკე-ფრაიბურგი, მაინცი-ბორუსია (დ), ვოლფსბურგი-კაიზერსლაუტერნი, ბორუსია (მ)-ნიურნბერგი, აუგსბურგი-ჰანოვერი, ბაიერნი-ლევერკუზენი.

25 სექტემბერი. კიოლნი-ჰოფენჰაიმი, ვერდერი-ჰერტა

### თურქეთი. სუპერლიგა

II ტური

**გაზიანთეპი-ფენერბაჰჩე 1:3**

**გოლები:** 1:0 ადინი (28), 1:1 ალექსი (35), 1:2 ალექსი (54), 1:3 ნ'ტსამა (81)

**კაისერი-ანთალია 0:1**

**გოლი:** 0:1 ათესი (84)

**გენჩლერბირლიგი-ქარაბიუქი 2:1**

**გოლები:** 1:0 იოზთექინი (19), 2:0 მერიჩი (38), 2:1 შელტონი (49)

**ორდუ-მანისა 1:0**

**გოლი:** 1:0 სტანჩუ (11)

**ტრაბზონი-ბუიუქშეჰირი 0:1**

**გოლი:** 0:1 ვებო (87)

**მერსინი-ბურსა 1:3**

**გოლები:** 1:0 ოზუკვო (4), 1:1 ბოუმი (15), 1:2 ბანგურა (47), 1:3 ბაჰადირი (90)

**სივასი-ესქიშეჰირი 0:4**

**გოლები:** 0:1 დედე (18), 0:2 ილდიზი (32), 0:3 კამარა (66), 0:4 კარადენიზი (88-პენ)

**გალათასარაი-სამსუნი 3:1**

**ბეშიქთაში-ანკარაგიუჯუ დღეს**

**ფრაიბურგი-შტუტგარტი 1:2**

**ფრაიბურგი (4-2-3-1):** ბაუმანი – მუიჯა, ბართი, ფერატი (27. პუცილა), ბასტიანსი – ფლუმი, შუსტერი – რაიზინგერი (75. დემბელე), მაკიადი, აბდესადკი (69. იენდრიშეკი) – სისე.

**შტუტგარტი (4-2-3-1):** ულრაიხი – ბულარუზი, ტასკი, მასა, მოლინარო – კვისტი, კუზმანოვიჩი – ჰარნიკი, გენტნერი (63. ჰაინალი), ოკაზაკი (79. გებჰარდტი) – კაკაუ (85. პოგრებნიაკი).

**გოლები:** 0:1 ჰარნიკი (32), 0:2 ჰარნიკი (73), 1:2 სისე (85)

**გაფრთხილება:** მაკიადი, ბართი, იენდრიშეკი – კვისტი, ოკაზაკი, მოლინარო, კაკაუ

**კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 20-21; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 18(3)-12(5); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 24000

**ლევერკუზენი-კიოლნი 1:4**

**ლევერკუზენი (4-2-3-1):** ლენო – ბალიტში, რაინარტცი, ტოპრაკი, შვააბი (80. ბელარაბი) – ლ. ბენდერი, როლფესი – რენატო, ბალაკი (52. სემი), შიურლე – დერდიოკი (52. კისლინგი).

**კიოლნი (4-2-2-2):** რენზინგი – სერენო, მაკენა, ჟერომელი, ჯემალი (69. აიხნერი) – რიტერი, ჟაჟალო – ჩიჰი (64. ლანიგი), პეჟკო (77. კლემენსი) – პოდოლსკი, ნოვაკოვიჩი.

**გოლები:** 0:1 ნოვაკოვიჩი (44), 0:2 პოდოლსკი (47), 0:3 პოდოლსკი (54), 1:3 როლფესი (70), 1:4 ჟაჟალო (90)

**გაძევება:** შიურლე (91. ლევერკუზენი)

**გაფრთხილება:** ბალიტში – პეჟკო, კლემენსი, რენზინგი, რიტერი

**კუთხური:** 5-0; **ჯარიმა:** 15-13; **თამაშგარე:** 6-3; **კარში დარტყმა:** 15(7)-8(4); **ბურთის ფლობა:** 66%-34%.

**მაყურებელი:** 30210

**ჰამბურგი-ბორუსია (მ) 0:1**

**ჰამბურგი (4-2-3-1):** დრობნი – მანსიენი, ვესტერმანი, რაიკოვიჩი, აოგო – ტეშე, რინკონი – იაროლიმი (69. ბერგი), სკიელბრედი (56. სონი), იანსენი (56. ტიორე) – პეტრიჩი.

**ბორუსია მ. (4-2-2-2):** ტერ შტეგენი – იანტშკე, ბრუვერსი, დანტე, დემსი – მარქსი (66. ნორდტვეიტი), ნოიშტედტერი – ჰერმანი (66. ბობადილია), არანგო – როისი, დე კამარგო (94. შტრანცლი).

**გოლი:** 0:1 დე კამარგო (66)

**გაფრთხილება:** იაროლიმი, ტეშე – ნოიშტედტერი, როისი, არანგო

**კუთხური:** 2-8; **ჯარიმა:** 22-15; **თამაშგარე:** 6-2; **კარში დარტყმა:** 5(2)-12(4); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 55797

**ნიურნბერგი-ვერდერი 1:1**

**ნიურნბერგი (4-2-3-1):** შტეფანი – ჩანდლერი, ვოლშაიდი, კლოზე, პინოლა (46. ბუნიაკუ) – ფოილნერი, სიმონსი – ჰეგელერი, მენდლერი (60. მაკი), ესვაინი (78. ვაისმაიერი) – აიგლერი.

**ვერდერი (4-1-2-1-2):** ვიზე – სოკრატისი (6. შმიტცი), პრიოდლი, ვოლფი, იგნიოვსკი – ბარგფრედე – ფრიტცი, ჰანტი – ექიჩი (65. ნალდო) – არნაუტოვიჩი (18. მილიტცი), პისარო.

**გოლები:** 0:1 ექიჩი (24), 1:1 ვოლშაიდი (62)

**შენიშვნა:** *მეორე ტაიმი უამინდობის გამო 20 წუთის დაგვიანებით დაიწყო*

**გაძევება:** ვიზე (17. ვერდერი)

**გაფრთხილება:** აიგლერი - იგნიოვსკი

**კუთხური:** 13-0; **ჯარიმა:** 17-11; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 21(4)-2(1); **ბურთის ფლობა:** 71%-29%.

**მაყურებელი:** 43121

**ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი 3:1**

**ჰოფენჰაიმი (4-2-3-1):** შტარკე – ბეკი, ვორსა, კომპერი, ბრააფჰაიდი – რუდი, კაიზერი – ობასი (59. მლაპა), რობერტო ფირმინიო (86. ვილიამსი), ბაბელი – სიგურდსონი (63. მუსონა).

**ვოლფსბურგი (4-3-2-1):** ჰიტცი – ჰასებე, რუსი, კირიაკოსი, მ. შეფერი – ტრეში, ჟოსუე, პოლაკი (33. დეჟაგა) – მანჯუკიჩი (68. ოხსი), კოო (46. იონსონი) – ლაკიჩი.

**გოლები:** 1:0 ბაბელი (20), 2:0 რობერტო ფირმინიო (23), 2:1 დეჟაგა (67), 3:1 რობერტო ფირმინიო (85)

**შენიშვნა:** *82-ე წუთზე, ჰიტცის გაძევების შემდეგ ვოლფსბურგის კარში ჰასებე ჩადგა, რადგან ვოლფსბურგს სამივე ცვლილება გამოყენებული ჰქონდა*

**გაძევება:** ჰიტცი (81. ვოლფსბურგი)

**გაფრთხილება:** რობერტო ფირმინიო, ბეკი, ვორსა = ჟოსუე

**კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 15-15; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 14(8)-10(6); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 26850

**ჰერტა-აუგსბურგი 2:2**

**ჰერტა (4-2-3-1):** კრაფტი – ლელი, ჰუბნიკი, მიატოვიჩი, კობიაშვილი – ოტლი, ნიმაიერი – ებერტი (79. რონი), რაფაელი, თორუნი – ლასოგა.

**აუგსბურგი (4-2-3-1):** იენტცში – რაინჰარდტი (73. ბრინკმანი), ს. ლანგკამპი, სანკო (60. მიორლე), დე იონგი – კალსენ-ბრაკერი, ჰოსოგაი – გოგია (85. დავიდსი), ბაიერი, ბელინგჰაუზენი – მიოლდერსი.

**გოლები:** 0:1 ჰოსოგაი (20), 1:1 ლელი (46), 2:1 თორუნი (57), 2:2 კალსენ-ბრაკერი (64)

**გაძევება:** ს. ლანგკამპი (86. აუგსბურგი)

**გაფრთხილება:** მიატოვიჩი, ოტლი – დე იონგი, რაინჰარდტი, კალსენ-ბრაკერი, ბრინკმანი

**კუთხური:** 3-2; **ჯარიმა:** 13-20; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 17(5)-7(3); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 48385

**კაიზერსლაუტერნი-მაინცი 3:1**

**კაიზერსლაუტერნი (4-2-2-2):** ტრაპი – დიკი, ამედიკი, როდნი, იესენი – კირხი, პეცოსი – ვალხი (59. კუემაა), ტიფერტი (89. დე ვიტი) – სუკუტა-პასუ, შეხტერი (90. ფორტუნისი).

**მაინცი (4-2-2-2):** ჰ. მიულერი – ბუნგერტი, სვენსონი, ნოვესკი, პოსპეხი – პოლანსკი (67. ივანშიტცი), სოტო – რისსე, შტიბერი (46. კირხჰოფი) – ჩუპო-მოტინგი, ალაგუი (67. უჯა).

**გოლები:** 0:1 ჩუპო-მოტინგი (15), 1:1 სუკუტა-პასუ (24), 2:1 შეხტერი (54), 3:1 ტიფერტი (73)

**გაფრთხილება:** ივანშიტცი, კირხჰოფი

**კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 13-20; **თამაშგარე:** 1-5; **კარში დარტყმა:** 15(7)-11(1); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 43952

**ჰანოვერი-ბორუსია (დ) 2:1**

**ჰანოვერი (4-2-2-2):** ცილერი – ჩაჰედი (81. რაუში), ჰაგი, პოგატეცი, პანდერი – ჰაუგერი (64. პინტო), შმიდებახი – შტოპელკამპი, შტინდლი – შლაუდრაფი (83. სობიეხი), ია კონანი.

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი – პიუჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი (81. ფელიპე სანტანა), შმელცერი (46. ლიოვე) – გიუნდოგანი, და სილვა – ბლაშჩიკოვსკი, კაგავა, პერიშიჩი – ლევანდოვსკი (66. გროსკროიტცი).

**გოლები:** 0:1 კაგავა (63), 1:1 ჰაგი (87), 2:1 ია კონანი (89)

**გაძევება:** სობიეხი (91. ჰანოვერი)

**გაფრთხილება:** პანდერი

**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 13-8; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 14(5)-13(7); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 49000

**შალკე-ბაიერნი 0:2**

**შალკე (4-2-3-1):** ფერმანი – უჩიდა, ჰიოვედესი, მატიპი, ფუხსი – კლუგე (57. დრაქსლერი), პაპადოპულოსი – ფარფანი, რაული, ჰოლტბი (84. მარიკა) – ჰუნტელაარი (66. პუკი).

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი – რაფინია, ბოატენგი, ბადშტუბერი, ლამი – ლუის გუსტავო (43. ტიმოშჩუკი), შვაინშტაიგერი – თ. მიულერი, კროოსი (91. კონტენტო), რიბერი – პეტერსენი (71. ალაბა).

**გოლები:** 0:1 პეტერსენი (21), 0:2 თ. მიულერი (75)

**გაფრთხილება:** კლუგე - ბადშტუბერი

**კუთხური:** 2-5; **ჯარიმა:** 16-18; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 7(1)-19(6); **ბურთის ფლობა:** 35%-65%.

**მაყურებელი:** 61673

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 6 | 5 | 0 | 1 | 18:1 | 15 |
| 2. ვერდერი | 6 | 4 | 1 | 1 | 12:6 | 13 |
| 3. ბორუსია (მ) | 6 | 4 | 1 | 1 | 8:3 | 13 |
| 4. ჰოფენჰაიმი | 6 | 4 | 0 | 2 | 12:5 | [illegible] |
| 5. ჰანოვერი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:8 | 11 |
| 6. შტუტგარტი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:4 | 10 |
| 7. ლევერკუზენი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:7 | 10 |
| 8. ნიურნბერგი | 6 | 3 | 1 | 2 | 6:6 | 10 |
| 9. შალკე | 6 | 3 | 0 | 3 | 11:10 | 9 |
| 10. ჰერტა | 6 | 2 | 3 | 1 | 8:7 | 9 |
| 11. ბორუსია (დ) | 6 | 2 | 1 | 3 | 7:6 | 7 |
| 12. კიოლნი | 6 | 2 | 1 | 3 | 11:15 | 7 |
| 13. მაინცი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:13 | 7 |
| 14. ვოლფსბურგი | 6 | 2 | 0 | 4 | 7:12 | 6 |
| 15. კაიზერსლაუტ. | 6 | 1 | 2 | 3 | 5:9 | 5 |
| 16. ფრაიბურგი | 6 | 1 | 1 | 4 | 10:18 | 4 |
| 17. აუგსბურგი | 6 | 0 | 3 | 3 | 6:12 | 3 |
| 18. ჰამბურგი | 6 | 0 | 1 | 5 | 6:17 | 1 |

**ბომბარდირები:** 8 – გომესი (ბაიერნი); 5 – სისე (ფრაიბურგი); 4 – ბაბელი (ჰოფენჰაიმი), ჰუნტელაარი (შალკე), რობერტო ფირმინიო (ჰოფენჰაიმი).

### II ბუნდესლიგა

VIII ტური

**აინტრახტი-ჰანზა 4:1**

**გოლები:** 1:0 იდრისუ (2), 2:0 ა. მაიერი (52), 3:0 იდრისუ (56), 3:1 იენიკე (71), 4:1 ჰოლსტი (92-საკ. კარში)

**აუე-ფორტუნა 2:4**

**გოლები:** 0:1 ლანგენეკე (14-პენ), 0:2 რიოსლერი (22), 1:2 კიონიგი (49), 2:2 კოჩერი (72), 2:3 ლუკიმია (84), 2:4 ხუანანი (89)

**ინგოლშტადტი-დინამო (დ) 4:2**

**გოლები:** 1:0 ბუდლე (3), 1:1 პოტე (37), 1:2 დედიჩი (42-პენ), 2:2 ბუდლე (45), 3:2 ბუხნერი (60), 4:2 კნასმიულნერი (92)

**დუისბურგი-უნიონი 1:1**

**გოლები:** 0:1 მოსკერა (5), 1:1 იულა (82-პენ)

**ბრაუნშვაიგი-კოტბუსი 3:1**

**გოლები:** 1:0 კრუპკე (18), 2:0 ბოლანდი (38), 2:1 ბიტენკური (76), 3:1 კუმბელა (77)

**ბოხუმი-პადერბორნი 0:4**

**გოლები:** 0:1 ბრენდი (45), 0:2 ბრენდი (64), 0:3 პროშვიტცი (78), 0:4 პროშვიტცი (79)

**მიუნხენ 1860-ფრანკფურტი 4:0**

**გოლები:** 1:0 აიგნერი (3), 2:0 ფოლანდი (47), 3:0 ფოლანდი (67), 4:0 ჰუბერი (91-საკ. კარში)

**ალემანია-ფიურტი 0:0**

**კარლსრუე-ზანკტ პაული დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფიურტი | 8 | 6 | 1 | 1 | 17:5 | 19 |
| 2. ფორტუნა | 8 | 5 | 3 | 0 | 19:8 | 18 |
| 3. ბრაუნშვაიგი | 8 | 5 | 2 | 1 | 13:7 | 17 |
| 4. აინტრახტი | 8 | 4 | 4 | 0 | 19:8 | 16 |
| 5. ზანკტ პაული | 7 | 5 | 1 | 1 | 14:7 | 16 |
| 6. მიუნხენ 1860 | 8 | 5 | 0 | 3 | 22:12 | 15 |
| 7. კოტბუსი | 8 | 4 | 2 | 2 | 12:13 | 14 |
| 8. პადერბორნი | 8 | 3 | 3 | 2 | 9:7 | 12 |
| 9. უნიონი | 8 | 3 | 2 | 3 | 12:15 | 11 |
| 10. ინგოლშტადტი | 8 | 2 | 2 | 4 | 10:17 | 8 |
| 11. დინამო (დ) | 8 | 2 | 1 | 5 | 11:14 | 7 |
| 12. ფრანკფურტი | 8 | 1 | 4 | 3 | 7:12 | 7 |
| 13. აუე | 8 | 1 | 4 | 3 | 5:12 | 7 |
| 14. დუისბურგი | 8 | 1 | 3 | 4 | 9:10 | 6 |
| 15. კარლსრუე | 7 | 2 | 0 | 5 | 9:17 | 6 |
| 16. ჰანზა | 8 | 0 | 5 | 3 | 4:10 | 5 |
| 17. ალემანია | 8 | 0 | 4 | 4 | 1:8 | 4 |
| 18. ბოხუმი | 8 | 1 | 1 | 6 | 5:16 | 4 |

**ბომბარდირები:** 6 – ა. მაიერი (აინტრახტი), ნიოთე (ფიურტი), რანგელოვი (კოტბუსი), ფოლანდი (მიუნხენ 1860); 5 – ბრიოკერი (ფორტუნა), კრუპკე (ბრაუნშვაიგი), კრუსე (ზანკტ პაული), რიოსლერი (ფორტუნა).

### III ბუნდესლიგა

**ვეენ-ბურგჰაუზენი 0:0, ოსნაბრიუკი-ოფენბახი 1:0, შტუტგარტი II-უნტერჰახინგი 2:1, ვერდერი II-ხემნიტცი 0:2, ბაბელსბერგი-ობერჰაუზენი 1:0, კარლ ცაისი-ზანდჰაუზენი 1:1, არმინია-ზაარბრიუკენი 0:4, დარმშტადტი-პროისენ მიუნსტერი 2:1, აალენი-ჰაიდენჰაიმი 0:0, რეგენსბურგი-ერფურტი 2:2.**

● ინგლისი. პრემიერლიგა. V ტური

# ლიდერი გამოიკვეთა. ის ძალიან ნაცნობია!

ტურის მთავარი თამაში „ოლდ ტრეფორდზე" გაიმართა: „მანჩესტერ იუნაიტედმა" „ჩელსის" უმასპინძლა და ლონდონში ქულის გარეშე გააბრუნა — ინგლისის ჩემპიონმა 3:1 მოიგო. ამრიგად, „იუნაიტედი" პრემიერლიგის ცხრილის ერთპიროვნული ლიდერი გახდა. სერ **ალექს ფერგიუსონის** ბიჭები ხუთი ტურის შემდეგ ხუთი მოგებით განაგრძობენ ტრიუმფალურ სვლას, თუმცა შეხვედრის ანგარიში დრამატიზმით, სახიფათო მომენტებითა და მაღალი ხარისხის ფეხბურთით სავსე შეხვედრას მთლად კარგად ვერ აღწერს.

„იუნაიტედი" პირველი ტაიმის შემდეგ 3:0-ს იგებდა, „ჩელსიმ" კი ცუდი დაცვითა და გამოუყენებელი შესაძლებლობებით დაამახსოვრა გულშემატკივარს თავი. „ლურჯების" ერთადერთი გოლი **ფერნანდო ტორესმა** შესვენების შემდეგ, ხელადვე გაიტანა, მაგრამ მისი კარგი თამაში ერთმა ეპიზოდმა წყალში ჩაყარა: მოგვიანებით ტორესს დიდებული შესაძლებლობა ჩაუვარდა, მეკარე



მანჩესტერი-ჩელსი. უეინ რუნიმ პენალტი ვერ გაიტანა

**დავიდ დე ხეასაც** აჯობა და... დაუცველ კარში ველარ მოახერხა შეგდება. ვინ იცის, ამ მომენტმა გული გაუკეთა **უეინ რუნის**, რომელმაც მანამდე პენალტი ვერ შეაგდო — დასარტყმელად გამოქანებულს ფეხი დაუცურდა.

რუნის ეს „პატარა უილბლობა" „იუნაიტედს" საერთოდ არ დატყობია. ბედი ძლიერებს ულიმითო — „ოლდ ტრეფორდიდან" 300 კილომეტრის მოშორებით, ლონდონის „კრეივენ კოტეჯზე" ფეხი დაუცდა „მანჩესტერ სიტისაც". იქნებ, ფეხის დაცდენაზე უფრო მძაფრი გამოთქმა უნდა მოგვეძებნა იმის ალსაწერად, როგორ გაუშვეს ისტლენდელებმა ხელიდან 2:0 უპირატესობა. საბოლოოდ „ფულჰემისა" და „სიტის" შეხვედრა 2:2 დასრულდა. მანჩესტერელთაგან ორივე გოლი არგენტინელმა **კუნ აგუერომ** გაიტანა.

„ფულჰემის" თავკაცი **მარტინ იოლი**: *„ჩვენ სიკვდილს დავუძვერით კლანჭებიდან. პირველ ტაიმში უშანსოდ ვიყავით, მაგრამ რწმენა შევინარჩუნეთ და მტკიცე ხასიათი გამოვავლინეთ".*

„ლივერპულს", ლონდონშივე, „უაით ჰართ ლეინზე" შავი დღე დაადგა — მოედანზე, საბოლოოდ ცხრა კაცით დარჩენილმა „სფურზთან" 4:0 წააგო.

მასპინძელთაგან გოლები **ლუკა მოდრიჩმა, ჯერმაინ დეფომ** და **ემანუელ ადებაიორმა** გაიტანეს. ადებაიორმა ორი შეაგდო. ეს გახლდათ ტოგოელი თავდამსხმელის პირველი წარმატება ახალი გუნდის შემადგენლობაში, მისი გულშემატკივრის წინაშე. „წითელთაგან" **ჩარლი ადამი** და **მარტინ შკრტელი** გააძევეს. მათ ორ-ორი ყვითელი მიიღეს. ძალიან ლამაზი სანახავი იყო ხორვატი მოდრიჩის გოლი. მან ჩინებულად „ჩაჭრა" ბურთი კარში.

„სანდერლენდმა" „სტოკის" ამაზრზენი დაცვით ისარგებლა და პირველი თამაში მოიგო.

შაბათის ამბებიდან კი თვალში, უპირველეს ყოვლისა, „არსენალის" თავს „ივუდ პარკზე" გადამხდარი კოშმარი გვეცემა: **არსენ ვენგერის** არეულ-დარეულმა გუნდმა მიმდინარე ჩემპიონატში უკვე მესამე მარცხი ინვნია. თან, „მეთოფეები" „ბლექბერნს" პირველი ტაიმის შემდეგ 2:1-ს უგებდნენ, მაგრამ უპირატესობა ხელიდან გაუშვეს, 4:3 წააგეს და ჩემპიონთა ლიგაში მოთამაშე გუნდისთვის შემაძრწუნებელი შედეგი აქვთ — ხუთი ტურის შემდეგ გაშვებული გოლების გრაფაში 14 უწერიათ.

*„ეს საშინელებაა, — თქვა თავად ვენგერმა, როდესაც პრესკონფერენციაზე შეახსენეს, რომ მის გუნდს 15 შესაძლებლიდან მხოლოდ 4 ქულა აქვს — ამაზე უკეთ ჩვენს მდგომარეობას ვერც გამოხატავ. ჩვენ აღელვებულები ვართ. დახედეთ, თუ გნებავთ, გაშვებული გოლების რაოდენობას. ყოვლად დაუშვებელია ჩამოხვიდე ბლექბერნში და ამდენი გაუშვა. როდესაც „ივუდ პარკზე" ასეთ უპირატესობას აღწევ, 2:1-ს იგებ, თუ ძლიერი დაცვა გყავს, აუცილებლად კიდევ გაიტან. ყველაზე გულდასაწყვეტი ის არის, რომ დღეს ჩვენი თამაში მარტო უარყოფითი მხარისგან არ შედგებოდა, ბევრი დადებითიც გვქონდა, მაგრამ სამწუხაროდ ამ დადებითის გამოყენება და მოგება ვერ შევძელით".*

ბოლოს ვენგერმა დასძინა, რომ სწამს, მისი ფეხბურთელები მდგომარეობას გამოასწორებენ, მაგრამ აუცილებელია რაც შეიძლება მალე დაიწყონ მოგება.

რაც შეეხება ვენგერის გამარჯვებულ კოლეგა **სტივ კინს** ის უზომოდ ბედნიერი გახლდათ, რადგან უშუალოდ თამაშის წინ, „ივუდ პარკის" შესასვლელთან, სამასამდე ბლექბერნელმა გულშემატკივარმა მისი სამსახურიდან გათავისუფლების მოთხოვნით დემონსტრაცია ჩაატარა. კინმა პრესკონფერენციაზე თქვა, რომ დემონსტრაციის მიუხედავად მას მხარს ფანების 99 პროცენტი მატჩამდეც უჭერდა, „არსენალთან" გამარჯვების შემდეგ კი გამწყრალი ერთი პროცენტიც შემოირიგა.

„ვილა პარკზე" „ასტონ ვილამ" და „ნიუკასლმა" 1:1 ითამაშეს, რაც იმას ნიშნავს, რომ როგორც ბირმინგემელებს ასევე „კაჭკაჭებს" კვლავ არ წაუგიათ. ამ შეხვედრაში თუ რაიმე საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია, **დარენ ბენტის** ორი დიდებული საგოლე მომენტი გახლავთ, რომლებიც მასპინძელთა ფორვარდმა ხელიდან გაუშვა. სტუმრების თავკაცი **ალან პერდიუ ლიონ ბესტითა** და მისი გოლით გახლდათ კმაყოფილი — ბესტმა ანგარიში გაქვითა და თან, სეზონში მესამედ დალაშქრა მოწინაალმდეგის კარი. პერდიუმ თქვა:

*„ლიონი ის ფეხბურთელია, რომელიც დიდი ხანია გაბრწყინების წამს ელოდა. მას პრემიერლიგაში თავის გამოჩენის შანსი აქამდე არ მისცემია. მე მისი თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ და შემდეგ ტურში „ბლექბერნის" წინააღმდეგ აუცილებლად ვათამაშებ. იმედი მაქვს ბესტი არც იქ დაიხევს უკან და კიდევ გაიტანს".*

ბოლტონში, „რიბოკ სთედიუმზე" კი აი, რა მოხდა: „ნორვიჩ სიტიმ" **ენტონი პილკინგტონისა** და **ბრედლი ჯონსონის** მიერ პირველ ტაიმში გატანილი გოლების წყალობით, 17 წლიანი „შესვენების" შემდეგ, პრემიერლიგაში, სტუმრად პირველი გამარჯვება მოიპოვა. „იადონებმა", მიუხედავად იმისა, რომ სტუმრად თამაშობდნენ, ზემოთ ნახსენები ორი გოლი შესვენებამდევე შეაგდეს და მაშინვე კიდევ ერთი უპირატესობაც მოიპოვეს — მასპინძლებს მოედნიდან **ივან კლასნიჩი** გაუძევეს. მიზეზი: კლასნიჩმა **მარკ ტიერნის** თავი დაარტყა. თუმცა, შესვენების შემდეგ გამოჩნდა, რომ ასეთი იღბლიანი პირველი ნახევარი გამარჯვების გარანტია სულაც არ იყო. ნორვიჩელებს სამი ქულისთვის მეორე ნახევარში გვარიანი ბრძოლა დასჭირდათ. ბოლტონელმა **მარტინ პეტროვმა** პენალტით შეამცირა სხვაობა, სტუმართა მეკარე **ჯონ რადიმ** კი მსაჯის წამატებულ წუთებზე **დავიდ ნგოგს** საუცხოოდ აუღო.

„ევერტონმა" „უიგანთან" შეხვედრაში პირველი საშინაო გამარჯვება მოიპოვა, ოღონდ ეს მხოლოდ თამაშის მიწურულს, **აპოსტოლოს ველიოსის** გოლის წყალობით შეძლო. ისევე, როგორც წინა შეხვედრებში **დევიდ მოიესის** ბიჭებმა თავდასხმაში ამჯერადაც კოლექტიური შრომით სცადეს შედეგის მიღწევა, რადგან გამოკვეთილი ფორვარდი არ ჰყავდათ.

„სუონსიმ" გარდა იმისა, რომ პირველი გამარჯვება მოიპოვა, პირველი გოლიც... უფრო სწორედ გოლებიც გაიტანა: **სკოტ სინკლერმა** მე-14 წუთზე გატანილი პენალტით თავისი გუნდის 374 წუთიან უგოლობას წერტილი დაუსვა. ამ წარმატებულ შეხვედრაში სუონსელთა ერთადერთი „შავი ლაქა" მცველის, **ნილ ტეილორის** თავის ტრავმა გახლდათ. ტეილორი მეტოქის ფორვარდ **პიტერ ოდემვინგესთან** შეჯახების დროს დაშავდა.

და ბოლოს, ვულვერჰემპტონში „ქუინზ პარკ რეინჯერსის" გამარჯვების შესახებ. „მოლინოზე" გადახალისებულმა „რეინჯერსმა" უკვე სულ სხვა ფეხბურთი ითამაშა და შთამბეჭდავად გაიმარჯვა. ანგარიში „ჰუპსის" ახალდანიშნულმა კაპიტანმა, „ნიუკასლიდან" ცოტა ხნის წინ გადასულმა **ჯოი ბარტონმა** გახსნა, შემდეგი ორი კი **ალეხანდრო ფაურლინმა** და **დი ჯეი კემპბელმა** მიაყოლეს.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

### მომდევნო ტური

24 სექტემბერი. მანჩესტერ სიტი-ევერტონი, არსენალი-ბოლტონი, ჩელსი-სუონსი, ლივერპული-ვულვერჰემპტონი, ნიუკასლი-ბლექბერნი, ვესტ ბრომვიჩი-ფულჰემი, უიგანი-ტოტენჰემი, სტოკი-მანჩესტერ იუნაიტედი.
25 სექტემბერი: ქუინზ პარკი-ასტონ ვილა
26 სექტემბერი: ნორვიჩ სიტი-სანდერლენდი

### ბლექბერნი-არსენალი 4:3

**ბლექბერნი** (4-2-3-1): რობინსონი – სალგადო (18. პეტროვიჩი), სამბა, დანი, ჟივე – ნზონზი, ლოუი – როჩინა (56. ოლსონი), ფორმიცა (65. ვუკჩევიჩი), ჰოილეტი - იაკუბუ

**არსენალი** (4-2-3-1): შჩესნი – სანია (53. ჯურუ), მერტეზაკერი, კოშელნი, სანტოსი – სონგი (76. შამახი), რემსი – ჟერვინიო, არტეტა, არშავინი (65. უოლკოტი) – ვან პერსი

**გოლები:** 0:1 ჟერვინიო (10), 1:1 იაკუბუ (25), 1:2 არტეტა (34), 2:2 სონგი (50 ს.კ.), 3:2 იაკუბუ (59), 4:2 კოშელნი (69 ს.კ.), 4:3 შამახი (85)

**გაფრთხილება:** დანი, ოლსონი - დჯურუ

**კუთხური:** 2-13; **ჯარიმა:** 12-16; **კარში დარტყმა:** 8-14 (5-8); **თამაშგარე:** 0-1; **ბურთის ფლობა:** 43%-57%

**მაყურებელი:** 22 637

### ასტონ ვილა-ნიუკასლი 1:1

**ასტონ ვილა** (4-5-1): გივენი – ჰატონი, კოლინზი, დანი, უორნოკი – ნ'ზოგბია, ს. პეტროვი (68. აირლენდი), ბენანი (67. ოლბრაიტონი), დელფი, აგბონლაჰორი – ბენტი (85. დელფუენსო)

**ნიუკასლი** (4-4-2): კრული – სიმპსინი, კოლოჩინი, რ. ტეილორი, ს. ტეილორი – ობერტანი, კაბაიე, ტიოტე, ხონასი (85. შ. ამეობი) – ბესტი (68. შ. ამეობი), ბა (80. მარვო)

**გოლები:** 1:0 აგბონლაჰორი (13), 1:1 ბესტი (57)

**გაფრთხილება:** კოლინზი - ბესტი

**კუთხური:** 4-9; **ჯარიმა:** 14-11; **კარში დარტყმა:** 11-22 (2-6); **თამაშგარე:** 2-3; **ბურთის ფლობა:** 41%-59%

**მაყურებელი:** 34 248

### ბოლტონი-ნორვიჩი 1:2

**ბოლტონი** (4-4-1): იაასკელაინენი – ბოიატა, გ. კეჰილი, ნაითი, რობინსონი – თუნჩაი (46. იგლზი), რეო-კოკერი, პრეტლი (74. მ. დევისი), მ. პეტროვი – კ. დევისი (46. ნ'გოგი), კლასნიჩი

**ნორვიჩი** (4-4-2): რადი – ბერნეტი, მარტინი, ტიერნი, ნაფტონი – ბენეტი, ბ. ჯონსონი, ფოქსი, პილკინგტონი (77. ვუგანი) – ჰულაჰანი (87. კროფტსი), მორისონი (77. ჰოლტი)

**გოლები:** 0:1 პილკინგტონი (37), 0:2 ბ. ჯონსონი (42), 1:2 მ. პეტროვი (64-პენ)

**გაფრთხილება:** იაასკელაინენი, რიო-კოკერი, რობინსონი – ჰოლტი

**გაძევება:** კლასნიჩი (45 – ბოლტონი)

**კუთხური:** 6-9; **ჯარიმა:** 14-9; **კარში დარტყმა:** 3-11 (3-6); **თამაშგარე:** 1-7; **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 21 223

### ევერტონი-უიგანი 3:1

**ევერტონი** (4-4-1-1): ჰოვარდი – ჰიბერტი, ჟაგიელკა, დისტენი, ბეინსი – კოულმენი (66. ველიოსი), როდუელი, ფელაინი, ბელიალეტდინოვი (59. დრენტე) – ოსმანი – ტ. კეჰილი (83. სტრაკუალურსი)

**უიგანი** (4-3-3): ალ ჰაბსი – ვან ანჰოლტი, კოლდუელი, პისკუ, ფიგეროა – უოტსონი, მაკარტი, გომესი (71. დ. ჯონსი) – მოზესი, დი სანტო, როდალეგა (90. მელოუნი)

**გოლები:** 0:1 დი სანტო (31), 1:1 ჟაგიელკა (33), 2:1 ველიოსი (84), 3:1 დრენტე (90)

**გაფრთხილება:** ფელაინი, ველიოსი - კოლდუელი

**კუთხური:** 4-9; **ჯარიმა:** 10-17; **კარში დარტყმა:** 13-6 (6-2); **თამაშგარე:** 3-2; **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 31 576

### სუონსი-ვესტ ბრომვიჩი 3:0

**სუონსი** (4-5-1): ვორმი – რენგელი, უილიამსი, მონკი, ნ. ტეილორი (86. ბესონი) – დაიერი (71. რუტლიჯი), ბრიტონი, ალენი, გოუერი, სინკლერი – ლიტა (71. მური)

**ვესტ ბრომვიჩი** (4-4-2): ფოსტერი – რიდი, ოლსონი, მულუმბუ (46. დორანსი), შორი – მორისონი, დოუსონი, შარნერი (67. კოქსი), ტომასი (46. ბრანტი) – ლონგი, ოდემვინგე

**გოლები:** 1:0 სინკლერი (14-პენ), 2:0 ლიტა (24), 3:0 დაიერი (49)

**გაფრთხილება:** ლიტა – ბრანტი, ოდემვინგე

**კუთხური:** 2-8; **ჯარიმა:** 10-3; **კარში დარტყმა:** 7-11 (5-5); **თამაშგარე:** 0-2; **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 20 341

### ვულვზი-ქუინზ პარკი 0:3

**ვულვზი** (4-4-2): ჰენესი – სტირმენი, რ. ჯონსონი, ბერა, ელოკობი (46. ვიუკსი) – ნაითლი (46. გუედიოურა), ჰენრი, ო'ჰარა, ჯერვისი (73. ჰანტი) – უორდი, დოილი

**ქუინზ პარკი** (4-3-3): კენი – ლ. იანგი, გებიდონი (83. ჰოლი), ა. ფერდინანდი, ტრაორე – ბარტონი, დერი, ფაურლინი – რაიტ-ფილიპსი, ბოთროიდი (73. დ. კემპბელი), ტაარაბტი (76. სმიტი)

**გოლები:** 0:1 ბარტონი (8), 0:2 ფაურლინი (10), 0:3 დ. კემპბელი (87)

**გაფრთხილება:** გუედიოურა, ვიუკსი – ბოთროიდი, ფაურლინი, ა. ფერდინანდი

**კუთხური:** 4-8; **ჯარიმა:** 18-17; **კარში დარტყმა:** 9-17 (3-12); **თამაშგარე:** 2-4; **ბურთის ფლობა:** 73%-27%

**მაყურებელი:** 48 52

### ტოტენჰემი-ლივერპული 4:0

**ტოტენჰემი** (4-4-2): ფრიდელი – უოქერი, ქაბული, კინგი (84. ბასონგი), ასუ-ეკოტო – კრანჩარი (46. ვან დერ ვაარტი), პარკერი, მოდრიჩი, ბეილი – ადებაიორი, დეფო (83. დოს სანტოსი)

**ლივერპული** (4-4-2): რეინა – შკრტელი, კარაგერი, აგერი (27. კოატესი), ენრიკე – ჰენდერსონი, ლუკასი, ადამი, დაუნინგი (70. სპირინგი) – სუარესი (70. ბელამი), ქეროლი

**გოლები:** 1:0 მოდრიჩი (7), 2:0 დეფო (66), 3:0 ადებაიორი (68), 4:0 ადებაიორი (90)

**გაფრთხილება:** ადებაიორი – ადამი, შკრტელი, კოატესი, სუარესი

**გაძევება:** ადამი (28-ლივერპული), შკრტელი (63-ლივერპული)

**კუთხური:** 4-1; **ჯარიმა:** 13-18; **კარში დარტყმა:** 18-3 (10-1); **თამაშგარე:** 3-4; **ბურთის ფლობა:** 61%-39%

**მაყურებელი:** 36 129

### ფულჰემი-მანჩესტერ სიტი 2:2

**ფულჰემი** (4-2-3-1): შვარცერი – კელი, ბეირდი, ჰანგელანდი, რიისე – მერფი, დაფი (62. კასამი) – სიდუელი, დემბელე (87. გონსალესი), დემპსი - ზამორა

**მანჩესტერ სიტი** (4-2-3-1): ჰარტი – რიჩარდსი, კომპანი, ლესკოტი, კლიში – ი. ტურე, ბერი – სილვა (69. საბალეტა), აგუერო (83. ტევესი), ნასრი (81. ა. ჯონსონი) - ჯეკო

**გოლები:** 0:1 აგუერო (18), 0:2 აგუერო (46), 1:2 ზამორა (56), 2:2 მერფი (75)

**გაფრთხილება:** სიდუელი - ბერი

**კუთხური:** 6-9; **ჯარიმა:** 12-12; **კარში დარტყმა:** 9-13 (6-6); **თამაშგარე:** 2-2; **ბურთის ფლობა:** 46%-54%

**მაყურებელი:** 24 750

### სანდერლენდი-სტოკი 4:0

**სანდერლენდი** (4-4-1-1): მინოლე – ო'ში, ბრემბლი, ბრაუნი, რიჩარდსონი – ელმოჰამადი, გარდნერი, ვუგანი, ლარსონი (63. კოლბეკი) – სესენიონი (81. ჯი) – ბენდტნერი (85. უიკჰემი)

**სტოკი** (4-4-2): ბეგოვიჩი – ჰუთი, შოუკროსი, ვუდგეიტი, უილსონი – ჯერომი (61. კ.ჯონსი), დილეპი (71. პალასიოსი), უაიტჰედი, ეზერინგტონი (65. პენანტი) – უოლტერსი, კრაუჩი

**გოლები:** 1:0 ბრემბლი (5), 2:0 ვუდგეიტი (11 ს.კ.), 3:0 გარდნერი (28), 4:0 ლარსონი (59)

**გაფრთხილება:** ლარსონი – ჰუთი, კრაუჩი

**კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 14-16; **კარში დარტყმა:** 7-5 (6-3); **თამაშგარე:** 1-0; **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 32 296

### მანჩესტერ იუნაიტედი-ჩელსი 3:1

**მანჩესტერ იუნაიტედი** (4-4-2): დე ხეა – სმოლინგი (62. ვალენსია), ჯონსი, ევანსი, ევრა – ნანი, ფლეტჩერი, ანდერსონი (62. ჯიგსი), ე. იანგი – რუნი, ერნანდესი (79. ბერბატოვი)

**ჩელსი** (4-3-3): ჩეხი – ბოსინგვა, ივანოვიჩი, ტერი, ე. კოული – რამირესი, მეირელეში (79. მიკელი), ლემპარდი (46. ანელკა) – სტარიჯი (68. ლუკაკუ), ტორესი, მატა

**გოლები:** 1:0 სმოლინგი (8), 2:0 ნანი (37), 3:0 რუნი (45), 3:1 ტორესი (46)

**ვერ გაიტანა პენალტი:** რუნი (57-მანჩესტერი)

**გაფრთხილება:** ვალენსია, ფლეტჩერი – რამირესი, ტერი, ე. კოული

**კუთხური:** 4-10; **ჯარიმა:** 11-13; **კარში დარტყმა:** 10-18 (6-7); **თამაშგარე:** 2-0; **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 75 455

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 5 | 5 | 0 | 0 | 21-4 | 15 |
| 2. სიტი | 5 | 4 | 1 | 0 | 17-5 | 13 |
| 3. ჩელსი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-6 | 10 |
| 4. ნიუკასლი | 5 | 2 | 3 | 0 | 4-2 | 9 |
| 5. სტოკი | 5 | 2 | 2 | 1 | 3-5 | 8 |
| 6. ასტონ ვილა | 5 | 1 | 4 | 0 | 6-4 | 7 |
| 7. ევერტონი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-4 | 7 |
| 8. ლივერპული | 5 | 2 | 1 | 2 | 6-7 | 7 |
| 9. ქუინზ პარკი | 5 | 2 | 1 | 2 | 4-6 | 7 |
| 10. ვულვერჰემპ. | 5 | 2 | 1 | 2 | 4-6 | 7 |
| 11. ტოტენჰემი | 4 | 2 | 0 | 2 | 7-8 | 6 |
| 12. სანდერლენდი | 5 | 1 | 2 | 2 | 6-4 | 5 |
| 13. ნორვიჩი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-7 | 5 |
| 14. სუონსი | 5 | 1 | 2 | 2 | 3-5 | 5 |
| 15. უიგანი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-7 | 5 |
| 16. ბლექბერნი | 5 | 1 | 1 | 3 | 7-10 | 4 |
| 17. არსენალი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-14 | 4 |
| 18. ფულჰემი | 5 | 0 | 3 | 2 | 4-7 | 3 |
| 19. ბოლტონი | 5 | 1 | 0 | 4 | 8-13 | 3 |
| 20. ვესტ ბრომვიჩი | 5 | 1 | 0 | 4 | 3-8 | 3 |

**ბომბარდირები:** 9 – რუნი (მანჩესტერი); 8 – აგუერო (სიტი); 6 – ჯეკო (სიტი); 3 – ადებაიორი (ტოტენჰემი), აგბონლაჰორი (ასტონ ვილა), ბესტი (ნიუკასლი), დი სანტო (უიგანი), კლასნიჩი (ბოლტონი).

### ინგლისი. ჩემპიონატი. IX ტური

**მილუოლი-ვესტ ჰემი 0:0**

**ნოტინგემი-დერბი 1:2**

გოლები: 1:0 რიდი (5-პენ), 1:1 უორდი (27), 1:2 ჰენდრიკი (72)

**ბარნსლი-უოტფორდი 1:1**

გოლები: 0:1 სორდელი (37), 1:1 გრეი (57)

**ბლექპული-კარდიფი 1:1**

გოლები: 0:1 კოუი (49), 1:1 კ. ფილიპსი (62)

**კრისტალ პალასი-მიდლსბრო 0:1**

გოლები: ემნესი (65)

**ჰალი-პორტსმუთი 1:0**

გოლები: 1:0 კორენი (11)

**ლიდსი-ბრისტოლი 2:1**

გოლები: 1:0 კლეიტონი (3), 1:1 კილკინი (11), 2:1 მაკკორმაკი (86)

**ლესტერი-ბრაიტონი 1:0**

გოლები: 1:0 აბე (46)

**პიტერბორო-ბარნლი 2:1**

გოლები: 1:0 სინკლერი (3), 2:0 სინკლერი (38), 2:1 ტრისი (45)

**რედინგი-დონკასტერი 2:0**

გოლები: 1:0 ჩერჩი (52), 2:0 ფონდრე (59)

**საუთჰემპტონი-ბირმინგემი 4:1**

გოლები: 1:0 ლამბერტი (11-პენ), 2:0 დო პრადო (21), 3:0 ლალანა (34), 3:1 ვუდი (50), 4:1 ჩეპლოუ (78)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საუთჰემპტონი | 7 | 6 | 0 | 1 | 19-9 | 18 |
| 2. მიდლსბრო | 7 | 5 | 2 | 0 | 13-5 | 17 |
| 3. ბრაიტონი | 7 | 5 | 1 | 1 | 11-5 | 16 |
| 4. დერბი | 7 | 5 | 0 | 2 | 10-6 | 15 |
| 5. ვესტ ჰემი | 7 | 4 | 2 | 1 | 15-7 | 14 |
| 6. კარდიფი | 7 | 3 | 3 | 1 | 10-7 | 12 |
| 7. ბლექპული | 7 | 3 | 3 | 1 | 9-6 | 12 |
| 8. ჰალი | 7 | 4 | 0 | 3 | 5-6 | 12 |
| 9. ლესტერი | 7 | 3 | 2 | 2 | 9-9 | 11 |
| 10. პიტერბორო | 7 | 3 | 1 | 3 | 14-10 | 10 |
| 11. ლიდსი | 7 | 3 | 1 | 3 | 13-12 | 10 |
| 12. კრ. პალასი | 7 | 3 | 1 | 3 | 9-8 | 10 |
| 13. რედინგი | 7 | 2 | 1 | 4 | 7-8 | 7 |
| 14. ბირმინგემი | 6 | 2 | 1 | 3 | 9-11 | 7 |
| 15. მილუოლი | 7 | 1 | 4 | 2 | 6-8 | 7 |
| 16. ბარნსლი | 7 | 1 | 4 | 2 | 5-7 | 7 |
| 17. უოტფორდი | 7 | 1 | 4 | 2 | 7-10 | 7 |
| 18. პორტსმუთი | 7 | 1 | 3 | 3 | 7-9 | 6 |
| 19. იფსვიჩი | 6 | 2 | 0 | 4 | 8-16 | 6 |
| 20. ქოვენთრი | 6 | 1 | 2 | 3 | 4-5 | 5 |
| 21. ბარნლი | 6 | 1 | 2 | 3 | 6-10 | 5 |
| 22. ნოტინგემი | 7 | 1 | 2 | 4 | 7-13 | 5 |
| 23. ბრისტოლი | 7 | 1 | 2 | 4 | 5-11 | 5 |
| 24. დონკასტერი | 7 | 0 | 1 | 6 | 2-12 | 1 |

**ბომბარდირები:** 6 – ლამბერტი (საუთჰემპტონი), მაკკორმაკი (ლიდსი); 5 – ემნესი (მიდლსბრო), კ. ფილიპსი (ბლექპული), ვუდი (ბირმინგემი);

### პირველი ლიგა. IX ტური

ბრენტფორდი-პრესტონი 1:3, ჩესტერფილდი-კერლისლი 4:1, ექსეტერი-ბურნმუთი 0:2, ჰარტლპული-ბერი 3:0, ლეიტონი-ოლდჰემი 1:3, მილტონი-ჰადერსფილდი 1:1, როჩდეილი-ჩარლტონი 2:3, შეფილდ იუნაიტედი-კოლჩესტერი 3:0, სტივენიჯი-ნოთს ქაუნთი 0:2, ტრანმერი-უიკომბი 2:0, უოლსოლი-სკანთორპი 2:2, იეოვილი-შეფილდ უენსდი 2:3.

### მეორე ლიგა. IX ტური

პორტ ვეილი-შრუსბერი 2:3, ეკრინგტონი-ქრუ 0:2, უიმბლდონი-ჩელტენჰემი 4:1, ბერნეტი-ოქსფორდი 0:2, ბრისტოლი-ოლდერშოტი 0:1, ბარტონი-სუინდონი 2:0, ქროული-ბრედფორდი 3:1, დაგენჰემი-მორკეიმბი 1:2, ჰერეფორდი-ჯილინგემი 1:6, მაკლსფილდი-ნორთემპტონი 3:1, საუთენდი-პლიმუთი 2:0, თორგუეი-როტერჰემი 3:3.

### კონფერენსი. IX ტური

ტელფორდი-ბათი 2:1, ბეროუ-მენსფილდი 2:3, ბრეინტრი-ნიუპორტი 1:0, დარლინგტონი-ჰეიესი 1:1, ებსფლიტი-ფლიტვუდი 1:3, ფორესტ გრინი-საუთპორტი 2:3, გეიტსჰედი-კემბრიჯი 1:1, კეტერინგი-ტემუორთი 0:2, კიდერმინსტერი-ოლფრეტონი 3:1, ლუტონი-ლინკოლნი 1:0, სტოკპორტი-გრიმსბი 2:0, ვრექსჰემი-იორკი 0:3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

lariwin.com
the better way to play
მეტი, ვიდრე თამაში

რეპორტაჟების სპონსორი
ონლაინ კაზინო „ლარი

ლელოს სპეციალური კორესპონდენტი
ბესიკ ჭანგავაძე დანიდინიდან

● რაგბი. მსოფლიოს თასი

# ტერიტორია ჩვენი, ბურთი ჩვენი, გამარჯვება?

**საქართველო 10:41 ინგლისი**

**საქართველო:** (15-9) გიგაური, თოდუა (დათუნაშვილი 67), კაჭარავა, ზიბზიბაძე, მაჩხანელი (ხმალაძე 41), კვირიკაშვილი, აბუსერიძე (სამხარაძე 62). (1-8) ხინჩაგიშვილი (შველიძე 57), ბრეგვაძე, ქუბრიაშვილი (ზირაქაშვილი 24), ზედგინიძე, მაისურაძე, სუთიაშვილი (ჩხაიძე 31), გორგოძე, ბასილაია (ბერიშვილი 60).

**ინგლისი:** (15-9) ფოდენი, ეშტონი, ტუილაგი (ბანაჰანი 67), ჰაპი, არმითიჯი, ფლუდი, იანგზი (სიმპსონი 67). (1-8) სტივენსი (ტომსონი 49), ჰართლი, კოლი (კორბშეირო 65), შოუ, პალმერი, ვუდი, მუდი (კროფტი 61), ჰესკელი.

*"გორგოძე დიდი მორაგბეა, "აბუ" დღეს შეუდარებელია, საქართველოს ნაკრები შესანიშნავად თამაშობს, დროა ექვსი ერი გაფართოვდეს და რვა ერად გადაკეთდეს"* – ეს ჩემმა კოლეგამ, ინგლისელმა ჟურნალისტმა პირველი ტაიმის დამთავრების შემდეგ, შესვენებისას მითხრა. მას და სხვა ჟურნალისტებს აზრი არც თამაშის დასრულების შემდეგ შეუცვლიათ.

საქართველოს ნაკრებმა მართლაც ძალიან კარგად ითამაშა მეტოქესთან, რომელიც წინა ორი მსოფლიოს თასის გათამაშების ფინალში იყო. "პომებმა" ერთი მოიგეს, ხოლო მეორეში უსამართლოდ დამარცხდნენ.

პირველი ტაიმის სტატისტიკა შთამბეჭდავია, ტერიტორიული უპირატესობა 75 პროცენტი მეტოქის 25 პროცენტთან. ბურთის ფლობა საქართველოს ნაკრები 56 პროცენტი, ინგლისი – 44. "პომები" თერთმეტჯერ დაჯარიმდნენ, აქედან ერთ შემთხვევაში არბიტრმა ინგლისელთა შერკინების კვაჭი **დილან ჰართლი** სინბინში გაუშვა. ქართველმა მორაგბეებმა კი მხოლოდ სამჯერ დაარღვიეს თამაშის წესი.

მაგრამ ეს ყოველივე ამაო გამოდგა, ტაიმი ინგლისის ნაკრებმა მოიგო 17:10. არადა, "ბორჯღალოსნების" მგეზავ **მერაბ კვირიკაშვილს** სამი საჯარიმო რომ არ აეცილებინა მიზანს, ანგარიშშიც ჩვენი უპირატესობა დაფიქსირდებოდა. სამწუხაროდ, "მეკომ" ვერც მეორე ტაიმში იყოჩაღა და ორი საჯარიმოდან, ორივე არაზუსტად დაარტყა.

თამაში ჩვენი გუნდისთვის ცუდად დაიწყო. ინგლისელებმა, ისე, რომ დიდად არ გარჯილან, მე-4 წუთზე ლელო გაიტანეს და მატჩის დებიუტშივე შვიდი ქულით დაწინაურდნენ. სულ კი "პომებმა" ექვსი ლელო გაგვიტანეს და ექვსივე უკანახაზელების ანგარიშზეა. ორ-ორი ლელო **კრის ეშტონმა** და **შონთაი ჰაპიმ** მიითვალეს, თითო კი **დელონ არმიტიჯმა** და **მანუ ტუილაგიმ.**



საოცარი გუნდია ინგლისის ნაკრები, პირველ ნახევარში ორჯერ შემოგვიტიეს და ორივეჯერ ლელო დაგვიდეს, რასაც ზედ ერთი საჯარიმოც მიაყოლეს. დანარჩენი დროის განმავლობაში მუდამ საქართველოს ნაკრები უტევდა. შოტლანდიასთან წინა მატჩისგან განსხვავებით, "ბორჯღალოსნებს" მრავალფაზიანი შეტევების ორგანიზება ამჯერად უკეთ გამოსდიოდათ.

ერთ-ერთ ეპიზოდში ცხრა ნომერმა **ირაკლი აბუსერიძემ** იყოჩაღა. დაცვაში, საკუთარ ოცდაორმეტრიან ზონაში თამაშისას ინგლისელებს შეცდომა დააშვებინა და კონტრიერიში წამოიწყო, ორი გადაცემის შემდეგ მეტოქის ლელოში გარემარბი **ირაკლი მაჩხანელი** შეიჭრა. არბიტრმა ვიდეორეფერის დახმარება მოითხოვა. ვიდეოზე გამოჩნდა, რომ სანამ ბურთს დაამიწებდა, მაჩხანელმა ფეხით გვერდით ხაზს მილმა დააბიჯა და, ცხადია, ლელო არ ჩაითვალა.







როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტაიმის დასრულებას ალარაფერი უკლდა, როცა მორიგი იერიშისას ინგლისელები საკუთარი ლელოდან ხუთ მეტრში დაჯარიმდნენ. "ბორჯღალოსნებმა" შერკინება მოითხოვეს. მართალია, ჩვენმა მორკინალებმა მეტოქეს ძვრა ვერ უყვეს, მაგრამ რვა ნომერმა **დიმიტრი ბასილაიამ** შერკინებიდან გამოსული ბურთი აიტაცა, სწრაფად შეუტია და ლელო კარის ძელთან ახლოს დადო. არბიტრს ამჯერადაც ვიდეორეფერის დახმარება დასჭირდა, თუმცა ბასილაიას ვერაფერში მოედავენ. კვირიკაშვილმა გარდასახვა ზუსტად დაარტყა და პირველი ტაიმიც დასრულდა – 10:17.

მეორე ნახევარი პირველის მსგავსად დაიწყო. ოთხი წუთიც არ იყო გასული, როცა "პომებმა" მესამე ლელო გაგვიტანეს და 22:10 დაწინაურდნენ. ინგლისელები შესვენების შემდეგ საგრძნობლად გააქტიურდნენ. მართალია, "ბორჯღალოსნები" ისევ აგრძელებდნენ იერიშებს, მაგრამ მონაგარს ველარაფერი შემატეს. მეორე ტაიმში, როგორც უკვე ვთქვით, კვირიკაშვილმა ორი საჯარიმო დაარტყა და ორივე უშედეგოდ.

ალსანიშნავია, რომ ინგლისელები, საბოლოოდ თოთხმეტჯერ დაჯარიმდნენ, ხოლო ქართველები რვაჯერ. ბურთის ფლობის პროცენტი გათანაბრდა, ორმოცდაათი-ორმოცდაათზე, ტერიტორიული უპირატესობა კი ისევ ჩვენსკენ იყო, 57 პროცენტი, 43-ის წილ.

დანიდინის ახლახან აშენებულ შესანიშნავ "ოტაგო სთედიუმზე", რომელზეც ინვერქარგილის "რაგბი პარკ სთედიუმისგან" განსხვავებით, აშკარად იგრძნობოდა, რომ მსოფლიოს თასზე ვართ, თამაშს 20 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო, აქედან თითქმის ნახევარი საქართველოს ნაკრებს ქომაგობდა. მათ ინგლისის ეროვნული გუნდის გულშემატკივართა ნაწილთან ერთად "ბორჯღალოსნებს" მატჩის შემდეგ ოვაციები მოუწყვეს.

კიდევ ერთი, რაც, ვფიქრობ, ძალზედ მნიშვნელოვანი დეტალია - მატჩის საუკეთესო მოთამაშედ საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი **მამუკა გორგოძე** აღიარეს. ხშირად არ ხდება, როცა მოედანზე ყველაზე უკეთესს წაგებული გუნდიდან ირჩევენ...



შეიძლება თუ არა საქართველოს ნაკრებს ეს თამაში აქტივში ჩავუთვალოთ? თუ გავიხსენებთ, რომ რვა წლის წინათ, ავსტრალიაში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშებაში ამავე ნაკრებთან 6:84 ანუ 78 ქულის სხვაობით დავმარცხდით, ამჯერად 31 ქულით წაგება უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია და, რაც მთავარია, ჩვენი გუნდი ახლა სრულიად სხვა, გაცილებით მაღალი ხარისხის რაგბის თამაშობს.

**მამუკა გორგოძე:**

"ძალიან რთული თამაში იყო, რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ, მაქსიმალურად დავიხარჯეთ. საჯარიმოები რომ გაგვეტანა, თამაში სულ სხვა ხასიათს მიიღებდა. თუმცა, ამას მერაბ კვირიკაშვილს ვერ დავაბრალებთ. ერთი კვირის წინათ ამავე სტადიონზე მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო მექულემ ჯონი ვილკინსონმა ექვსი საჯარიმო ვერ გაიტანა. დახურული სტადიონი რალაც გავლენას ახდენს დამრტყმელებზე.

შეიძლებოდა, ეს მატჩი ბევრად მცირე სხვაობით წაგვეგო. საქართველოს ნაკრებმა მართლაც აჩვენა კარგი თამაში, ანგარიში კი არადამაკმაყოფილებელია.

ინგლისის ნაკრები მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და მასთან თამაშში, მატჩის საუკეთესო მორაგბედ დასახელება, ვფიქრობ, ნებისმიერი მორაგბისთვის ძალიან სასიხარულოა."

**გოდერძი შველიძე:**

"ამ უძნელეს თამაშში თითოეული მორაგბე მაქსიმალურად დაიხარჯა. ანგარიში ნამდვილად არ შეესაბამება მოვლენებს, რაც ვითარდებოდა მინდორზე. კმაყოფილები, ცხადია, არ ვართ, მაგრამ, ვფიქრობ, ცუდად არ გვითამაშია."

**ირაკლი აბუსერიძე:**

"კმაყოფილი ვარ იმით, რომ ის სათამაშო სისტემა, რაზეც აქამდე ვვარჯიშებზე ვმუშაობდით, ამ მატჩში ავამოქმედეთ. კარგი იქნებოდა და შესაძლებელიც იყო, რომ უფრო ნაკლები სხვაობით წაგვეგო. მაგრამ ამ ანგარიშითაც კმაყოფილი ვარ, მსოფლიოს საუკეთესო გუნდს ვეთამაშეთ, რომელიც, გამორიცხული არ არის, ფინალშიც გავიდეს.

ამასთან, კარგად მახსოვს, 2003 წელს ავსტრალიაში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშებაში, ამაზე ორჯერ მეტი სხვაობით დაგვამარცხეს და ლელოც ვერ გავუტანეთ. ამჟამად ამაყები ვართ, რადგან ასეთ ძლიერ გუნდთან შესანიშნავად ვითამაშეთ. თანაც, მამუკა გორგოძე, მიუხედავად იმისა, რომ მეტოქე სავსეა ვარსკვლავებით, მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. მინდა მივულოცო "გულივერას" ეს აღიარება"

***რიჩი დიქსონი,*** *საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:*

*"ინგლისელები ნამდვილად არ ელოდნენ ჩვენგან ასეთ აქტიურ თამაშს. ინვერქარგილის მატჩისგან განსხვავებით, გუნდმა შეძლო იერიშების ორგანიზება, ის კი არა და, გარკვეულ ტერიტორიულ, სათამაშო უპირატესობასაც ვფლობდით.*

*მერაბ კვირიკაშვილი ყოველთვის საიმედო დამრტყმელი იყო. ძნელია ახლა იმის ახსნა, რა მოუვიდა. ეს ხომ პირველი შემთხვევა არ არის, მსგავსი რამ ბევრ სახელოვან მორაგბეს დამართნია".*

***მარტინ ჯონსონი,*** *ინგლისის ნაკრების მწვრთნელი:*

*"თუ ასე გავაგრძელეთ, შინ გამგზავრება ნაადრევად მოგვიწევს. არ შეიძლება ასე უბრალოდ არიგო ჯარიმები. საქართველოს ნაკრების შერკინების სიძლიერის შესახებ ცხადია, ვიცოდით, მაგრამ იმას, რასაც ჩემი მორაგბეები აკეთებდნენ, უბრალოდ, გულუბრყვილობა ჰქვია."*

***გიორგი ნიჟარაძე,*** *საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:*

*"თამაშს თვალს გივი ჭიჭინაძესთან ერთად ვიპლოჟიდან ვადევნებდი, სადაც მატჩის დასრულების შემდეგ ოვაციები მოგვიწყვეს. ახლა ჩამოგითვლით ვინ იყო ეს ხალხი: IRB-ს ვიცე-პრეზიდენტი ბილ ბომონდი, რომელიც უახლოეს კონგრესზე პრეზიდენტობის ერთ-ერთ უმთავრეს კანდიდატად განიხილება. მაიკ მილერი IRB-ს გენერალური მდივანი, ინგლისისა და ახალი ზელანდიის რაგბის კავშირების პრეზიდენტები, "ოლ ბლექსის" ექვსი თუ შვიდი თაობის წარმომადგენლები, ოტაგოს მხარის რაგბის კავშირის პრეზიდენტი.*

*თამაში რომ დამთავრდა, ყველა მათგანი ცალ-ცალკე მოვიდა და ნაკრების კარგი თამაშისთვის მადლობა გადაგვიხადა. ბილ ბომონდმა კი პრივატული საუბრისას გვითხრა – ვხედავთ, რომ ქართული რაგბი პროგრესს განიცდის, ელიტიდან შორს აღარ ხართ, ამიტომ საჭიროა ახალი ფორმატის ტურნირები მოვიფიქროთ.*

*ალსანიშნავია, რომ IRB-ის დიდმოხელეები კარგად არიან ინფორმირებულნი იმ დახმარების შესახებ, რასაც სახელმწიფო და კერძო სექტორი გვიწევს. ცალკე აღნიშნეს გაზაფხულზე თბილისში გამართული "ახალგაზრდული ალაფას" მაღალი საორგანიზაციო დონე.*

*მუშაობენ პროექტზე, რომლის მიხედვითაც ჩვენ, რუმინეთმა, რუსეთმა, კანადამ, იაპონიამ და ნამიბიამაც წელიწადში ერთხელ რალაც სახის ტურნირში უნდა ვიასპარეზოთ. ნოემბერში კი ელიტარული ქვეყნების გუნდებს ტესტები ვეთამაშოთ. ამის გარდა, კიდევ რამდენიმე პროექტის განხილვა მიმდინარეობს, რომლის შესახებაც ზუსტი ინფორმაცია მსოფლიოს თასის გათამაშების დასრულებისას გვექნება"*

**B ჯგუფი**

**არგენტინა-რუმინეთი 43:8**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ინგლისი – 9 ქულა, 2. შოტლანდია – 9, 3. არგენტინა – 6, 4. საქართველო – 0, 5. რუმინეთი – 0.

**C ჯგუფი**

**ავსტრალია-ირლანდია 6:15**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ირლანდია – 5 ქულა, 2. ავსტრალია – 5, 3. აშშ – 4, 4. რუსეთი – 1, 5. იტალია – 0.

**D ჯგუფი**

სამხრეთ აფრიკა-ფიჯი 49:3, სამოა-უელსი 17:10

**სატურნირო მდგომარეობა**

1. სამხრეთ აფრიკა – 9 ქულა, 2. სამოა – 6, 3. უელსი – 5, 4. ფიჯი – 5, 5. ნამიბია – 0.






ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

**რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა**

# ბურთი ღობის იქით...


არმაზი-აია

**ავჭალის სტადიონი. მე-10 ტური.17 სექტემბერი**

**არმაზი-აია 17:31 (10:12)**

არმაზი: 15. ბაჩო ჩხაიძე (რევაზ ბროძელი), 14. ლაშა სირაძე (ნიკოლოზ პინაშვილი), 13. გიორგი მჟავანაძე, 12. ვიტალი კაიფაჯიანი, 11. ალეკო ხუციშვილი, 10. დავით კიკნაძე, 9. გიორგი მისრიაშვილი, 8. რეზი ჟღენტი, 7. ოთარ მინაშვილი (კაპიტანი), 6. ნიკოლოზ სუხაშვილი (ვალიკო თიგიშვილი), 5. გიორგი ჭელიძე (შოთა კანდელაკი), 4. ზვიად ესართია, 3. ირაკლი ბუკია, 2. გიორგი სოსელია, 1. ირაკლი ჩომახაშვილი, მწვრთნელი დავით ვართანიანი

აია: 15. ბესო ხამაშურიძე, 14. ზურაბ გოგლიჩაძე, 13. გიგლა კუხიანიძე, 12. გაგა სინაურიძე, 11. გიორგი აბრამიძე (ზურაბ ძნელაძე), 10. ლევან შარვაშიძე, 9. ლევან გოგია, 8. ირაკლი დგებუაძე (ლევან თხელიძე), 7. ირაკლი რევიშვილი (კაპიტანი), 6. გიორგი ცირეკიძე (ნოდარ მარდალეიშვილი), 5. თორნიკე ძაგნიძე, 4. გიორგი ჩიტეიშვილი, 3. ტარიელ ჩხიკვაძე (ამირან წაქაძე), 2. გაგა გურეშიძე, 1. თორნიკე ლომიძე (მერაბ მატკავა), მწვრთნელი კობა გიორგაძე.

მთავარი მსაჯი: მიხეილ ჩაჩუა, თანამსაჯები მარეხი მაისურაძე და ნოდარ რობიტაშვილი. კომისარი გოგი ჯალაღონია.

**ლელო** - გიორგი სოსელია 2 „არმაზი"
**რეალიზაცია** - დავით კიკნაძე 2 „არმაზი"
**ჯარიმა** - დავით კიკაძე 1 „არმაზი"

**ლელო** - ბესო ხამაშურიძე 2, ლევან შარვაშიძე 1 „აია"
**რეალიზაცია** - გაგა სინაურიძე 2 „აია"
**ჯარიმა** - გაგა სინაურიძე 4 „აია"

რაგბის ქომაგები შორეულ ახალ ზელანდიაში მიმდინარე მსოფლიოს თასის გათამაშების (ჩემპიონატის) პერიპეტიებზე არიან მიყურადებულნი. ეს ხომ მართლაც დიდი სარაგბო ზეიმია. პარალელურად კი არც საქართველოს მორაგბეთა ჩემპიონატია მოსაწყენი. ქომაგები ჩვენს საშინაო შერკინებებსაც არ აკლია. შაბათს, მაგალითად, ავჭალის სტადიონზე ორი უშეღავათო თამაში გაიმართა. თბილისის „არმაზი" ლიდერს ქუთაისის „აიას" დაუპირისპირდა. დღევანდელი „აია" გასული საუკუნის 80-იანი წლების იმ „აიას" გვაგონებს, უმაღლესი მწვერვალებისთვის ბრძოლას რომ იწყებდა... სხვათა შორის, იმ გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშის **ნუგზარ ძაგნიძის** ვაჟი **თორნიკე ძაგნიძე** დღევანდელი „აიას" ფორვარდია. ტრადიცია გრძელდება...

„არმაზი"-„აიას" მატჩის დასაწყისში თბილისელებმა საკუთარი მოედნიდან ბურთი კლასიკურ სტილში მეტოქის მოედნის კიდეში აუტში გაგზავნეს, მერე ახლო მანძილიდან ლონივრად მიეძალნენ და ლელოც გაიტანეს. ზუსტად ერთი წუთის შემდეგ კი „აიამ" ლელოს გატანით და რეალიზაციით ანგარიში გაათანაბრა - 7:7; ამას მოჰყვა რიონისპირელთა შეტევა ჯერ ერთი, მერე მეორე ფრთიდან და **ლევან შერვაშიძემ** „არმაზის" ჩათვლის მოედანში შეაღწია. რეალიზაცია კი ვერ გამოიყენეს. პირველი ტაიმის მიწურულს „არმაზის" ათმა ნომერმა **დავით კიკნაძემ** მოედნის ცენტრიდან გაიტანა ჯარიმა და ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა 10:12.

მეორე ტაიმი ქუთაისელთა ძალისმიერი მოკლე შეტევებით დაიწყო. უტევდნენ „აიას" თავდამსხმელები, ამას მოჰყვა არმაზის შეცდომები დაცვაში, რაც კარგად გამოიყენა ქუთაისელთა მეთორმეტე ნომერმა **გაგა სინაურიძემ** და ზედიზედ სამი ჯარიმა გაიტანა - 21:10;

„არმაზი" არამც და არამც არ ურიგდებოდა მარცხს, მრავალფაზიანი შეტევა **გიორგი სოსელიამ** ლელოთი დაასრულა. ამას მოჰყვა **დავით კიკნაძის** ზუსტად შესრულებული რეალიზაცია და ანგარიში მინიმუმამდე შემცირდა - 17:21.

მაგრამ „აიას" სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მატჩის ბოლოს კვლავ ისინი დომინირებდნენ მოედანზე. ბოლოს კი იყო სამქულიანი ჯარიმა, ისევ **ბესიკ ხამაშურიძის** ბრწყინვალე დრიბლინგი და ლელო. 31:17 გაიმარჯვა „აიამ".

# არმიამ ლელო დადო...

**ავჭალის სტადიონი მე-10 ტური 17 სექტემბერი**

**არმია-ლელო 29:9 (15:9)**

არმია: 15. ბახვა კობახიძე, 14. ალექსანდრე ტუჩაშვილი (თამაზ მჭედლიძე), 13. ვანო გაბროშვილი, 12. გიგა გაგოშვილი, 11. გიორგი შკინინი, 10. გიორგი ელიზბარაშვილი (მამუკა ნინიძე), 9. ალეკო ზაბახიძე, 7. ირაკლი კალმახელიძე, 8. ბესო უდესიანი-კაპიტანი (რატი ნუცუბიძე), 6. გიორგი თხილაიშვილი, 5. გიორგი ჟღენტი (კახა კობახიძე), 4. ხვიჩა ბუჯიაშვილი, 3. ტარიელ დონაძე, 2. ბექა მეკოკიშვილი, 1. გოგა კაკოვინი (ირაკლი ქორიძე), მწვრთნელი ნიკო ჭავჭავაძე

ლელო: 15. უჩა მჭედლიშვილი (ბაჩი ჯოგლიძე), 14. რატი ხუციშვილი, 13. გიგა კორკელია (ბაჩო კოლელიშვილი), 12. ალექსანდრე მანჯავიძე (გიორგი ლომინაძე), 11. ზურაბ ზაალიშვილი, 10. ირაკლი ყიასაშვილი, 9. ჯიმი ლამბაშიძე, 7. დავით დაუშვილი, 8. ლაშა აზალაძე, 6. ვახტანგ მძინარაშვილი, 5. ზურაბ ხორბალაძე (გუჯა სურგულაძე), 4. ირაკლი დაუშვილი (ბექა ხიტაშვილი), 3. მიხეილ სუჯაშვილი-კაპიტანი (ნიკა პატარაია), 2. ირაკლი ჭყონია, 1. გიორგი სანიკიძე, მწვრთნელი ლევან მაისაშვილი.

მთავარი მსაჯი: გია ამირხანაშვილი, თანამსაჯები ნოდარ რობიტაშვილი და მარეხი მაისურაძე, კომისარი: ირაკლი დოლიძე.

**ლელო** - ალექსი ტუჩაშვილი-1, ვანო გაბროშვილი-1, ბექა მეკოკიშვილი-1, გიორგი შკინინი-1. „არმია"
**ჯარიმა** - ბახვა კობახიძე 1 „არმია"
რეალიზაცია - ბახვა კობახიძე 3 „არმია"

**ჯარიმა** - ირაკლი ყიასაშვილი 2 „ლელო"
**არეკნი** - ირაკლი ყიასაშვილი 1 „ლელო".

სხვათა შორის, ამ მატჩს გაცილებით მეტი მაყურებელი დაესწრო, ვიდრე „არმაზი"-„აიას" შეხვედრას. თამაშის დაწყებიდან დამთავრებამდე კი ორივე გუნდის ქომაგები შეუსვენებლად სკანდირებდნენ: „არმია"! „ლელო"!; „არმია"! „ლელო"!..

ვერაფერს დაუწუნებ „ავჭალის" ახალ სარაგბო სტადიონს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სამჯერ გადავარდა ბურთი სტადიონის ღობის გადაღმა. თუ რა ბედი ეწია მერე ამ ბურთებს, არავინ იცის...

ამ დღეს ორი მატჩი იმსაჯა ზედიზედ ქალმა არბიტრმა **მარეხ მაისურაძემ.** თუ უწინ რაგბიში მხოლოდ მამაკაცები იყვნენ, ახლა აღარავის უკვირს მორაგბე გოგონები და აი, ქალი მსაჯებიც. საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს და პირველ ლიგას სულ 9 ქალი მსაჯი ემსახურება...

„არმია"-"ლელოს" მატჩში ანგარიში საჯარიმოს გატანით „ლელომ" გახსნა - 3:0. მალე **გიორგი შკინინის** გარღვევა არმიელმა **ალექსი ტუჩაშვილმა** ლელოთი დააგვირგვინა. რეალიზაცია კი ვერ გამოიყენეს. **ირაკლი ყიასაშვილმა** არეკნის გატანა და „ლელოს" დაწინაურება შეძლო 6:5. თუმცა ეს იყო და ეს, თამაშში უპირატესობა ორივე ტაიმში არმიელთა მხარეს იყო. მათ 4 ლელოს გატანა შეძლეს - 2 პირველ ტაიმში და ორიც - მეორეში.

არმიელებმა უკანა ხაზის სწრაფი შეტევებით მოახერხეს სასურველი უპირატესობის მოპოვება. განსაკუთრებით ეფექტურად ირჯებოდა **გიორგი შკინინი,** რომელმაც მეორე ტაიმში მოედნის ნახევარზე მეტი შტურმით გაირბინა, რამდენიმე მეტოქეს ცრუ მანევრებით აუარა გვერდი და ჩათვლის მოედანში ბურთიანად შეიჭრა.

„ლელოს" მორაგბეები მოლში თამაშში კარგად გამოიყურებოდნენ, მაგრამ „არმიამ" უკანა ხაზში უფრო გაშლილად ითამაშა. მათ ორჯერ საკუთარი ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში კბილებით დაიცვეს საკუთარი ლელო და როგორც ხშირად ხდება ხოლმე, გასაჭირიდან თავი რომ დაიძვრინეს, ახლა თვითონ მიაწყდნენ მეტოქის მოედანს და შედეგმაც არ დააყოვნა. 29:9 გაიმარჯვა „არმიამ".

**ლოკომოტივი-ყოჩები 10:12**
**აკადემია-ხარები 1 6:17**

**გათამაშების ცხრილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აია | 10 | 10 | 0 | 0 | 275:120 | 20 |
| 2. არმია | 10 | 7 | 1 | 2 | 239:162 | 15 |
| 3. ლოკომოტ. | 10 | 5 | 0 | 5 | 188:180 | 10 |
| 5. აკადემია | 10 | 3 | 3 | 4 | 185:204 | 9 |
| 4. არმაზი | 10 | 4 | 1 | 5 | 198:218 | 9 |
| 6. ლელო | 10 | 4 | 0 | 6 | 224:218 | 8 |
| 7. ხარები | 10 | 3 | 0 | 7 | 115:212 | 6 |
| 8. ყოჩები | 10 | 1 | 1 | 8 | 132:242 | 3 |

**გაბრიელ ბარჯაძე**

*გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები*


არმია-ლელო

**ჭადრაკი**


მერი არაბიძე

# იმედის ორი ტური

ბულგარულ ალბენაში დასასრულს უახლოვდება 8-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობა, რომელშიც საქართველოს 29 წარმომადგენელი მონაწილეობს.

ტურნირზე ერთდღიანი შესვენების შემდეგ გუშინ ბათს ორთაბრძოლები განახლდა. გასულ უქმეებს, სამწუხაროდ, ჩვენებურთათვის სანუგეშო არაფერი მოუტანია. ექვსი ტურის შემდეგ რვაწლიანებში **თამარ ესაძე** უდანაკარგოდ მეწინავეობდა, მაგრამ გუშინ მისი წინსვლა ნირგულ სალიმოვამ შეაჩერა და ახლა ორივე მოჭადრაკეს 6-6 ქულა აქვს. 3 მოჭადრაკე მათ ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩება.

ვიმედოვნებდით, რომ 18-წლიანებში ჩვენები მედლების მოპოვების შანსს მყარად შეინარჩუნებდნენ, არადა, მე-7 ტურში სამივემ დათმო პარტიები, თანაც თეთრი ფიგურებით: ევროპის სამგზის ჩემპიონმა **მერი არაბიძემ** მარია გევორქიანთან წააგო, **მარიამ დანელიამ** - ნარმინ კაზიმოვასთან, **ზურაბ ჯავახაძემ** - მარსელ კანარეკთან. მარცხის მიუხედავად, 5-ქულიან არაბიძეს ჯერ კიდევ შეუძლია მედლის მოპოვება. ყველაფერი დღევანდელ ორთაბრძოლებზეა დამოკიდებული: ნარმინ კაზიმოვა (5,5)-დიანა ბასიუ (6), მარია გევორქიანი (5,5)-აბდულა ხაიალა (5), ნარმინ ხალაფოვა (5)-მერი არაბიძე (5), კატარზინა ადამოვიჩი (5)-საბინა გულიევა (5), დარია პუსტოვოიტოვა (5)-მარიამ დანელია (4,5).

სხვა ასაკებში, ვფიქრობთ, საპრიზო ადგილებზე გასვლის თეორიული შესაძლებლობა შერჩათ **ელენე კოსტავას** (10 წ) და **ნინო ხომერიკს** (14 წ), რომლებმაც გუშინ მეტოქეებს სძლიეს და 7 შესაძლებლიდან 5-5 ქულას მოუყარეს თავი, დანარჩენი 25 ჩვენებური, საეჭვოა, კვარცხლბეკს შესწვდეს, თუნდაც ბოლო ორ ტურში მათ ქულათა მაქსიმუმი მოაგროვონ. ვნახოთ, დღევანდელი ორთაბრძოლების შემდეგ გათამაშების ცხრილს მეტი ნათელი მოეფინება.

**მე-7 ტურის შედეგები**

**8-წლიანები:** ნირგულ სალიმოვა-თამარ ესაძე (6), ვიქტორია პეტროვა-ნინო დარჩიაშვილი (2,5); ნიკოლოზ კაჭარავა (4)-ბერკი ტოროღლუ.

**10-წლიანები:** ელენე კოსტავა (4)-ვენლა ლომისალო, ვენლა ცვიტანი-გვანცა მარგველაშვილი (2,5); ვასილის პაპაკოსტასი-ლუკა ობოლაძე (3,5), იან ხლებეკი-მათე თოდაშვილი (3), იგორ ანიკინი-ნიკოლოზ პეტრიაშვილი (2,5).

**12-წლიანები:** ოლივია კიოლბასა-ნინო ჯალაღონია (4), ოლგა მილნიკოვა-თეა ჭოლაძე (4), ნატა ჯიბუტი (3,5)-ბუვატანსევერი, ნინო დახუნდარიძე (3)-ანდრეა-ბრიანა სტანციუ; მაქსიმ მატიუნინი-ირაკლი ახვლედიანი (2,5), იაროსლავ ვიდრუკი-ლუკა ლიჩელი (2).

**14-წლიანები:** ოლგა პინკუ-ნინო ხომერიკი (4), არინა კისილიოვა-მარიამ ჭოლაძე (3,5), იესიმ პატელი-ანა თედოშვილი (3), ჰანდენურ საჰინი-მაია მუმლაძე (2); ნოე თუთისანი (3)-დავიდ პარავიანი, ვლადიმირ მინკო-ნიკა ლვამბერია (3).

**16-წლიანები:** დეა გოგიშვილი (4)-ამალია არანაზი, ანა შამათავა (4)-კორული მონპერტი, ნანი უნაფქოშვილი (3,5)-დანა მატისონე, ლიკა კობეშავიძე (3)-ლიდია ტომნიკოვა; ირაკლი ბერაძე (4,5)-ივან იუდინი, შალვა ნადაშვილი (2)-ნდერიმ სარაჩი.

**18-წლიანები:** მერი არაბიძე (5)-მარია გევორქიანი, მარიამ დანელია (4,5)-ნარმინ კაზიმოვა, ზურაბ ჯავახაძე (4,5)-მარსელ კანარეკი.

**ვაჟა დანელია**

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 3.შაიბა; 6. კანიჯა; 7. თოფაძე; 9. იენა; 10. ინსაიდი; 11. ფრეი; 14. ფილიპო; 15. "გრემიო"; 17. ბოლიდი; 18. „ემპოლი"; 19. ჟოკეი; 20. ოლსენი; 24. ჩეხი; 25. პოლგარი; 27. რომი; 30. იერიში; 31. რივერა; 32. ეშლი.

**შვეულად:** 1. ტიგანა; 2. პიკი; 3. შამონი; 4. ათჭიდი; 5. ევრა; 6. კიკერი; 8. ელბერი; 12. სპიდვეი; 13. ბრუმელი; 14. ფიბა; 16. ოზილი; 19. ჟღენტი; 21. ნომურა; 22. ბორგი; 23. ორტერი; 26. გორეში; 28. „მაია"; 29. ვავა.

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

# ახალგაზრდული წარმატება

**ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის პირველობაზე ლაშა ჭელიძის (55) მიერ პირველ დღეს მოპოვებულ ვერცხლის მედალს შაბათ-კვირას ჩვენებმა სამივე სინჯის თითო მედალი შემატეს.**

ბელგიურ ლომელში მიმდინარე ტურნირზე **გიორგი გუგავას** მთავარი ლომი **ლაშა შავდათუაშვილი** (66) აღმოჩნდა - ჩემპიონი გახდა, მძიმეწონოსანმა **ლევან მატიაშვილმა** ვერცხლი მოიპოვა, მესამეზე კი **მიხეილ ჩოხელი** (73) გავიდა. მესამეზე აღმოვჩნდით გუნდურ ჩათვლაშიც. არადა, ჩემპიონატის ბოლო შეხვედრაში - მძიმე წონის ფინალში მატიაშვილს რომ ემარჯვა ავსტრიელ მეტოქეზე, მაშინ გუნდურსაც მოვიგებდით - ოქროს მედლებით დავეწეოდით რუსეთსა და სომხეთს, მაგრამ მათ ვერცხლი არ აქვთ. თუმცა მატიაშვილს წაგებისთვის სულაც არ ვსაყვედურობთ - სპორტია და ყველაფერი ვერ იქნება ისე, როგორც ჩვენ გვინდა. პირიქით - მიგვაჩნია, რომ მატიაშვილიც და მთლიანად გუნდიც კარგად გამოვიდა.

ალბათ, ლოგიკურიცაა, რომ ჩვენებიდან ყველაზე დიდ წარმატებას შავდათუაშვილმა მიაღწია, როგორც უფრო გამოცდილმა. ის ახალგაზრდებში ქვეყნის ჩემპიონია და პერიოდულად ეროვნულ ნაკრებშიც იწვევდნენ უცხოეთში საჭიდაოდ. ცხადია, საზღვარგარეთ თავის ასაკშიც ასპარეზობდა და იქაც წარმატებით. ის ლომელშიც გამოირჩეოდა მთელი შეჯიბრების განმავლობაში და ფინალის ჩათვლით ხუთივე შეხვედრა დამაჯერებლად ჩაატარა. დასაწყისში უნგრელი **მარტინ ვეგვარი** იპონზე დასცა, ჩეხ **იაკუბ იეცმინეკს** ვაზარით მოუგო, ჰოლანდიელ **იუნიორ დეგენს** კი სამივე სინჯის გდება გაუკეთა - იუკოც, ვაზარიც და ბოლოს იპონი. მას შედარებით გაუჭირდა მეოთხე წრეში სერბ **ილია ციგანოვიჩთან**, რომელიც ხშირად გამოდის უფროსებში და ბევრად გამოცდილია. აქ მეტოქეებმა ორ-ორი გაფრთხილება მიიღეს, რასაც ჩვენებურმა კიდევ ერთი იუკო დაამატა. სხვათა შორის, ზუსტად ასე წარიმართა ფინალიც სლოვენიელ **ანდრაზ იერებთან**, თუმცა მანამდე ნახევარფინალში კიდევ ერთი სუფთა მოგება მიითვალა ებრაელ **ტალ ფლიკერთან**. ფინალში ჩვენებური მთელი შეხვედრის განმავლობაში დომინირებდა და მეტოქე ყოველმხრივ დაჩაგრა, განსაკუთრებით კი - ფიზიკურად. ეს კომპონენტი ქართველების „აქილევსის ქუსლია", მაგრამ იმ შეხვედრაში საქმე საპირისპიროდ იყო - სლოვენიელი ძლივსლა სუნთქავდა, შავდათუაშვილი კი რკინასავით მტკიცედ იდგა. მან მეტოქეს სრულიად დამსახურებულად მიაღებინა ორი გაფრთხილება, მერე კი ალალად მოიპოვა მეორე იუკო.

მატიაშვილმა პირველ შეხვედრაში რუმინელ **დანიელ ნატეასთან** ვაზარით მოგებას ლიტველ **ზილვინას ზაბარსკასთან** წმინდა მოგება მიაყოლა. ნახევარფინალიც იპონით გაიარა რუს **სტეფან სარქისიანთან**, ფინალში კი გაფრთხილებებით წააგო ავსტრიელ **დანიელ ალერსტორფერთან**. მართალია, ერთხელ თვითონაც გააფრთხილებინა მეტოქე, მაგრამ ეს საჩემპიონოდ საკმარისი არ აღმოჩნდა და ვერცხლს დასჯერდა. სამწუხაროდ, ლომელში ეს ავსტრიელის პირველი გამარჯვება არ იყო ქართველებთან - ქვეჯგუფში **უშანგი კოკაურს** პირველივე შეხვედრაში აჯობა.

73-ში დამამშვიდებელში ქართულ ფინალამდე ერთი მოგება დაგვაკლდა, მთლიანობაში კი ამ წონაში ჩვენი ორივე მონაწილე კარგად გამოვიდა. უფრო უკეთ ჩოხელმა იჭიდავა, რომელმაც ქვეჯგუფი მოიგო და ნახევარფინალში გავიდა, გზად კი ისრაელის ნაკრების ორივე წევრი ჩამოიცილა. მან ჩემპიონატი თურქ **ილკერ გულდურენთან** წმინდა მოგებით დაიწყო. სამაგიეროდ, გვარიანი ჯაფა დაადგა სერბი **იოვან ნისკანოვიჩის** დასამარცხებლად - აქაც ორივემ ორ-ორი გაფრთხილება მიიღო, მაგრამ ჩოხელმა ერთი იუკოც გდებით მიითვალა. ებრაელ **მუკი საგისთანაც** მსაჯებმა ორ-ორჯერ გააფრთხილა ორივე, მაგრამ ჩვენებურმა აქტიურობას უმატა და მეტოქე გაფრთხილებით მოახსნევინა. ნახევარფინალშიც აქტიურობდა უკრაინელთა მომავალ ჩემპიონ **რუფატ მაგომედოვთან** და ორი გაფრთხილებით იუკოთი დაწინაურდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მერე ვაზარი გაატარა და წააგო. ბრინჯაოსთვის შეხვედრაში ებრაელ **ტომერ ზაკეიმთან** ისევ მოწოდების სიმაღლეზე დადგა და ვაზარ-იუკოთი გაიმარჯვა. ამ შეხვედრამდე დამამშვიდებელში ზაკეიმმა **ფრიდონ გიგანს** აჯობა. არადა, ჩვენებურს რომ მოეგო, ბრინჯაოსთვის ქართველები იჭიდავებდნენ. გიგანმა ჯგუფში პორტუგალიელ **ნუნო სარაიავასა** და იტალიელ **მასიმილიანო კაროლოს** ვაზარებით აჯობა, მეოთხედფინალში კი რუს **ვლადიმირ ზოლოევთან** წააგო და საბოლოოდ მეშვიდეზე დარჩა.

დასანანი და მოულოდნელი იყო **გიორგი მერმანიშვილის** (90) უმედლოდ დარჩენა. ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონი და ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ბრინჯაოს მედალოსანი ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ლიდერია და ახლაც უმთავრეს ფავორიტთა შორის ასახელებდნენ, ნახევარფინალშიც ძლევამოსილად გავიდა, მაგრამ მერე ორივე შეხვედრა დათმო და მეხუთეზე დარჩა. ჩვენებურმა წინასწარ ეტაპზე სამივე ორთაბრძოლა წმინდად მოიგო - ლიტველ **ზილვინას ლეკავიჩიუსთან**, შვედ **ბენიამენ სტოფელთან** და გერმანელ **სიმონ გლოკნერთან**. პირველი მარცხი მან ნახევარფინალში იწვნია მომავალ ჩემპიონთან, რუს **ჰუსეინ ხალმურზაევთან** - მსაჯებმა ორჯერაც გააფრთხილეს, მერე კი მეტოქეს ვაზარი დაუთმო. ეს კიდევ



ლაშა შავდათუაშვილი

გასაგები იქნებოდა - რუსეთს სკოლაც ძლიერი აქვს და ჩრდილოკავკასიელი ხალმურზაევი იქნებ გადაზრდილიც არის, მაგრამ მერმანიშვილმა ბრინჯაოსთვის ბრძოლაც სლოვენიელ **მიჰაელ ზგანკთან** იპონით წააგო! ამ წონის მეორე მონაწილე, საქართველოს ჩემპიონი **გიორგი ქავთარაძე** მესამე წრიდან გამოვარდა, როგორც **შალვა ნინიძე** და **ბექა რატიანი** (ორივე - 81), **ოთარ არჩუაძე** (60) კი მეორე წრიდან დაემშვიდობა ჩემპიონატს. ჩვენი გუნდისთვის ყველაზე სუსტი წერტილი 100 კილოგრამი აღმოჩნდა, რასაც გუგავა ვარაუდობდა კიდეც - აქ **ელგუჯა ბიბილაშვილიც** და **გიორგი ცნობილაძეც** პირველივე შეხვედრაში დამარცხდნენ. ვნახოთ, რას იზამს გუგავა ამ წონაშიც და სხვაგანაც მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, რომელიც ნოემბერში სამხრეთაფრიკის რესპუბლიკაში გაიმართება. მწვრთნელმა ბელგიაში წასვლის წინაც გააფრთხილა შეგირდები, რომ ვინც იქ თავს ვერ გამოიჩენდა, მსოფლიოზე წასვლის იმედიც ნუ ექნებოდა. გუნდის თავკაცი არ აპირებს, აფრიკის უკიდურეს სამხრეთშიც სრული გუნდი წაიყვანოს.

რაც შეეხება ქალთა გუნდს, მათ დასამახსოვრებელი ვერაფერი დაგვანახეს - **ნონა მერაბიშვილიც** (52), **სოფიო ბერიძეც** (57), **თეა სუხიტაშვილიც** (70) და **ელენე ქებაძეც** (+78) პირველივე წრეში დამარცხდნენ.

**ირაკლი თავაძე**

ხოზის ფესტივალი



ვეტერან ფეხბურთელებს მიესალმება გოდერძი ბუკია

# ზეიმი სპორტმაც დაამშვენა

ხოზის ფესტივალის პროგრამას წლეულს სპორტიც დაემატა, რაც, უდავოდ, მისასალმებელია - ამ აზრს ყველა იზიარებს და გასაკვირი არც არის. ფესტივალი ტარდება საქართველოს პარლამენტის ხოზის მაჟორიტარი დეპუტატის **გოდერძი ბუკიას** და მისი საქველმოქმედო ფონდის ინიციატივით. გოდერძი ბუკიამ კი კარგად იცის სპორტის სოციალური, გნებავთ პოლიტიკური მნიშვნელობა. კარგად ესმისო, ვამბობთ იმიტომ, რომ ადრე იგი სახელმწიფო დონეზე კურირებდა სპორტის განვითარებას საქართველოში.

ფესტივალის პროგრამაში სპორტის დებიუტი ქართული ფეხბურთის ლეგენდების მიწვევით შედგა. მთავარი ეს იყო, თორემ ფესტივალიც და თვით საამაყო ფეხბურთელებთან საზეიმო შეხვედრა დამშვენდა და გალამაზდა მასობრივი სპორტული სანახაობებით, რომელშიც მონაწილეობდა საერთაშორისო პროექტში „სახალისო ფეხბურთის ღია სკოლები" ჩართული 200-მდე აღსაზრდელი.

ვეტერანი ფეხბურთლები გუშინ დღის მეორე ნახევარში გამოჩნდნენ ხოზში. ფესტივალის მონაწილენი და მაყურებლები მქუხარე ოვაციებით შეეგებნენ ძვირფას სტუმრებს. დიდი ინტერესი გამოიწვია ცნობილი სპორტული ჟურნალისტის **დავით ქლიბაძის** გამოცემამ „ფეხბურთის სამი ვარსკვლავი: **ვლადიმერ ბარქაია, მურთაზ ხურცილავა, გიორგი სიჭინავა** - ილუსტრებული დიალოგები". ფესტივალზე ჩამოსულმა ფეხბურთელებმა უპასუხეს შეკითხვებს და დაარიგეს ავტოგრაფები.

„მომავალ ფესტივალებში სპორტი უფრო ფართოდ იქნება წარმოდგენილი, პატივს მივაგებთ ღირსეულ ათლეტებს, ვინც საქართველო ასახელა ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოს და ევროპის სპორტულ სარბიელზე. ისინი არიან მისაბაძი მაგალითი ახალგაზრდობისთვის,"- თქვა გოდერძი ბუკიამ.

**თორნიკე ბაჩეჩილაძე**
ხოზიდან
ავტორის ფოტო

თავისუფალი ჭიდაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი

# დავითთა პირველობა

## თავისუფლების სამი ბრინჯაო და ოთხი ლიცენზია

საქართველოს თავისუფალი სტილი მოჭიდავეთა ნაკრებმა სამი ბრინჯაოთი დაასრულა გამოსვლა სტამბოლში, მსოფლიოს პირველობაზე. მედლები **დავით ხუციშვილმა** (74), **დავით მარსაგიშვილმა** (84) და **დავით მოძმანაშვილმა** (120) მოიპოვეს. ამით ამ სამეულმა ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის ლიცენზიაც გაინაღდა. უმედლოდ დარჩა, მაგრამ საგზური მოიპოვა **მალხაზ ზარქუამაც**, რომელიც 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში მეხუთეზე გავიდა.

როგორც ვხედავთ, მედლები ახალი თაობის მონაპოვარია - 19 წლის მარსაგიშვილმა წლეულსაც იჭიდავა ახალგაზრდულში, 21 წლის ხუციშვილმა კი შარშან დაასრულა იქ გამოსვლა. 25 წლის მოძმანაშვილი ნაკრების სტაჟიანი წევრი კი არის, მაგრამ ვეტერანობამდე ჯერ კიდევ შორია. ცხადია, 7-კაციანი გუნდისთვის 4 ლიცენზია არაა ცუდი შედეგი, თითქოს არც მედლების რაოდენობას უშავს, მაგრამ საწყენია, თუნდაც ფინალი რომ ვერ ვიჭიდავეთ; საწყენია გუნდის რამდენიმე წევრის ულიცენზიოდ და უმედლოდ დარჩენა. განსაკუთრებით **ვლადიმერ ხინჩეგაშვილზე** (55) გვწყდება გული, რომელიც ნამდვილად კარგი მოჭიდავეა და მომავალ ოლიმპიადაზე ფავორიტადაც მიგვაჩნია. ეჭვიც არ გვეპარება, ლიცენზიასაც აუცილებლად მოიპოვებს და ლონდონის თამაშებამდე სტამბოლში დაშვებულ შეცდომებსაც გამოასწორებს.

ხუციშვილმა და მარსაგიშვილმა წლეულს წარმატებული სეზონი მოიწყვეს - მარსაგიშვილის მონაგარი ევროპული ვერცხლი და მსოფლიოს ბრინჯაოა. ხუციშვილმა ევროპაზეც და მსოფლიოზეც ბრინჯაო ირგუნა. მარსაგიშვილი ევროპაზე ჩემპიონადაც კი გამოაცხადეს, თუმცა მერე მსაჯებმა გადაწყვეტილება შეცვალეს და ვერცხლს დააჯერეს. ამას ახალგაზრდებში მის მიერ მოპოვებული დუბლიც უნდა დავუმატოთ.

ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ სტამბოლში ჩვენებს წილისყრამ დიდად გაუმართლათ, თუმცა ეს ხუციშვილსა და მარსაგიშვილზე არ ითქმის. ბუნებრივია, ძლიერებს ვერც ისინი ასცდებოდნენ, მაგრამ თავიდან შედარებით სუსტები შეხვდნენ. მათაც წილისყრით ბოძებული შანსი ლოგიკურად გამოიყენეს - მოსაგები შეხვედრები მოიგეს და მართლაც ძლიერებთან წააგეს. თუმცა მარსაგიშვილს პირველ წრეში ხელწამოსაკრავი მეტოქე ნამდვილად არ ჰყოლია - ევროპის ჩემპიონი, საბერძნეთში გადასული **ემზარ ბედინეიშვილი, ემზარიოს ბედინიდისი**, მაგრამ ის უკვე ასაკშია, სპორტიდან წასვლასაც კი ფიქრობს და ამიტომ მარსაგიშვილი ფავორიტად მიგვაჩნდა. მის სადარად არც რუმინელი ევროპის ორგზის მედალოსანი **სტეფან გეორგიტა** მიგვაჩნდა და არც გასჭირვებია მათთან - ორივეს ძირითად დროში მოუგო. ხუციშვილს პირველ სამ წრეში ამ დონის ფალავნებიც არ ელოდა და სამი ბრძოლა იმანაც იოლად მოიგო - კამერუნელი **რომეო ჯუმესი** და ავსტრიელი **ფილიპ გრეპაზი** ორ პერიოდში დაამარცხა, პოლონელ ევროპის პრიზიორ **კრისტიან ბრზოზოვსკისთან** დამატებითი დრო კი დასჭირდა, მაგრამ მაინც დამაჯერებლად მოუგო.

ამის შემდეგ ორივეს ძლიერი მეტოქე ელოდა - ხუციშვილს გზა ირანელმა **სადეგ საედ გოუდარზიმ** გადაუღობა, მარსაგიშვილს კი უკრაინელი მსოფლიოს ჩემპიონი **იბრაგიმ ალდატოვი** ელოდა. მარსაგიშვილმა გვარიანად იბრძოლა და მხოლოდ დამატებითში წააგო.. ხუციშვილმა უფრო სუსტად იჭიდავა და ძირითად დროში წააგო. სამაგიეროდ, სანუგეშო წრეში უფრო ძნელი გზა ხუციშვილმა გაიარა - ჯერ ბელარუსი ოლიმპიური პრიზიორი, ევროპის ორგზის ვერცხლის მედალოსანი **მურად გაიდაროვი** დაამარცხა, ბრინჯაო კი ყაზახ **აბდულჰაკიმ შაპიევს** აართვა. ხუციშვილი ნამდვილად ქების ღირსია იმ შემართებისა და ჟინისთვის, რაც დამამშვიდებელში გამოავლინა - ერთი თვალი, პრაქტიკულად, დახურული ჰქონდა და ყაზახიც გამუდმებით ზედ ეტანებოდა, თან შაპიევმა პირველი პერიოდი 5:1 მოუგო, მაგრამ საგარეჯოელი ფალავანი არც ტკივილმა გატეხა, არც - მეტოქის უხეშობამ, არც - ამხელა ჩამორჩენამ, სამივე პერიოდი შეტევებში გაატარა და მიზანსაც მიაღწია.

მარსაგიშვილმა დამამშვიდებელში ბელარუსი **ომარჰაჯი მაგომედოვი** და ლატვიელი **არმანდას ზვირბულისი** ძალზე იოლად დაჯაბნა - პირველი პერიოდი ორივეს 4:0 მოუგო, მეორე - 6:0.

**ქვარცხლბეკი**

**60 კგ.** 1. ბესიკ კუდუხოვი (რუსეთი); 2. ფრანკლინ მატოს გომეში (პუერტო რიკო); 3. კანიჩი იომოტო (იაპონია), დაურენ ჟუმაგაზიევი ყაზახეთი); **5. მალხაზ ზარქუა (საქართველო).**

**66 კგ.** 1. მეჰდი კერმან ტაგავი (ირანი); 2. ტაცუჰირო იონემიცუ (იაპონია); 3. ჯაბრაილ ჰასანოვი (ზაერბაიჯანი), ლივან ლოპეს აზქუი (კუბა); **33. შალვა მუზიაშვილი (საქართველო).**

**74 კგ.** 1. იორდან ბუროუგსი (აშშ); 2. სადეგ საედ გოუდარზი (ირანი); **3. დავით ხუციშვილი (საქართველო)**, აშრაფ ალიევი (აზერბაიჯანი).

**84 კგ.** 1. შარიფ შარიფოვი (აზერბაიჯანი); 2. იბრაგიმ ალდატოვი (უკრაინა); **3. დავით მარსაგიშვილი (საქართველო)**, ალბერტ სარიტოვი (რუსეთი).

**96 კგ.** 1. მოჰამედ ალი რეზა იაზდანი (ირანი); 2. სერჰატ ბალცი (თურქეთი); 3. რუსლან შეიხაუ (ბელარუსი), იაკობ ვორნერი (აშშ); **25. გიორგი გოგშელიძე (საქართველო).**

**120 კგ.** 1. ალექსეი შემაროვი (ბელარუსი); 2. ბილიალ მახოვი (რუსეთი); **3. დავით მოძმანაშვილი (საქართველო)**, ჯამალადინ მაგომედოვი).

მათგან განსხვავებით, მოძმანაშვილს ძნელი ბადე ერგო - პირველ მეტოქედ ირანელი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ფარდინ მასოუმი ვალადი**, მის მხარეს კი თურქი ევროპის ჩემპიონი **ფატიჰ ჩაკიროღლუ** და ბელარუსი ევროპის ვიცე-ჩემპიონი, მომავალი გამარჯვებული **ალექსეი შემაროვიც** იყვნენ. მოძმანაშვილს მართალია, დამატებითი დრო დასჭირდა, მაგრამ მაინც იმარჯვა. იაპონელ **ნობუოში არაკიდას** ძალზე იოლად აჯობა, მერე კი შემაროვთან დამარცხდა. სანუგეშოში მოძმანაშვილს ურთულესი ბრძოლები ელოდა თურქთან და ამერიკელ მსოფლიოს პრიზიორ **ტრეველ დლაგნევთან**. ჩაკიროღლუსთან მას გაუმართლა - ორივე პერიოდში მისი ბურთულა ამოვიდა და მოიგო, ამერიკელთან კი დამატებით დროში გაიმარჯვა. პირველი პერიოდი ცოტა კურიოზულად მოუგო - როცა მეტოქე ილეთზე ვერ გადაიყვანა, გარეთ გაგდება სცადა, კიდემდეც მიიყვანა, მაგრამ ამერიკელი გაექცა. აი, აქ არა ჭიდაობა, არამედ მონადირისა და ნადირის ნამდვილი დევნა გაიმართა - დლაგნევი თავქუდმოგლეჯილი გაიქცა და შუაში დაბრუნება სცადა, მაგრამ მოძმანაშვილიც გაეკიდა და ხელის კვრით წრიდან გააგდო. მეორე პერიოდის ბედიც წრიდან გაყვანამ გადაწყვიტა - დამთავრებამდეც 4 წამით ადრე კვლავ ჩვენებურმა შეუტია და გაგდება სცადა, მაგრამ ამერიკელმა თავი კარგად დაიცვა, იქით დაატრიალა, რა დროსაც მოძმანაშვილმა გადგა გარეთ ორივე ფეხი. დამატებითში ჩვენებურს ისევ გაუმართლა და კვლავ მისი ბურთულა ამოვიდა, რაც გამოიყენა კიდეც. ბურთულამ გადაწყვიტა ფინალის ბედიც, სადაც შემაროვმა რუსი **ბილიალ მახოვი** დაამარცხა.

ჩვენი გუნდის სხვა წევრებიდან შედარებით უკეთ ზარქუა გამოვიდა, თუმცა პირველ წრეში მოულოდნელი მარცხი იწვნია პუერტორიკოელ **ფრანკლინ მატოს გომესთან**. ზარქუამ ჩრდილოკორეელ **იონ მიონ რისა** და სამხრეთკორეელ **სეუნ-ჩულ ლეეს** შემდეგ ძლიერი მეტოქე დაამარცხა - აზერბაიჯანელი ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს პრიზიორი **ზელიმხან ჰუსეინოვი**. სამწუხაროდ, ყაზახ **დაურენ ჟუმაგაზიევთან** ვერაფერს გახდა და მხოლოდ ლიცენზიას დასჯერდა.

წილისყრამ არ გაუმართლა გიორგი გოგშელიძეს (96), რომელიც ისედაც ვერ იყო ფორმაში - პირველივე წრეში მეტოქედ ყაზახთა ოსი ფალავანი **თეიმურაზ თიგიევი** ერგო, ვისთანაც პეკინის ოლიმპიადის ნახევარფინალში დამარცხდა. სამწუხაროდ, დამატებით დროში გოგშელიძემ ფეხში შესვლის უფლება ვერ გამოიყენა და წააგო. პირველივე წრეში დამარცხდა და ვერც სანუგეშოში გადავიდა ჩვენი გუნდის კიდევ ერთი წევრი - **შალვა მუზიაშვილი** (66), რომელიც ბელარუს **ალი შაბანაუსთან** დამარცხდა. ამ წონაში ირანელმა **მეჰდი კერმან ტაგავიმ** გაიმარჯვა, რომელიც მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# წყვილებში ერთად, ერთეულებში - პირისპირ


სოფიო ქვაცაბაია (მარცხნივ) და თათია მიქაძე

**ლეილა მესხის** ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე დამთავრდა ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი საქართველოს თასზე (საპრიზო ფონდი 10.000 $), რომელიც სპორტის სამინისტროს, საქართველოს და უკრაინის ჩოგბურთის ფედერაციების ერთობლივი ძალისხმევით გაიმართა. შეჯიბრებაში შესანიშნავად ითამაშეს ქართველმა სპორტსმენებმა. როგორც გაუწყეთ, წყვილთა პაექრობაში პირველ ადგილზე **თათია მიქაძისა** და **სოფიო ქვაცაბაიას დუეტი** გავიდა. ერთეულთა თანრიგში პარტნიორები ბადის სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ. შეგახსენებთ, რომ მიქაძემ ფინალამდე სეტის დაუთმობლად სძლია მარტა ჰნატიშნინს (უკრაინა, 6:1, 7:5), თანამემამულე ანა ჯიქიას (6:0, 6:0), ნადია კოლბს (უკრაინა, 6:2, 6:1) და პოლინა მონოვას (რუსეთი, 6:2, 6:0), ქვაცაბაიამ კი გადა კლერიკი (იტალია, 6:2, 6:3), 18-წლიანებში უიმბლდონის შარშანდელი ფინალისტი მაია კაციტაძე (რუსეთი, 6:4, 6:1) და ანი ამირაგიანი (სომხეთი, 3:6, 7:6, 6:3) ჩამოიცილა გზიდან. გადამწყვეტი დუელი მიქაძის გამარჯვებით (6:0, 6:2) დამთავრდა, რომელმაც მეექვსედ მოიპოვა მთავარი პრიზი (სამჯერ ერთეულებში და ამდენჯერვე წყვილებში).

- წინა დღეს ორი მძიმე ორთაბრძოლა მქონდა. განსაკუთრებით ანი ამირაგიანთან სამსეტიანმა ბრძოლამ მომქანცა. დღეს ისე ვიყავი დაღლილი, ფეხის გადადგმა მიჭირდა, ბევრ შეცდომას ვუშვებდი, რომლებიც კარგად გამოიყენა თათიამ. ის ახლა ნამდვილად ჩინებულ სპორტულ ფორმაშია. წყვილებში თამაშის დროსაც ვგრძნობდი ამას. გამარჯვებას ვულოცავ და მომდევნო ტურნირებშიც წარმატებას ვუსურვებ, თუმცა თუ კიდევ შევხვდით ერთმანეთს, აუცილებლად რევანშის აღებას შევეცდები, - მითხრა ტურნირის დამთავრების შემდეგ სოფიო შაფათავამ.

გამარჯვებულსა და პრიზიორებს თასები და ფულადი ჯილდოები გადასცეს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე **დავით ნამგალაურმა,** საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ლეილა მესხმა** და უკრაინის ჩოგბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, იური საპრონოვის საჩოგბურთო ფონდის დირექტორმა **ვსევოლოდ კევლიჩმა.**

„არ შევმცდარვართ, რომ სპორტის სამინისტრომ თბილისის საერთაშორისო ტურნირის დაფინანსებაში თავისი წვლილი რომ შეიტანა. 20-მდე ქართველმა ჩოგბურთელმა იასპარეზა ამ შეჯიბრებაში, რაც მათ შემდგომ დაოსტატებაში დადებით ზეგავლენას მოახდენს. განსაკუთრებით სასიამოვნო ის არის, რომ პირველი-მეორე ადგილები მასპინძლებმა დაიკავეს. მიქაძეს და ქვაცაბაიას სხვა საერთაშორისო ასპარეზობებშიც არაერთხელ უსახელებიათ თავი. იმედია, ისინი თბილისისა და თელავის მომდევნო ტურნირებშიც წარმატებით ითამაშებენ“, - გვითხრა სპორტის მინისტრის მოადგილე დავით ნამგალაურმა.

■ ■ ■

გუშინ ლელა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე სტარტი აიღო ბათუმის ნავთობტერმინალის საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 25.000 $) საკვალიფიკაციო ეტაპმა. პირველი წრის შეხვედრები ასე დამთავრდა: ელიზავეტა იანჩუკი (უკრაინა)-ბაბილინა მაჩაიძე (საქართველო) 6:1, 6:1, პოლინა მონოვა (რუსეთი)-თამარ ცხაკაია (საქართველო) 6:0, 6:0, დანკა კოვინიჩი (ჩერნოგორია)-მარტა ჰნატიშინი (უკრაინა) 6:2, 6:0, ვიქტორია კისიალევა (ბელარუსი)-ბარბარე ერისთავი (საქართველო) 6:1, 6:2, ეკატერინე გორგოძე (საქართველო)-ევგენია სვინცოვა (რუსეთი) 6:1, 6:2, ვიქტორია ლუჟკოვა (უკრაინა)-სვიატლანა პირაზნენკა (ბელარუსი) 3:6, 7:6, 6:3. თათია მიქაძე (საქართველო),იანა სლუჟიტელევა (რუსეთი) 3:1 (მეტოქის უარი). ნათელა ძალამიძე (რუსეთი)-ნინო სუჯაშვილი (საქართველო) 6:0, 6:2, კატარზინა კავა (პოლონეთი)-ალონა ფომინა (უკრაინა) 6:3, 6:0, ლიძია მაროზავა (ბელარუსი)-ვლადისლავა კუზმენკოვა (ბელარუსი) 4:6, 6:1, 6:1, ალექსანდრე არტამონოვა (რუსეთი)-ოლექსანდრა პისკუნი (უკრაინა) 6:0, 6:1, ანი ამირაგიანი (სომხეთი)-დარია ბერეჟნაია (ყაზახეთი) 6:2, 6:0, ირინა ხრომაჩევა (რუსეთი)-სოფი ვაინბერგი (რუსეთი) 6:1, 6:1, ანი გოგვაძე (საქართველო)-ნადია კოლბი (უკრაინა) 6:2, 6:2, ქსენია კირილოვა (რუსეთი)-ოფელია პოლოსიანი (სომხეთი) 6:1, 6:0, შახლო საიდოვა (რუსეთი)-ვიქტორია ომიალანავა (ბელარუსი) 7:5, 7:6.

მეორე წრეში ითამაშებენ: იანჩუკი-მონოვა, კოვინიჩი-კისიალევა, გორგოძე-ლუჟკოვა, მიქაძე-ძალამიძე, კავა-მაროზავა, არტომონოვა-ამირაგიანი, ხრომაჩევა-გოგვაძე, კირილოვა-საიდოვა.

**ვაჟა დანელია**

*ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო*

# მეოთხედფინალი იქმარა

ITALიურ მესტრეში (50 ათასი დოლარი) **მაკა ჩახნაშვილმა** (176) ასპარეზობა მეოთხედფინალში დაასრულა, სადაც მე-3 ნომრად განთესილ ჩეხ **სანდრა ზაჰლალოვასთან** (141) წააგო - 3:6, 2:6. მაკამ 18 სარეიტინგო ქულა დაიბევა, შარშან მესტრეში მან მერვედფინალში წააგო (10 ქულა აიღო), ასე რომ, ქართველისგან რეიტინგში მცირე წინსვლას ველით. ახლა ის ფრანგულ სან მალოში ითამაშებს, სადაც ტურნირის საპრიზო ფონდი 100 ათას დოლარზე მეტია.


მაკა ჩახნაშვილი

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ძალოსნობა

# სამ წონაში რვა მედალი

**ასეთი შედეგით დაასრულეს ასპარეზობა ქართველმა ათლეტებმა ახალგაზრდა ძალოსანთა ევროპის პირველობაზე, რომელსაც რუმინეთის დედაქალაქმა უმასპინძლა**

როგორც გაუწყეთ, 20-წლამდელთა ასპარეზობაში ქუთაისელმა **გიორგი ლომთაძემ** ორჭიდში (307 კგ) ვერცხლისა და ატაცში (140) ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. საგულისხმოა, რომ იგი ჩემპიონს - მოლდოველ არტიომ პიპას მხოლოდ ერთი კილოთი ჩამორჩა. სამაგიეროდ, ამ ასაკში იყოჩალა საჩხერელი ვეტერანი ძალოსნის კობა ტალახაძის 18 წლის ვაჟმა **ლაშა ტალახაძემ,** რომელმაც, როგორც შარშან ჭაბუკთა ევროპის პირველობაზე, სამი ოქროს ჯილდო მოიხვეჭა. მესამე ცდაზე მან 185 კილო აიტაცა და უახლოეს მეტოქეს - სომეხ გორ მინასიანს 6 კილოთი გაუსწრო (მესამე მიყო რუსი მაგომედ აბუევი - 178 კგ).

აკვრაში საჩხერელმა გოლიათმა 217-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა და აქაც პირველი იყო. მინასიანმა კილოგრამით ნაკლები დაძლია და მცირე ვერცხლი ირგუნა, 212 კილოგრამით ბრინჯაო აბუევს ერგო. ორჭიდში საბოლოოდ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ლაშა ტალახაძე - 402 (185+217), 2. გორ მინასიანი - 395 (179+216), 3. მაგომედ აბუევი - 390 (178+212).

საგულისხმოა, რომ თვე-ნახევრის წინათ საქართველოს ლიგის პირველობაზე ნაჩვენები პირადი რეკორდი ტალახაძემ 6 კილოგრამით გააუმჯობესა.

ბუქარესტის ფიცარნაგზე 23-წლამდელებში შესანიშნავად იასპარეზა ზუგდიდელმა **დავით გოგიამ.** ტალახაძის მსგავსად, მანაც ექვსივე ცდა წარმატებით გამოიყენა. აიტაცა 172 კილოგრამი (მცირე ოქრო), აკვრა 207 კილო (მცირე ბრინჯაო) და ორჭიდის ჯამში 379 კილოგრამით მეორე ადგილი დაიკავა და, ლომთაძის მსგავსად, მხოლოდ კილოგრამით ჩამორჩა გამარჯვებულს - რუს იური ტეხაევს, რომელიც ატაცსა და აკვრაში მეორე კი იყო, მაგრამ ორჭიდში აჯობა ყველას. დიდი ბრინჯაო პოლონელ არკადიუშ მიხალსკის ერგო. მან აკვრაში დაიკავა პირველი ადგილი, ატაცში კი მესამე ადგილით დაკმაყოფილდა.

1. იური ტეხაევი-380 (172+208), 2. დავით გოგია-379 (172+207), 3. არკადიუშ მიხალსკი-369 (160+209).

» მე-15 გვერდზე

კალათბურთი. ლიეპაიას საერთაშორისო ტურნირი



# ფარლალავა ლიეპაიაში საუკეთესოა, სოხუმი - მეორე

**ფინალი**

**სოხუმი (საქართველო)-დნიპრო (უკრაინა) 88:99**

23:27, 17:16, 23:29, 25:27

**სოხუმი:** ფარლალავა (20 წთ, 15ქ, 3მ, 4პ), რობინსონი (16 წთ, 7ქ), პირსი (22 წთ, 21ქ, 9პ), ბერიშვილი (16 წთ, 4მ), ჩლაიძე (17 წთ, 19ქ, 3მ), გაი (24 წთ, 21ქ, 6მ), ქადარია (5 წთ, 2ქ), ფაცაცია (14 წთ), გაფრინდაშვილი (6 წთ), სალიერსი (21 წთ, 3ქ).

**ჯგუფური ეტაპი**

**სოხუმი (საქართველო)-ლიეპაია (ლატვია) 80:68**

20:19, 21:17, 19:16, 20:16

**სოხუმი:** პირსი (27 წთ, 12ქ, 5მ, 3ჩ), ფარლალავა (30 წთ, 21ქ, 6მ, 3პ, 5ჩ, 2დ), გაი (32 წთ, 10ქ, 5მ), რობინსონი (27 წთ, 8ქ, 3მ, 2პ), ქადარია (5 წთ), მ. ბერიშვილი (12 წთ, 2ქ, 3მ), ჩლაიძე (3 წთ), ფაცაცია (30 წთ, 2ქ, 6მ), გაფრინდაშვილი (6 წთ), სალიერსი (27 წთ, 25ქ, 12მ).

**სოხუმი (საქართველო)-სევეროსტალი (რუსეთი) 85:90**

20:22, 27:34, 21:19, 17:15

**სოხუმი:** ფარლალავა (29 წთ, 21ქ, 2პ, 2ჩ), რობინსონი (22 წთ, 11ქ, 4მ), პირსი (27 წთ, 14ქ, 4მ, 4პ, 2ჩ), მ. ბერიშვილი (21 წთ, 4ქ, 4მ), ჩლაიძე (15 წთ, 3ქ), გაი (12 წთ, 3ქ), ფაცაცია (26 წთ, 7ქ, 4მ, 4პ), გაფრინდაშვილი (7 წთ, 3ქ), სტიემსმა (16 წთ, 4ქ, 4მ), სალიერსი (24 წთ, 15ქ, 5მ, 3პ)

**ამხანაგური მატჩი**

**სოხუმი (საქართველო)-უნიქსი (რუსეთი) 81:101**

21:17, 25:32, 21:24, 14:28

**სოხუმი:** რობინსონი (34 წთ, 15ქ, 3მ, 3პ), პირსი (29 წთ, 8ქ, 6მ, 6პ), ჩლაიძე (13 წთ), გაი (28 წთ, 14ქ, 4მ), სორდია (3 წთ, 5ქ), ფაცაცია (29 წთ, 4ქ, 2პ), გაფრინდაშვილი (12 წთ, 1ქ), სტიესმა (23 წთ, 10ქ, 9მ, 2ჩ, 4დ), სალიერსი (29 წთ, 24ქ, 2ჩ).

**უნიქსი:** სამოილენკო (6ქ), ლიდაი (4ქ), გოლოვინი (8ქ), ზამანსკი (2ქ), პაშუტინი (11ქ), ვერემეენკო (9ქ), სავრასენკო (9ქ), მაკკარტი (6ქ), ჯავაი (20ქ), დომერკანტი (13ქ), უილკინსონი (13ქ).

**ამხანაგური მატჩი**

**სოხუმი (საქართველო)-ტრიუმფი (რუსეთი) 67:83**

საკალათბურთო კლუბი „სოხუმი“ გამალებით ემზადება ახალი სეზონისთვის - გუნდი ჯერ ევროჩელენჯის გათამაშებაში ჩაერთვება, შემდეგ საქართველოს ჩემპიონატში. სოხუმელებმა გუშინ დაასრულეს ლატვიის ქალაქ ლიეპაიაში გამართული საერთაშორისო ტურნირი, რომლის ფინალში უკრაინულ „დნიპროს“ დაუპირისპირდნენ. მატჩი დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა და უკრაინელთა გამარჯვებით დასრულდა - 99:88. ასე რომ, „სოხუმმა“ მისთვის პირველი საერთაშორისო ტურნირი მეორე ადგილზე დაასრულა, რაც ახალშეკრებილი გუნდისთვის ურიგო შედეგი არ არის.

როგორც სოხუმელთა პრესცენტრის ხელმძღვანელმა **თენგიზ პაჭკორიამ** გვაცნობა, ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტმა საუკეთესო კალათბურთელად **ლაშა ფარლალავა** დაასახელა. მან ფინალში 15 ქულა მიითვალა. ეფექტური სტატისტიკა ჰქონდა ახალგაზრდა **ირაკლი ჩლაიძეს,** რომელმაც 5-დან 5 სამქულიანი გამოიყენა და 19 ქულას მოუყარა თავი.

■ ■ ■

ორიოდე სიტყვით ჯგუფური ეტაპის მატჩებსაც უნდა შევეხოთ. ტურნირში მონაწილე ექვსი გუნდი ორ ჯგუფად განაწილდა. ერთგან მოხვდნენ უკრაინის „დნიპრო“, ესტონეთის „ტარტუ როკი“ და ლიტვური „პიენო ზვიგადესი“. მეორე ჯგუფში სოხუმელებს დაუპირისპირდნენ რუსული „სევეროსტალი“ და ლატვიური „ლიეპაია“. ჯგუფებში გამარჯვებულები ერთმანეთს ფინალში შეხვდნენ.

პირველ მატჩში **აინარს ბაგაცკისის** გუნდმა თანაბარი ბრძოლა გაუჩალა „სევეროსტალს“ და ბოლო წუთებზე 85:90 დამარცხდა. შეხვედრაში ქართველთა გუნდში საუკეთესო იყო ლაშა ფარლალავა, რომელიც „სოხუმს“ ვილნიუსიდან შეუერთდა, სადაც საქართველოს ნაკრებთან ერთად ევროპის პირველობაზე გამოდიოდა.

წაგების მიუხედავად სოხუმელები ფინალში გასვლის შანსს ინარჩუნებდნენ, რადგან „სევეროსტალმა“ „ლიეპაიასთან“ დათმო. შაბათს საშუალება მოგვეცა „სოხუმი“-“ლიეპაიას“ მატჩისთვის პირდაპირ ეთერში მიგვედევნებინა თვალი. თამაში თავიდან ქულა-ქულაში მიმდინარეობდა, თუმცა მესამე პერიოდიდან ქართველთა გუნდი მცირე ინიციატივას დაეუფლა და მატჩიც მშვიდად მიიყვანა გამარჯვებამდე - 80:68.

ფარლალავა ამჯერადაც ასცდა 20-ქულიან ზღვარს (21 ქულა მიითვალა), თუმცა მეტი სიუხვით ამერიკელი ახალწვეული **სალიერსი** გამოირჩა. მან 25 ქულა და 12 მოხსნა მოაგროვა. დანარჩენმა სამმა უცხოელმა **რიჩარდსონმა, პირსმა და გაიმ** ჯამში 30 ქულა ჩააგდეს, რაც ურიგო შედეგი ნამდვილად არ გახლავთ. მეხუთე ამერიკელი **სტიემსმა** ტრავმირებულია. გუნდის ექიმებს იმედი აქვთ, რომ ის და **ირაკლი სორდია** ვარჯიშს მალე განაახლებენ.

■ ■ ■

ლიეპაიამდე „სოხუმი“ შეკრებას ლიტვაში გადიოდა, სადაც ორი საკონტროლო შეხვედრა გამართა. პირველ მატჩში ბაგაცკისის გუნდი რუსეთის „ტრიუმფთან“ დამარცხდა, ხოლო მეორე შეხვედრაში - ასევე რუსულ „უნიქსთან“. ამ თამაშებში მონაწილეობა არ მიუღია ლაშა ფარლალავას, რომელიც საქართველოს ნაკრებთან ერთად ვილნიუსში იყო.

„ტრიუმფის“ შემადგენლობაში ვარსკვლავური გვარები არ იყო, „უნიქსში“ კი ევროპაში სახელმოხვეჭილი მოთამაშეები ირიცხებიან, გუნდი წლეულს ევროლიგაზე იასპარეზებს. **დომერკანტის, მაკარტის, ჯავაისა** და **უილკინსონის** „უნიქსმა“ „სოხუმი“ მეოთხე პერიოდში გატეხა, საბოლოოდ 101:81 იმარჯვა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარიკაობა

# მეუღლეთა ბენეფისი


ანზორ ალბრეხტი (მარცხნივ) და დავით არველაძე ფინალური ორთაბრძოლის შემდეგ

თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, წყალტუბოს, აჭარისა და აფხაზეთის 100-მდე მოფარიკავე მონაწილეობდა საქართველოს ჩემპიონატში, რომელიც გენერალური რეპეტიცია იყო მსოფლიოს ჩემპიონატის წინ. ეს შეჯიბრება კი 8-16 ოქტომბერს იტალიაში გაიმართება.

საფარიკაო ბილიკებზე პირველი მოხმალავენი გავიდნენ. ქალთა ნახევარფინალში ოლიმპიური ჩემპიონის ვლადიმერ აფციაურის ქალიშვილმა **თათია აფციაურმა** (თბილისი) ბათუმელ **თამარ ტეტემაძეს** 15:8 სძლია, ხოლო **ქრისტინე ნოზაძემ სოფიო კახიანს** (ორივე - თბილისი) აჯობა - 15:10. აფციაურს არც ფინალური პაექრობის მოგება გასჭირვებია - 15:9 დაჯაბნა ნოზაძე.

შეჯიბრებაზე უნდა გამოსულიყო ახალგაზრდა ნიჭიერი მოხმალავე **თეოდორა კახიანი**, მაგრამ ტურნირის დაწყებამდე აპენდიციტის მწვავე შეტევით საავადმყოფოში აღმოჩნდა. შესაძლოა, ის ვერც მსოფლიოს ჩემპიონატზე გაემგზავროს.

ვაჟთა ნახევარფინალური ორთაბრძოლები უფრო დაძაბული აღმოჩნდა. აქ კვარცხლბეკისკენ გზა, როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს ნაკრების წევრებმა გაიკაფეს. **სანდრო ბაზაძემ,** რომელიც ბოლო დროს აშკარა აღმავლობას განიცდის, ჭაბუკებში წლევანდელი მსოფლიოს პირველობის ბრინჯაოს პრიზიორ **მიხეილ მარდალეიშვილს** (ორივე - ქუთაისი) 15:13 მოუგო. ასეთივე ანგარიშით **კახა მაღრაძემ** (თბილისი) **ბექა ბაზაძეს** (ქუთაისი) აჯობა. სამაგიეროდ, ძმის მარცხისთვის რევანში **სანდრო ბაზაძემ** აიღო - იოლად სძლია მაღრაძეს - 15:4.

რაპირაში ქალთა ნახევარფინალის პირველი შეხვედრა **თეონა გოგლიძესა** და **რუსუდან წირქვაძეს** (ორივე - თბილისი) შორის გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და გოგლიძემ იგი ერთი ჩხვლეტის უპირატესობით (15:14) მოიგო, სამაგიეროდ, ბათუმელმა **თინა ბოლქვაძემ** იოლად აჯობა (15:3), ქუთაისელ **მერი მიქაძეს.** გადამწყვეტ პაექრობაში უშელავათო დაპირისპირებას ელოდნენ, მაგრამ, ვარაუდის საპირისპიროდ, ამ ორთაბრძოლაში გოგლიძემ აშკარად დაჯაბნა ზღვისპირელი მეტოქე - 15:4 და ოქროს მედალი დაიმსახურა.

• ვაჟებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა 14 წლის **ლუკა ლალანიძე,** რომელმაც საქართველოს ჩემპიონობა პირველად მოიპოვა. ლუკამ ნახევარფინალში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს, 27 წლის გამოცდილ ოსტატს **ირაკლი ჭელიძეს** აჯობა - 11:9 და ფინალში ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონის **არჩილ უგულავას** მძლეველ (15:6) **სანდრო სიხარულიძეს** შეხვდა. ლალანიძეს არც გადამწყვეტ ორთაბრძოლაში გასჭირვებია გამარჯვება - 15:11.

ყველაზე მეტმა მონაწილემ დაშნაში მოიყარა თავი. აქ 58 მოფარიკავე ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას. ქალებში სხვებზე უკეთ იასპარეზა **ეკატერინა ალბრეხტმა.** მისი ქალიშვილობის გვარია ჟულკოვა. წლების განმავლობაში რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში გამოდიოდა და გუნდურში ევროპის პირველობის ბრინჯაოს მედალიც აქვს მოპოვებული. სამი წლის წინათ მან ქართველ მოფარიკავე ანზორ ალბრეხტთან ერთად შექმნა ოჯახი. შარშან შვილიც შეეძინათ. წელიწადიც არ არის, რაც ვარჯიში განაახლა და ნელ-ნელა იბრუნებს ჩვეულ სპორტულ ფორმას, საქართველოს ჩემპიონატზე კი ყველას სძლია. ნახევარფინალში მან ძალების დაუძაბავად დაამარცხა ქუთაისელი **ხატია ლელაძე** - 15:5, ფინალში კი მის თანაგუნდელ **მარიამ ზაკირჩენკოსაც** მოუგო - 15:7. ამ უკანასკნელმა ნახევარფინალში ბათუმელი **ალექსანდრა ანანიაშვილი** ჩამოიცილა გზიდან - 15:13. როგორც ფარიკაობის ფედერაციის მესვეურებმა გვითხრეს, ეკატერინა ალბრეხტი იტალიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე გაემგზავრება და ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის საგზურისთვის იბრძოლებს.

მეუღლეს კარგად აუბა მხარი საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა და პრიზიორმა ანზორ ალბრეხტმა. ნახევარფინალური ბარიერის დაძლევის შემდეგ ოქროს მედლისთვის ბოლო წლების უცვლელი მეტოქეები - ალბრეხტი (რიონისპირელ **გიორგი ნაცვლიშვილს** მოუგო 15:0) და ქუთაისელი **დავით არველაძე** (თანაქალაქელ **ოთარ ზანგურაშვილს** აჯობა 15:13) დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. შარშან საქართველოს თასის გათამაშებაში არველაძემ იმარჯვა, ეროვნულ ჩემპიონატში ალბრეხტმა რევანში აიღო. ანზორმა ამჯერადაც დაჯაბნა (15:11) მეტოქე და ჩემპიონობა შეინარჩუნა.

### კვარცხლბეკი

**ხმალი. ქალები.** 1. თათია აფციაური, 2. ქრისტინე ნოზაძე, 3. სოფიო კახიანი (სამივე-თბილისი), თამარ ტეტემაძე (ბათუმი). **ვაჟები.** 1. სანდრო ბაზაძე (ქუთაისი, 2 კახა მაღრაძე (თბილისი), 3. ბება ბაზაძე, მიხელი მარდალეიშვილი (ორივე-ქუთაისი).

**რაპირა. ქალები.** 1. თეონა გოგლიძე (თბილისი), 2. თინა ბოლქვაძე (ბათუმი), 3. მერი გოქაძე (ქუთაისი), რუსუდან წირქვაძე (თბილისი). **ვაჟები.** 1. ლუკა ლალანიძე, 2. სანდრო სიხარულიძე, 3. არჩილ უგულავა (სამივე-თბილისი), ირაკლი ჭელიძე (ბათუმი).

**დაშნა. ქალები.** 1 ეკატერინა ალბრეხტი (თბილისი ), 2. მარიამ ზაკირჩენკო, 3. ხატია ლელაძე, ალექსანდრა ანანიაშვილი (სამივე-ქუთაისი). **ვაჟები.** 1 ანზორ ალბრეხტი (თბილისი), 2. დავით არველაძე, 3. ოთარ ზანგურაშვილი, გიორგი ნაცვლიშვილი (სამივე-ქუთაისი).

**ვაჟა დანელია**
*ავტორის ფოტო*

ძალოსნობა

« მე-14 გვერდიდან

რუმინეთში ქართველ ძალოსნებს ახლდნენ მწვრთნელები - **ალეკო ნოზაძე** და **მალხაზ ლომთაძე.** გუშინ ბუქარესტიდან დაბრუნებულ მედალოსნებს თბილისის აეროპორტში სპორტის სამინისტროს და ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის წარმომადგენლებმა, ახლობლებმა და მეგობრებმა საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს.

**მალხაზ ლომთაძე:** ახალგაზრდა ძალოსნებმა ბუქარესტში თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინეს და სიტყვაც პირნათლად შეასრულეს.

**ლაშა ტალახაძე:** საქართველოს ლიგაზე ნაჩვენები ჩემი შედეგი ევროპის პირველობაზე სამეულში მოსახვედრად კი იყო საკმარისი, მაგრამ წარმატებისთვის არ მეყოფოდა, ამიტომ მეტი მოვინდომე, კარგად მომზადებულიც ვიყავი და გავიმარჯვე. მიხარია, რომ წვრთნელებს იმედები გავუმართლე.

**დავით ნამგალაური,** სპორტის მინისტრის მოადგილე: შესანიშნავი შედეგია, ბიჭებმა კარგი განაცხადი გააკეთეს სამომავლოდ. ფედერაციის თავდადებული გარჯით გამოვლენილია ის თაობა, რომელიც ღირსეულად უნდა ჩაენაცვლოს უფროსებს ეროვნულ ნაკრებში. ლონდონის ოლიმპიადაზე თუ არა, ისინი რიოს 2016 წლის თამაშებში თავიანთ სიტყვას იტყვიან და საქართველოს ასახელებენ.

**გიორგი ასანიძე:** ოლიმპიური ჩემპიონი, პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე: სპორტის ქართველ ქომაგებს, ძალოსნობის ფედერანიის მესვეურებს მინდა მივულოცო ახალგაზრდა ათლეტთა [illegible]. განსაკუთრებით ლაშა ტალახაძის გამარჯვება მინდა აღვნიშნო: ეს ნიჭიერი ათლეტი შეჯიბრებიდა შეჯიბრებამდე იზრდება და დიდი მომავალი აქვს. ლომთაძემ და გოგიამაც იყოჩაღეს. მადლობა მათ.

ევროპის პირველობის მონაწილენი ხვალიდანვე ეროვნული ნაკრების წევრებთან ერთად ჩაერთვებიან საწვრთნელ შეკრებაში, რათა უკეთ მოემზადონ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის. დარწმუნებული ვარ, რომ პარიზში ისინი ჩვენს გუნდს სალიცენზიო ქულებს მოუტანენ. თუმცა მიზანი მხოლოდ საგზურების მოპოვება როდია – ოლიმპიადებზე წარმატებული გამოსვლაც გვსურს. ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვანო გრიქუროვის ხელმძღვანელობით, ვფიქრობ, ოცნებას ავისრულებთ.

**რამაზ გურგენიძე,** ძალოსნობის ფედერაციის გენერალური მდივანი: რუმინული შედეგები გვახარებს და გვაიმედებს. სამ წონაში რვა ჯილდოს მოპოვება, მართლაც, დიდი საქმეა. ჩვენი მედალოსნები ჩაქვში გაემგზავრებიან, სადაც ეროვნული ნაკრები საწვრთნელ შეკრებას განაგრძობს. 4-6 ოქტომბერს ზუგდიდში ეროვნული ჩემპიონატი გაიმართება, სადაც ყველა უძლიერესი იასპარეზებს. ეს იქნება ძალების ბოლო მოსინჯვა მსოფლიოს სალიცენზიო ჩემპიონატის წინ, რომელსაც ნოემბრის დასაწყისში პარიზი უმასპინძლებს. მანამდე კი ჩვენი ძალოსნები დასკვნით შეკრებას დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე გაივლიან. დღევანდელი მონაცემების გათვალისწინებით სამი საგზურის მოპოვება არ უნდა გაგვიჭირდეს.

**ვაჟა დანელია**
*ავტორის ფოტო*


მარცხნიდან – გიორგი ლომთაძე, დავით გოგია, ლაშა ტალახაძე და ზურიკო თავაძე

სუმო. აკი ბაშო. 11-25 სექტემბერი

# ქართულ-ჩეხური ჯახი: ყველაზე დიდი ყველაზე პატარის წინააღმდეგ

ტოკიოსბაშო ეკვატორს გუშინ გადაცდა და საამაყოც გვაქვს - დაუმარცხებლად (8-8 მოგებით) სულ ორი რიკიში ლიდერობს, დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** და სეკივაკე **კისენოსატო,** მათ კვალში კი კიდევ ორი მიუყვება (7-7 მოგებით) სეკივაკე **კოტოშოგიკუ** და **გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი)**, რომელიც დასავლეთის მე-11 მაეგაშირაა. ელიტის უმძიმესმა ფალავანმა მხოლოდ სასტარტო ბრძოლა დათმო, მას შემდეგ კი ზედიზედ 7-ჯერ იმარჯვა, რაც მისი კარიერის საუკეთესო მიღწევაა. უქმეებზე მან მძლავრი მიწოლით ჯერ მონღოლი **ტამავაში** დაამარცხა, შემდეგ კი იაპონელი **დაიდო.** დღეს თეიმურაზს საინტერესო ბრძოლა ელის - მისი მეტოქე ჩეხი სუმოისტი **პაველ ბოიარია (ტაკანოიამა).** ქართველი 199 კილოგრამია, ჩეხი კი... 98.

**ტოჩინოშინს (ლევან გორგაძე)** უძლიერეს ფალავნებთან უწევს ჭიდილი, ორი ოძეკიდან ერთს მან უბრძოლველად მოუგო (ბულგარელი **კოტოოშუ** ტურნირიდან ტრავმის გამო მოიხსნა), ხოლო ესტონელ **ბარუტოსთან** წააგო. დღეს კი ჩვენებურს უფრო დიდი გამოცდა ელის, მას დიდი მონღოლი **ჰაკუჰო** დაუპირისპირდება. ლევანის ბალანსი 4-4-ია.

**კოკაიმ (ლევან ცაგურია)** შაბათს მონღოლ **შოტენროს** მოუგო, კვირას კი **კიტატაიკისთან** წააგო. დღეს „შავი ზღვა", რომელსაც 5-3 ბალანსი აქვს, მონღოლ **ასასეკირიუს** დაეჭიდება.

### VII დღე

ჰაკუჰო-ტოიონოშიმა (ჰატაკიკომი), იოშიკაძე-ჰარუმაფუჯი (ჰატაკიკომი), ბარუტო-ტაკეკაძე (ცუკიოტოში), **ტოჩინოშინი**-კოტოოშუ (უბრძოლველად), კოტოშოგიკუ-ოკინოუმი (იორიკირი), კისენოსატო-კაკურიუ (ოშიდაში), ჰომაშო-არანი (იორიკირი), ტოკიტენკუ-ვაკანოსატო (უვატენაგე), ტოჩიოძანი-ვაკაკოიუ (ოშიდაში), გოეიდო-მიაბიამა (ოშიდაში), ტოჩინოვაკა-ტაკაიასუ (ცუკიოტოში), საგაცუკასა-ფუჯიაზუმა (ჰიკიოტოში), კიოკუტენჰო-კაისეი (იორიკირი), ტოიოჰიბიკი-კიტატაიკი (იორიტაოში), **გაგამარუ**-ტამავაში (ოშიდაში), ამინიშიკი-ტოსაიუტაკა (ჰიკიოტოში), დაიდო-ასასეკირიუ (კოტენაგე), ტაკანოიამა-იოშიაზუმა (კაკენაგე), ჰოჩიამა-ტამაასუკა (ოკურიდაში), **კოკაი**-შოტენრო (ჰატაკიკომი), ტაკარაფუჯი-კიმურაიამა (ოშიდაში).



### VIII დღე

ჰაკუჰო-ტოჩიოძანი (იორიკირი), ბარუტო-**ტოჩინოშინი** (იორიტაოში), ჰარუმაფუჯი-ტოკიტენკუ (უვატედაშინაგე), კისენოსატო-მიაბიამა (ჰიკიოტოში), კაკურიუ-კოტოშოგიკუ (იორიკირი), არანი-ოკინოუმი (ჰატაკიკომი), ჰომაშო-ტოიონოშიმა (ოშიდაში), იოშიკაძე-ვაკანოსატო (ჰიკიოტოში), გოეიდო-ტაკეკაძე (იორიკირი), ვაკაკოიუ-კაისეი (ჰიკიოტოში), ტაკაიასუ-ტოიოჰიბიკი (იორიტაოში), ტოჩინოვაკა-ფუჯიაზუმა (ოშიდაში), ამინიშიკი-საგაცუკას (ოშიდაში), კიოკუტენჰო-ასასეკირიუ (იორიკირი), იოშიაზუმა-ტამავაში (უვატენაგე), **გაგამარუ**-დაიდო (ოშიდაში), კიტატაიკი-**კოკაი** (იორიტაოში), კიმურაიამა-ტამაასუკა (ოკურიდაში), შოტენრო-ჰოჩიამა (იორიკირი), ტაკანოიამა-ტოსაიუტაკა (იორიკირი).

### სატურნირო მდგომარეობა

**8-0: ჰაკუჰო** (იოკოძუნა), **კისენოსატო** (სეკივაკე).
**7-1: კოტოშოგიკუ** (სეკივაკე), **გაგამარუ** (მაეგაშირა 11).
**6-2: ბარუტო** (ოძეკი), **ტოჩიოძანი** (მ 3), **გოეიდო** (მ 5), **ტოჩინოვაკა** (მ 7), **კიოკუტენჰო** (მ 10), **კიტატაიკი** (მ 11), **ამინიშიკი** (მ 12)... **5-3: კოკაი** (მ 16)... **4-4: ტოჩინოშინი** (მ 4).

### IX დღე

ჰაკუჰო-**ტოჩინოშინი,** ჰარუმაფუჯი-კაკურიუ, ბარუტო-კისენოსატო, კოტოშოგიკუ-ტოკიტენკუ, ტოიონოშიმა-ოკინოუმი, არანი-ვაკანოსატო, ჰომაშო-იოშიკაძე, ტოჩიოძანი-ტაკეკაძე, მიაბიამა-ვაკაკოიუ, გოეიდო-ტოჩინოვაკა, ტაკაიასუ-კაისეი, ფუჯიაზუმა-ტამავაში, ტოიოჰიბიკი-ტამაასუკა, საგაცუკასა-იოშიაზუმა, კიოკუტენჰო-დაიდო, კიტატაიკი-ჰოჩიამა, **გაგამარუ**-ტაკანოიამა, ამინიშიკი-შოტენრო, **კოკაი**-ასასეკირიუ, ტოსაიუტაკა-კიმურაიამა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## გერმანია

### რეგიონალლიგა (ჩრ)

VI ტური

ჰალეშერი-მეპენი 3:0
ბერლინერი-ჰაველსე 2:0
კოტბუსი II-ჰანოვერი II 3:2
კილი-ლიუბეკი 4:1
გერმანია-ვილჰელმსჰავენი 3:2
ლაიპციგი-მაგდებურგი 1:1
სტ. პაული II-პლაუენი 0:2
ვოლფსბურგი II-ჰამბურგი II 1:2
მოისელვიცი-ჰერთა II 1:1

### რეგიონალლიგა (სამ)

VIII ტური

მიუნხენი II-ინგოლშტადტი II 0:0
ბაიერნი (ა)-კარლსრუე II 1:2
აინტრახტი II-ნიურნბერგი II 2:1
ზონენჰოფი-მემინგენი 1:1
ფრაიბურგი II-ვალდჰოფი 3:0
ვორმატია-კასელი 3:1
ფიურთი II-შტ. კიკერსი 3:1
ფრანკფურტი II-ბაიერნი II 5:0
ჰოფენჰაიმი II-პფულენდორფი 8:0

### რეგიონალლიგა (დას)

VIII ტური

ელვერსბერგი-ლოტე 0:1
კიოლნი II-ტრირი 0:2
მაინცი II-ვიდენბრუკი 1:0
ფორტუნა (დ)-ობერშტაინი 2:0
გლადბახი II-ვუპერტალი 4:3
ვერლი-კაიზერი II 3:0
კობლენცი-ლევერკუზენი II 1:1
ფორტუნა II-შალკე II 0:1
ესენი-ბოხუმი II 1:1

## საფრანგეთი

### II დივიზიონი

VI ტური

ანჟერი-ამიენი 0:0
არლი-კლერმონი 0:2
შატორუ-ნანტი 2:2
გინგამი-ტრუა 0:0
ლავალი-რეიმსი 3:2
სედანი-ჰავრი 3:0
ტური-ისტრი 1:2
ლანსი-ბულონი 2:0
ბასტია-მონაკო 1:1
ლე მანი-მეცი 0:1

## ჰოლანდია

### II დივიზიონი

VI ტური

ალმერი-ჰელმონდი 2:1
დენ ბოში-სპარტა 0:1
დორდრეხტი-კამბური 2:1
ეინდჰოვენი-იგლზი 1:0
ცვოლე-ვოლენდამი 3:1
მაასტრიხტი-ფორტუნა 3:1
ოსი-აპელდოორნი 1:0
ვილემი-ტელსტარი 3:2
ვეენდამი-ემენი 3:0

## ბელგია

### II დივიზიონი

V ტური

ბრიუსელი-ბორინაჟი 1:3
დენდერი-სენტ ნიკლაასი 3:1
ოსტენდე-ლომელი 1:0
რუზელარე-ეუპენი 2:2
ტუბიზე-ანტვერპენი 0:1
ვაასლანდი-სტანდარდი (ვ) 2:0
ვოლუვე-შარლერუა 1:3
ჰაისტი-აალსტი 1:3
ტინენი-ვიზე 4:1

## პორტუგალია

### II დივიზიონი

IV ტური

პორტიმონენსე-ბელენენსეში 2:3
ოლივეირენსე-მადეირა 1:0
ატლეტიკო-ტროფენსე 3:0
ავესი-ნავალი 1:1
ფრეამუნდე-ესტორილი 2:2
პენაფიელი-სანტა კლარა 1:1
კოვილია-არუკა 1:0
ლეიშოესი-მორეირენსე 2:1

## შოტლანდია

### I დივიზიონი

VI ტური

ფალკირკი-დანდი 2:1
ჰემილტონი-რეითი 2:2
პარტიკი-ეირი 4:0
ქუინი-მორტონი 4:1
როსი-ლივინგსტონი 1:1

### II დივიზიონი

VI ტური

ალბიონი-სტენჰაუსმუირი 1:1
არბროთი-ეირდრი 3:1
დამბარტონი-კოუდენბითი 0:4
ისტ ფაიფი-ბრეჩინი 1:1
სტირლინგი-ფორფარი 2:4

### III დივიზიონი

VI ტური

ბერუიკი-პიტერჰედი 2:1
ისტ სტირლინგი-სტრანრაერი 1:3
ელგინი-კლაიდი 0:3
მონროუზი-ანანი 2:3
ქუინზ პარკი-ალოა 1:3

## ავსტრია

VIII ტური

რიდი-ადმირა 1:1
რაპიდი-კაპფენბერგი 5:1
ზალცბურგი-ვიენერი 3:0
შტურმი-ტიროლი 1:1
მატერსბურგი-აუსტრია 2:4

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზალცბურგი | 8 | 5 | 3 | 0 | 13-3 | 18 |
| 2. ადმირა | 8 | 4 | 3 | 1 | 17-11 | 15 |
| 3. აუსტრია | 8 | 4 | 2 | 2 | 17-10 | 14 |
| 4. რიდი | 8 | 3 | 3 | 2 | 13-9 | 12 |
| 5. რაპიდი | 8 | 3 | 3 | 2 | 10-6 | 12 |
| 6. შტურმი | 8 | 2 | 4 | 2 | 13-12 | 10 |
| 7. ტიროლი | 8 | 1 | 5 | 2 | 7-12 | 8 |
| 8. ვიენერი | 8 | 2 | 2 | 4 | 5-15 | 8 |
| 9. მატერსბურგი | 8 | 0 | 4 | 4 | 10-15 | 4 |
| 10. კაპფენბერგი | 8 | 1 | 1 | 6 | 8-20 | 4 |

## კვიპროსი

III ტური

ენოსისი-ანორთოსისი 0:1
ეთნიკოსი (ა)-ანაგენისი 1:1
ოლიმპიაკოსი-აპოელ 1:4
ნეა სალამისი-ერმისი 1:0
ომონია-აელ გადაიდო
ალკი-არისი დღეს
აპოლონი-აეკ დღეს

## დანია

IX ტური

კიოგე-აგფ ორჰუსი 0:2
მიდტიულანდი-სონდერიისკი 2:0
ნორდსილანდი-ბრონდბიუ 2:0
ლუნგბიუ-სილკებორგი 0:2
კოპენჰაგენი-ოლბორგი 2:0
ჰორსენსი-ოდენსე დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოპენჰაგენი | 9 | 8 | 1 | 0 | 18-5 | 25 |
| 2. ნორდსილანდ | 9 | 5 | 1 | 3 | 14-9 | 16 |
| 3. აგფ ორჰუსი | 9 | 4 | 3 | 2 | 16-11 | 15 |
| 4. ოლბორგი | 9 | 4 | 3 | 2 | 15-12 | 15 |
| 5. მიდტიულანდ | 9 | 5 | 0 | 4 | 14-14 | 15 |
| 6. ოდენსე | 8 | 4 | 2 | 2 | 17-13 | 14 |
| 7. ჰორსენსი | 8 | 3 | 3 | 2 | 15-11 | 12 |
| 8. სონდერიისკი | 9 | 3 | 3 | 3 | 12-13 | 12 |
| 9. ბრონდბიუ | 9 | 2 | 3 | 4 | 13-14 | 9 |
| 10. სილკებორგი | 9 | 2 | 2 | 5 | 9-14 | 8 |
| 11. ლუნგბიუ | 9 | 1 | 1 | 7 | 7-17 | 4 |
| 12. კიოგე | 9 | 1 | 0 | 8 | 9-26 | 3 |

### II დივიზიონი

VI ტური

რანდერსი-ვიბორგი 1:0; ბრონსჰოი-ბლოხუსი 2:1; როსკილდე-ვესტსიელანდი 0:2; სკივე-ესბერგი 0:4; აკადემისკი-ჰიორინგი 1:3; ნაესტვედი-ჰობრო 2:2; ვეილე-ფრედერისია 0:0.

## ფინეთი

XXV ტური

ტურკუ-იარო 2:1
ჰონკა-მიუპა 2:0
ინტერი-ჰიკ 1:1
კუოპიო-ვაასა 4:2
როვანიემი-იუვიასკიულა 3:3
ჰაკა-მარიეჰამნი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰიკ | 25 | 20 | 1 | 4 | 62-18 | 61 |
| 2. ინტერი | 25 | 13 | 6 | 6 | 55-33 | 45 |
| 3. იუვიასკიულა | 25 | 11 | 10 | 4 | 48-37 | 43 |
| 4. ტურკუ | 25 | 11 | 7 | 7 | 38-34 | 40 |
| 5. ჰონკა | 25 | 9 | 10 | 6 | 39-33 | 37 |
| 6. ჰაკა | 24 | 9 | 5 | 10 | 29-42 | 32 |
| 7. მარიეჰამნი | 24 | 8 | 5 | 11 | 29-33 | 29 |
| 8. მიუპა | 25 | 8 | 4 | 13 | 25-37 | 28 |
| 9. კუოპიო | 25 | 6 | 9 | 10 | 34-45 | 27 |
| 10. იარო | 25 | 6 | 8 | 11 | 38-41 | 26 |
| 11. ვაასა | 25 | 4 | 11 | 10 | 23-36 | 23 |
| 12. როვანიემი | 25 | 2 | 8 | 15 | 27-58 | 14 |

### II დივიზიონი

XXII ტური

ჰამეენლინა-ოპს 0:2; კპვ-ჰიფკ 1:1; პკ35-ესპოო 1:0; პოპა-კემი 4:2; ლაჰტი-იიპო 2:1; ვიიკინგიტი-ოულუ 5:2.

## საბერძნეთი

III ტური

კერკირა-პანეტოლიკოსი 2:3
ატრომიტოსი-პანათინაიკოსი 1:1
იანინა-ასტერასი 3:1
აეკ-ერგოტელისი 1:0
პანიონიოსი-პაოკ 1:2
ოლიმპიაკოსი-ქსანთი 2:1
არისი-კავალა გადაიდო
ოფი-ოლიმპიაკოსი (ვ) გადაიდო

## ისლანდია

XX ტური

ვალური-ტორი 2:1
ბრეიდაბლიკი-ვიკინგური გადაიდო
ფილკირი-სტიარნანი გადაიდო
გრინდავიკი-ჰაფნარი გადაიდო
ფრამი-კეფლავიკი გადაიდო
ვესტმანაეიარი-რეიკიავიკი დღეს

## ბოსნია

VI ტური

ტრავნიკი-გაბელა 1:1
ლეოტარი-სარაევო 1:0
კოზარა-ჩელიკი 1:2
რუდარი-ველეჟი 1:0
ოლიმპიკი-ბორაცი 2:1
შიროკი ბრიეგი-სლავია 5:0
ჟელეზნიჩარი-ზვიეზდა 1:0
ზრინსკი-სლობოდა 2:0

## ირლანდია

### II დივიზიონი

XXV ტური

სოლტჰილი-უოტერფორდი 1:3
ლონგფორდი-ეთლონი 0:2

## ირლანდიის თასი

დანდალკი-ბოჰემიანსი 0:0

## ნორვეგია

XXIII ტური

ბრანი-ჰაუგესუნდი 1:0
ფრედრიკსტადი-მოლდე 0:1
ოლესუნდი-სარპსბორგი 2:0
სტაბეკი-ოდ გრენლანდი 1:3
ტრომსიო-სტრიომსგოდსეტი 2:0
ვიკინგი-სოგნდალი 2:0
ლილესტრიომი-ვოლერენგა 0:1
როზენბორგი-სტარტი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მოლდე | 23 | 15 | 3 | 5 | 45-32 | 48 |
| 2. ტრომსიო | 22 | 12 | 6 | 4 | 43-25 | 42 |
| 3. ბრანი | 23 | 11 | 6 | 6 | 39-35 | 39 |
| 4. ვოლერენგა | 23 | 10 | 5 | 8 | 29-26 | 35 |
| 5. სტრიომსგოდ | 23 | 9 | 7 | 7 | 34-32 | 34 |
| 6. როზენბორგი | 20 | 9 | 6 | 5 | 46-23 | 33 |
| 7. ჰაუგესუნდი | 23 | 10 | 3 | 10 | 42-36 | 33 |
| 8. სტაბეკი | 22 | 10 | 3 | 9 | 39-41 | 33 |
| 9. ოდ გრენლანდ | 23 | 9 | 5 | 9 | 33-39 | 32 |
| 10. ლილესტრიომ | 23 | 9 | 4 | 10 | 42-38 | 31 |
| 11. ვიკინგი | 23 | 8 | 6 | 9 | 26-31 | 30 |
| 12. ოლესუნდი | 21 | 8 | 4 | 9 | 24-29 | 28 |
| 13. ფრედრიკსტ | 22 | 7 | 3 | 12 | 24-30 | 24 |
| 14. სოგნდალი | 22 | 6 | 6 | 10 | 17-24 | 24 |
| 15. სტარტი | 22 | 5 | 2 | 15 | 28-45 | 17 |
| 16. სარპსბორგი | 23 | 4 | 5 | 14 | 25-50 | 17 |

### II დივიზიონი

XXIV ტური

ჰიონეფოსი-სანდნესი 1:0; ასკერი-ბრინი 1:1; ჰიოდი-ალტა 3:0; მიონდალენი-სტრიომენი 2:1; ბოდო გლიმტი-რანდაბერგი 4:1; ჰამ კამი-კონგსვინგერი 0:2; ლოვ ჰამი-ნილი 2:3; სანდეფიორდი-რანჰაიმი 1:1.

## შვედეთი

XXV ტური

გაის-ნორჩოპინგი 1:2
კალმარი-ჰალმსტადი 1:0
გეფლე-სირიანსკა 2:1
ჰელსინგბორგი-მიალბიუ 3:0
ჰაკენი-ელფსბორგი 2:0
მალმიო-ტრელებორგი 1:1
ერებრო-გიოტებორგი 0:2
აიკ-იურგორდენი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰელსინგბორგ | 25 | 17 | 7 | 1 | 48-19 | 58 |
| 2. აიკ | 25 | 16 | 2 | 7 | 40-22 | 50 |
| 3. ელფსბორგი | 25 | 15 | 3 | 7 | 41-26 | 48 |
| 4. ჰაკენი | 24 | 12 | 6 | 6 | 46-25 | 42 |
| 5. გაის | 25 | 13 | 3 | 9 | 41-29 | 42 |
| 6. გიოტებორგი | 25 | 11 | 5 | 9 | 35-29 | 38 |
| 7. კალმარი | 25 | 11 | 4 | 10 | 30-27 | 37 |
| 8. მალმიო | 23 | 9 | 8 | 6 | 24-26 | 35 |
| 9. გეფლე | 25 | 9 | 8 | 8 | 26-33 | 35 |
| 10. ერებრუ | 25 | 10 | 2 | 13 | 31-35 | 32 |
| 11. ნორჩოპინგი | 25 | 8 | 5 | 12 | 28-42 | 29 |
| 12. მიალბიუ | 26 | 8 | 4 | 14 | 26-37 | 28 |
| 13. იურგორდენ | 23 | 7 | 4 | 12 | 28-34 | 25 |
| 14. ტრელებორგ | 25 | 7 | 3 | 15 | 37-56 | 24 |
| 15. სირიანსკა | 25 | 6 | 3 | 16 | 23-40 | 21 |
| 16. ჰალმსტადი | 25 | 3 | 5 | 17 | 22-46 | 14 |

### II დივიზიონი

XXIX ტური

ასირისკა-ლანდსკრონა 1:2; დეგერფორსი-იონჩოპინგი 6:1; ვარნამო-ვასტერასი 2:3; ფალკენბერგსი-კვიდინგი 3:0; ჰამარბიუ-ბრომაპიოკარნა 1:2; ოსტერი-ლიუნგკილე დღეს; სუნდსვალი-ბრაგე დღეს; ანგელჰოლმი-ატვიდაბერგი დღეს.

## შვეიცარიის თასი

### 1/32 ფინალი

ჰერმისვილი-ლოკარნო 1:3
ლანგენტალი-ივერდონი 1:3
ტერე-ბრული 2:5 დ.დ.
დაიტინგენი-შაფჰაუზენი 1:4
სტად ლოზანა-თუნი 0:5
ნაფელსი-სტ. გალენი 1:5
კონოლფინგენი-გრანდ ლასი 1:2
კოლექსი-ლოზანა 1:8
ემენბახი-ბაზელი 0:4
ჰენაუ-ვოლენი 1:5
ჰერცოგენბუხი-ბრეტენრაიხი 1:3
კოლომბიე-მოტიე 0:5
აზგვილი-ნიონე 1:5
ასკონა-კიასო 1:2
ამისიტია-არაუ 0:8
ელიკონი-ფრაიენბახი 3:10
იუნაიტედი-ლუგანო 1:5 დ.დ.
ტოსი-გროსჰოპერსი 0:10
დომდიდიე-იანგ ბოისი 0:8
მელეი-დელემონი 3:3 პენ. 3:1
გრენხენი-ციურიხი 0:5
რენენი-ვილი 1:4
ჩამი-ეტუალი 2:0
კოლომბიე-სიონი 0:5
დუდინგენი-სერვეტი 1:4 დ.დ.
ტუგენი-დორნახი 3:0
ჩური-ქსამაქსი 1:2
ენტფელდენი-კრიენსი 0:9
ლოსონი-ლუცერნი 0:3
გუმეფენსი-ბელინცონა 1:3
ბადენი-ვინტერტური 0:1
ზიაშენი-ბილი 1:2

## თურქეთი

### II დივიზიონი

II ტური

ადანა-რიზე 0:2
ახისარი-გირესუნი 1:1
ელაზიგი-დენიზლი 2:0
გიოზთეფე-ქარსიაკა 1:1
ბოლუ-საქარია 2:1
თავშანლი-ბუკა 3:1
ერჩიესი-კონია 0:0
გაზიანთეფი ბბ-გიუნგურენი 0:0
ქასიმფაშა-ქართალი დღეს

## უელსი

VII ტური

ეირბასი-ებერისტვითი 1:1
კარმართენი-ბანგორი 1:2
ნიუ საინტსი-აფან ლიდო 3:0
ნიუთაუნი-ნითი 0:4
ბალა-ლანელი 2:4
პორტ ტელბოტი-პრესტატინი 0:0

## ბელარუსი

IX ტური

მინსკი-ბელშინა 0:1
ვიტებსკი-შახტიორი 1:1
გომელი-ტორპედო 1:0
დნეპრი-დინამო (ბრ) 0:2
ნემანი-დინამო (მნ) 1:2
ბატე-ნაფტანი 2:0

## ბულგარეთი

VI ტური

ვიდიმა-კალიაკრა 1:0
ბეროე-ცსკა 0:1
მონტანა-ლოკომოტივი (პ) 2:2
სვეტკავიცა-ჩერნომორეცი 0:3
ლევსკი-ლიტექსი 3:2
ჩერნო მორე-ლუდოგორეცი 0:1
სლავია-ლოკომოტივი (ს) 2:1
ბოტევი-მინიორი დღეს

## ხორვატია

VIII ტური

ზაგრები-შიბენიკი 1:1
სლავენი-ლუჩკო 1:1
ინტერი-რიეკა 1:0
სიბალია-ჰაიდუკი 0:2
ისტრა-ზადარი 1:1
სპლიტი-ლოკომოტივა 1:0
დინამო-ვარაჟდინი 7:0
კარლოვაცი-ოსიეკი 2:0

## ჩეხეთი

VII ტური

სლავია-დუკლა 0:0
ლიბერეცი-სიგმა 1:1
სლოვაცკო-ბუდეიოვიცე 2:0
პლზენი-იაბლონეცი 4:2
ვიქტორია-ტეპლიცე 0:1
ჰრადეცი-ბოჰემიანსი 1905 2:0
პრშიბრამი-ბოლესლავი 2:0
ბანიკი-სპარტა დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტა | 6 | 6 | 0 | 0 | 15-4 | 18 |
| 2. ლიბერეცი | 7 | 4 | 2 | 1 | 15-9 | 14 |
| 3. იაბლონეცი | 7 | 4 | 1 | 2 | 21-7 | 13 |
| 4. პლზენი | 7 | 4 | 1 | 2 | 16-12 | 13 |
| 5. ტეპლიცე | 7 | 4 | 1 | 2 | 9-9 | 13 |
| 6. ბოჰემიანსი | 7 | 4 | 1 | 2 | 8-10 | 13 |
| 7. პრშიბრამი | 7 | 4 | 0 | 3 | 12-11 | 12 |
| 8. ბოლესლავი | 7 | 3 | 2 | 2 | 9-8 | 11 |
| 9. სიგმა | 7 | 2 | 4 | 1 | 11-8 | 10 |
| 10. ჰრადეცი | 7 | 3 | 0 | 4 | 6-9 | 9 |
| 11. დუკლა | 7 | 2 | 2 | 3 | 10-8 | 8 |
| 12. სლოვაცკო | 7 | 2 | 2 | 3 | 7-8 | 8 |
| 13. სლავია | 7 | 1 | 3 | 3 | 5-10 | 6 |
| 14. ვიქტორია | 7 | 1 | 1 | 5 | 5-12 | 4 |
| 15. ბუდეიოვიცე | 7 | 0 | 1 | 6 | 7-19 | 1 |
| 16. ბანიკი | 6 | 0 | 1 | 5 | 4-16 | 1 |

### II დივიზიონი

VII ტური

იჰლავა-ვლაშიმი 2:0; ბოჰემიანსი-უსტი 2:0; სოკოლოვი-სპარტა II 2:0; კარვინა-ზლინი 1:0; სეზიმოვო-ჩასლავი 3:0; ბრნო-ტრშინეცი 0:0; ოპავა-ზნოიმო 0:1; მოსტი-სლოვანი 0:1.

## ესტონეთი

XXIX ტური

ტამეკა-ფლორა 1:4
კალიუ-ვილიანდი 2:1
კალევი-აიაქსი 7:0
ლევადია-პაიდე 0:0
კურესაარე-ტრანსი 0:2

## უნგრეთი

IX ტური

ჰონვედი-უიპეშტი 2:0
პეჩი-შიოფოკი 1:1
დიოშდიორი-კაპოშვარი 2:1
ზალაეგერსეგი-კეჩკემეტი 1:1
ვაშაში-ფეჰერვარი 0:0
ჰალადაში-ლომბარდ პაპა 2:1
დებრეცენი-პაკში 4:2
დიორი-ფერენცვაროში 2:0

## ლატვია

XVIII ტური

გულბენე-დაუგავა 1:2
იურმალა-ვენტსპილსი 1:2
მეტალურგსი-ოლიმპსი 7:1
იელგავა-ფკ იურმალა 0:2

## ისრაელი

IV ტური

მაკაბი (ფ-თ)-ჰაპოელი (ფ-თ) 1:1
ბნეი იეჰუდა-მაკაბი (ნ) 1:2
ჰაპოელი (ბ-შ)-ირონი (რ-შ) 1:3
ირონი (ქ-შ)-აშდოდი 0:0
ბეითარი-ჰაპოელი (ჰ) 1:0
ჰაპოელი (ა)-ჰაპოელი (თ-ა) 0:2
მაკაბი (ჰ)-ირონი (რ-ლ) 3:1
მაკაბი (თ-ა)-ბნეი სახნინი 2:0

## ლიტვა

XIV ტური

ატლანტასი-კაუნასი 3:4
სუდუვა-კრუოია 0:0
ტაურასი-შიაულიაი 6:2
დაინავა-მაჟეიკიაი 3:0
ეკრანასი-კლაიპედა 5:0
ჟალგირისი-ბანგა 0:0

## მოლდოვა

VIII ტური

კოსტულენი-ტირასპოლი 0:4
ოლიმპია-მილსამი 0:1
სფინტული-ნისტრუ 2:2
ისკრა-აკადემია 1:1
შერიფი-დაჩია 0:0
ზიმბრუ-ცსკა 0:0

## პოლონეთი

VII ტური

ვიძევი-ზაგლებე 0:0
ლეხი-იაგელონია 4:1
პოდბესკიძე-რუხი 0:1
ლკს-გურნიკი 1:1
კორონა-ლეჩია 1:0
კრაკოვია-შლიონსკი 0:1
პოლონია-ლეგია 2:1
ვისლა-ბელხატოვი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კორონა | 7 | 4 | 3 | 0 | 11-7 | 15 |
| 2. ლეხი | 7 | 4 | 1 | 2 | 17-5 | 13 |
| 3. შლიონსკი | 7 | 4 | 1 | 2 | 11-6 | 13 |
| 4. პოლონია | 7 | 4 | 1 | 2 | 10-7 | 13 |
| 5. რუხი | 7 | 4 | 1 | 2 | 8-8 | 13 |
| 6. ვიძევი | 7 | 2 | 5 | 0 | 5-3 | 11 |
| 7. იაგელონია | 7 | 3 | 2 | 2 | 11-12 | 11 |
| 8. ლეგია | 6 | 3 | 0 | 3 | 12-9 | 9 |
| 9. ვისლა | 6 | 2 | 3 | 1 | 4-3 | 9 |
| 10. გურნიკი | 7 | 2 | 3 | 2 | 8-9 | 9 |
| 11. ლეჩია | 7 | 2 | 2 | 3 | 5-6 | 8 |
| 12. პოდბესკიძე | 7 | 1 | 3 | 3 | 6-13 | 6 |
| 13. ლკს | 7 | 1 | 2 | 4 | 3-15 | 5 |
| 14. ბელხატოვი | 6 | 1 | 1 | 4 | 8-8 | 4 |
| 15. ზაგლებე | 6 | 0 | 4 | 2 | 3-5 | 4 |
| 16. კრაკოვია | 7 | 0 | 2 | 5 | 5-11 | 2 |

## რუმინეთი

VII ტური

მიოვენი-სპორტული 2:1
ჩახლაული-კონკორდია 0:0
ვოინტა-ოცელული 0:1
ასტრა-გაზ მეთანი 2:0
ბრაშოვი-პეტროლული 1:0
სტიაუა-პანდური 1:2
დინამო-რაპიდი 0:0
ტარგუ-უნივერსიტატეა დღეს
კლუჟი-ვასლუი დღეს

## რუსეთი

XXIV ტური

ტომი-კრასნოდარი 0:4
ვოლგა-ნალჩიკი 1:0
როსტოვი-ცსკა 1:1
დინამო-ამკარი 3:0
რუბინი-ზენიტი 2:3
სპარტაკი-კრილია 3:0
ტერეკი-ლოკომოტივი 0:4
ყუბანი-ანჟი 1:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზენიტი | 24 | 14 | 7 | 3 | 46-21 | 49 |
| 2. დინამო | 24 | 14 | 5 | 5 | 46-25 | 47 |
| 3. ცსკა | 24 | 13 | 8 | 3 | 43-22 | 47 |
| 4. ლოკომოტივ | 24 | 12 | 6 | 6 | 41-24 | 42 |
| 5. სპარტაკი | 24 | 12 | 6 | 6 | 34-25 | 42 |
| 6. ყუბანი | 24 | 12 | 4 | 8 | 32-22 | 40 |
| 7. ანჟი | 24 | 11 | 7 | 6 | 27-21 | 40 |
| 8. რუბინი | 24 | 10 | 8 | 6 | 31-24 | 38 |
| 9. კრასნოდარი | 24 | 8 | 8 | 8 | 31-33 | 32 |
| 10. ვოლგა | 24 | 7 | 2 | 15 | 22-32 | 23 |
| 11. ტერეკი | 24 | 6 | 5 | 13 | 21-38 | 23 |
| 12. ამკარი | 24 | 5 | 8 | 11 | 15-32 | 23 |
| 13. როსტოვი | 24 | 5 | 7 | 12 | 25-38 | 22 |
| 14. ტომი | 24 | 4 | 8 | 12 | 18-41 | 20 |
| 15. კრილია | 24 | 4 | 7 | 13 | 16-37 | 19 |
| 16. ნალჩიკი | 24 | 3 | 8 | 13 | 18-31 | 17 |

## სერბეთი

V ტური

პარტიზანი-ჰაიდუკი 2:0
რადი-იაგოდინა 1:2
ვოივოდინა-ოფკ 2:0
სპარტაკი-სევოინო 0:0
იავორი-ბასკ 1:0
სმედერევო-მეტალაცი 1:0
ბორჩა-რადნიჩკი 0:3
ბორაცი-ცრვენა ზვეზდა 0:3

## სლოვაკეთი

IX ტური

ბისტრიცა-ტრენჩინი 2:0
მორავცე-ტრნავა 0:1
რუჟომბეროკი-ჟილინა 1:2
ნიტრა-შენიცა 0:0
კოშიცე-ტატრანი 1:0
დ. სტრედა-სლოვანი 1:0

## სლოვენია

IX ტური

ოლიმპია-დომჟალე 3:1
ცელიე-მურა 0:1
გორიცა-ტრიგლავი 0:0
ნაფტა-რუდარი 1:2
კოპერი-მარიბორი 2:2

## უკრაინა

X ტური

ვოლინი-მეტალურგი 0:2
ილიჩივეცი-ზორია 1:1
კარპატი-ობოლონი 0:0
დნიპრო-ტავრია 2:1
ჩერნომორეცი-დინამო 1:2
კრივბასი-მეტალისტი 0:1
შახტარი-ვორსკლა 1:0
არსენალი-ოლექსანდრია 0:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 10 | 8 | 2 | 0 | 25-6 | 26 |
| 2. დინამო | 10 | 8 | 2 | 0 | 22-4 | 26 |
| 3. მეტალისტი | 10 | 6 | 4 | 0 | 17-8 | 22 |
| 4. კრივბასი | 10 | 5 | 1 | 4 | 9-9 | 16 |
| 5. ვორსკლა | 10 | 4 | 2 | 4 | 11-11 | 14 |
| 6. არსენალი | 10 | 3 | 5 | 2 | 14-9 | 14 |
| 7. ტავრია | 10 | 3 | 5 | 2 | 14-11 | 14 |
| 8. მეტალურგი | 10 | 4 | 1 | 5 | 10-13 | 13 |
| 9. დნიპრო | 10 | 3 | 3 | 4 | 13-16 | 12 |
| 10. ვოლინი | 10 | 3 | 3 | 4 | 11-17 | 12 |
| 11. ზორია | 10 | 3 | 2 | 5 | 11-14 | 11 |
| 12. ოლექსანდრია | 10 | 2 | 3 | 5 | 7-14 | 9 |
| 12. ილიჩივეცი | 10 | 2 | 3 | 5 | 10-17 | 9 |
| 14. კარპატი | 10 | 1 | 4 | 5 | 7-13 | 7 |
| 15. ჩერნომორეცი | 10 | 0 | 5 | 5 | 7-15 | 5 |
| 16. ობოლონი | 10 | 0 | 5 | 5 | 4-15 | 5 |

## ჩრ. ირლანდია

VI ტური

კრუზეიდერსი-კლიფტონვილი 2:2
ბალიმენა-კოლრეინი 1:5
დონეგალი-ლისბერნი [illegible]
დუნგანონი-გლენავონი 1:1
გლენტორანი-კერიკი 6:1
პორტადაუნი-ლინფილდი 2:0

## აზერბაიჯანი

VII ტური

ყარაბაღი-ხაზარი 0:1
სიმურღი-ქაფაზი 4:2
აზალ-ინტერი 1:1
თურანი-ბაქო 0:2
რავანი-სუმგაიტი 0:0
ნეფთჩი-ქაბალა 2:0

## არგენტინა

VII ტური

ინდეპენდიენტე-კოლონი 0:1
ოლიმპო-გოდოი 2:2
სან მარტინი-ბელგრანო 0:1
ტიგრე-არსენალი 2:2
ოლ ბოისი-ბანფილდი 0:1
სან ლორენსო-ატლ. რაფაელა 1:3
ნიუელსი-ველესი 1:1
ესტუდიანტესი-არგ. ხუნიორსი 4:3
ლანუსი-ბოკა გვ. დასრულდა
უნიონი-რასინგი გვ. დასრულდა

## ბრაზილია

XXIV ტური

ატ. გოიანიენსე-ატ. მინეირო 1:0
სან პაულუ-სეარა 4:0
ვასკო-გრემიო 4:0
ატ. პარანაენსე-ფიგეირენსე 0:0
ავაი-პალმეირასი 1:1
ბაია-ფლუმინენსე 3:0
ბოტაფოგო-ფლამენგო 1:1
კორინთიანსი-სანტოსი 1:3
კრუზეირო-ამერიკა გვ. დასრულდა
ინტერი-კურიტიბა გვ. დასრულდა

## ჩილე

VII ტური

აუდაქსი-უნ. კონსეპსიონი 2:1
უაჩიპატო-სან ფელიპე 2:2
უნ. ესპანიოლა-ს. მორნინგი 1:0
უნ. დე ჩილე-კობრესალი 3:1
ლა კალერა-კოლო კოლო 3:0
ო'ჰიგინსი-კობრელოა 2:2
პალესტინო-ლა სერენა 1:1
ს. უონდერერსი-დეპორტესი 2:2
ატ. ნუბლენსე-უნ. კატოლიკა 2:0

## მექსიკა

VIII ტური

ხაგუარესი-ამერიკა 5:3
მონტერეი-კრუს ასული 1:2
გვადალახარა-პუებლა 1:4
პაჩუკა-ატლასი 4:2
სან ლუისი-სანტოსი 0:1
ატლანტე-ტიგრესი 1:0
პუმასი-ტოლუკა 4:1
ტიხუანა-ტეკოსი 0:2
მორელია-კერეტარო გვ. დასრულდა

## აშშ

პორტლენდი-ნიუ ინგლენდი 3:0
ტორონტო-კოლორადო 2:1
ჩიკაგო-ჩივასი 3:2
ფილადელფია-კოლამბუსი 1:0
დალასი-ნიუ იორკი 0:1
ჰიუსტონი-სან ხოსე 2:1
სოლტ ლეიკი-კანზასი 1:0
სიეტლი-დი სი იუნაიტედი 3:0
ლოს ანჯელესი-ვანკუვერი 3:0

● იტალია. სერია A. III ტური

# კავანის შოუ სან პაოლოზე

## ინტერი და რომა კი ისევ წვალობენ



ჯუზეპე მეაცას სახელობის სტადიონზე გამართულ შეხვედრაში ნათლად გამოჩნდა, თუ რატომ დაიწყეს სეზონი ასე ცუდად „ინტერმა“ და „რომამ“... იტალიური ფეხბურთის ორი გრანდის დაპირისპირება ვერაფერი სანახავი გამოდგა და აქ საქმე მხოლოდ ნულოვან ფრეში არ გახლავთ - მატჩში ნელ ტემპში წარიმართა და ორივე გუნდის თამაშში უამრავი ხარვეზი შეინიშნებოდა. გასაგებია, რომ სეზონი ახალი დაწყებულია და ფეხბურთელები ოპტიმალური ფორმისგან შორს არიან, მაგრამ ამდენი შეცდომა, ამდენი წუნი მეტისმეტი გახლდათ. ვისაც თამაში არ უნახავს, გეტყვით, რომ „რომა“ „ბარსელონას“ სტილში ცდილობდა თამაშს, მაგრამ ეს იქამდე გამოსდიოდა, სანამ მეტოქის ნახევარზე გადავიდოდა, „ინტერი“ კი აშკარად შოკირებულია **ჯანპიერო გასპერინის** ტაქტიკური ნოვაციებით და ამ მდგომარეობიდან ვერაფრით გამოდის... დიახ, გასპერინიმ არ შეცვალა სქემა, კვლავ 3-5-2 დაუპირისპირა მეტოქეს და კვლავაც ვერაფერი გააწყო. როგორც ჩანს, პრესაში გავრცელებულმა ცნობებმა იმის შესახებ, რომ ტაქტიკის შეცვლა თვით **მასიმო მორატიმ** მოითხოვა, ჯანპიეროსთვის გაჯიუტების საბაბი გამოდგა - თავმოყვარე სპეციალისტმა საყვარელ ტაქტიკას არ უღალატა და კიდევ ერთხელ წაიმტვრია ცხვირი. საქმე იმდენად შედეგში არაა, რამდენადაც იმ უსახურ ფეხბურთში, რომელსაც „ინტერი“ აგერ უკვე მერამდენე თამაშია აჩვენებს. მოკლედ, ნულოვანი ფრე, რის შემდეგაც გასპერინიმ პრესისთვის შემდეგი კომენტარი გააკეთა:

*„მთლიანობაში, საკმაოდ კარგი შეხვედრაში ჩავატარეთ და გამარჯვებასაც ალბათ უფრო ჩვენ ვიმსახურებდით. ძლიერ მეტოქესთან მოგვიწია ჭიდილმა და კმაყოფილი ვარ იმით, რომ ჩვენს კართან სახიფათო მომენტი პრაქტიკულად არ შექმნილა, მაშინ როდესაც „რომა“ არაერთხელ გადაურჩა გოლს. მართალია, შედეგი სახარბიელო არ არის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ უახლოეს მომავალში ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება. კრიტიკა არ მაღელვებს, საკუთარ თავში დარწმუნებული ვარ და მშვიდად ვაგრძელებ მუშაობას“.*

ოპტიმისტური კომენტარი გააკეთა **ლუის ენრიკემაც**: *„მიუხედავად იმისა, რომ სამი ქულის მოპოვებაც შეგვეძლო, მთლიანობაში მაინც კმაყოფილი დავრჩი. „რომას“ თამაშში სტილი გამოიკვეთა, რაც მომავალი წარმატებების მთავარი საწინდარია. შეგირდებიდან დე როსის და ბორინის გამოვყოფდი, რომელთა მარგი ქმედების კოეფიციენტი ძალიან მაღალი იყო - ხშირად ვრისკავდით და დიდი ძალებით ვუტევდით, რაც გამარჯვების სურვილით გახლდათ განპირობებული. იმედია, მომდევნო შეხვედრაში მაინც მოვიპოვებთ სამ ქულას“.*

მორიგი გამარჯვება გამოჭედა „იუვენტუსმა“, დაამარცხა რა გასვლით პაექრობაში „სიენა“. შეხვედრა სტუმართა ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობით წარიმართა, შესაბამისად, გამარჯვება სრულიად ლოგიკური გახლდათ. თუმცა, ვერც იმას დავიჩემებთ, რომ ტურინელებმა ერთი ამოსუნთქვით ჩაატარეს შეხვედრა და შტორმში დაატეხეს თავს სერია A-ში ალზევებულ მეტოქეს. პირიქით, ნათლად გამოჩნდა, რომ **ანტონიო კონტეს** სამუშაო ჯერ კიდევ ბევრი აქვს. ერთადერთი გოლი **ალესანდრო მატრის** ანგარიშზეა, რომელმაც მრავალსვლიანი კომბინაცია არც თუ ძლიერი, მაგრამ ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა. ნამატჩევს, კონტემ შეაქო შეგირდები, თუმცა არც მეტოქის თავდადებული თამაშის აღნიშვნა დავიწყებია:

*„ტოსკანელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაგვიწიეს, თუმცა კლასმა მაინც თავისი გაიტანა და ტურინში სამი ქულით ვბრუნდებით. ეს ძალიან კარგია, რადგან ჩემპიონატის სტარტზევე ლიდერთა მარაქაში გარევა წარმატებული სეზონის მთავარი საწინდარი გახლავთ. ფეხბურთელთა ნაწილი ჯერ კიდევ შორს არის ოპტიმალური ფორმისგან, რაც იმას ნიშნავს, რომ „იუვენტუსს“ გაცილებით უკეთ შეუძლია თამაში. ამ ეტაპზე, მთავარი მაინც შედეგია და ძალიან მიხარია, რომ ორი ტურის შემდეგ ჩვენს გრაფაში ექვსი ქულა წერია“.*

საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ შერცხვა „ლაციო“, რომელმაც „ჯენოას“ გაატანა სამი ქულა და შეარყია მოსაზრებები იმის შესახებ, რომ, **ედუარდო რეიას** უმაღლესი მიზნებისთვის მებრძოლი გუნდი ჰყავს. რომაელები მთელი შეხვედრის განმავლობაში უტევდნენ, მაგრამ ბევრი უხეში შეცდომა დაუშვეს და დაისაჯნენ კიდეც. ამრიგად, **კახა კალაძის** გუნდმა ოთხ ქულას მოუყარა თავი და ლიდერთა შორის გაერია. მართალია, ამ ეტაპზე ცხრილს დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ ფაქტი მაინც აღსანიშნავია. საინტერესოდ განვითარდა მოვლენები „ატალანტა“-“პალერმოს“ შეხვედრაში - „ინტერის“ მძლეველმა სიცილიელებმა დათმეს ბერგამოული შეხვედრა, რომელიც მეორე ტაიმის შუაწელს ძლიერი წვიმის გამო დაახლოებით 15 წუთით შეჩერდა. ერთადერთი გოლი **ხერმან დენისმა** გაიტანა და ტრიბუნებზე შეკრებილი გულშემატკივრები აღტაცებაში მოიყვანა. „ატალანტა“ სწრაფი ტემპებით ამოდის მინუს ქულებიდან და თუ ასე გააგრძელა, მალე გასავარდნ ზონასაც ასცდება. კარგ ფორმაშია „უდინეზე“, რომელმაც „ფიორენტინა“ დაამარცხა ორი უპასუხო ბურთით და **სინიშა მიხაილოვიჩი** მიწაზე დაანარცხა - მეორე ტურში გამარჯვების შემდეგ, სერბი სპეციალისტი „ვიოლაში“ ახალი ეპოქის დაწყების შესახებ ალაპარაკდა, თუმცა ჯერ რომ იქამდე შორია, ფრიულელებმა დაამტკიცეს.

ტურის კიდევ ერთი გამორჩეული შეხვედრა „სან პაოლოზე“ შედგა, სადაც “ნაპოლიმ” “მილანს” უმასპინძლა და მეტოქე ორბურთიანი სხვაობით, 3:1 დაამარცხა. პრინციპში, ეს არავის გაკვირვებია, რადგან ნეაპოლელები საკმაოდ კარგ ფორმაში არიან, მილანელები კი სამხრეთში ფაქტობრივად განახევრებული შემადგენლობით ჩავიდნენ – როგორც ტურის წინასიტყვაობაში აღვნიშნეთ, **მასიმილიანო ალეგრიმ** ერთბაშად რვა ფეხბურთელი მოისაკლისა.

შეხვედრა სტუმართა იერიშებით დაიწყო, რასაც **ალბერტო აკვილანის** სწრაფი გოლი მოჰყვა, თუმცა იქვე **ედინსონ კავანიმ** გაიბრწყინა და გაქვითა ანგარიში. შეხვედრის პერიპეტიების აღწერით თავს არ შევაწყენთ, მხოლოდ იმას ავღნიშნავთ, რომ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი სწორედ ურუგვაელი ფორვარდი გახლდათ, რომელმაც კიდევ ორჯერ დაამწუხრა **კრისტიან აბიატი**, ჰეთთრიკი შეასრულა და მის გუნდს მნიშვნელოვანი სამი ქულა მოუტანა. აქ იმდენად ქულებში არაა საქმე, რამდენადაც ფსიქოლოგიურ ფაქტორში - “მილანის” დამარცხებით ნეაპოლელები კიდევ უფრო მეტად ირწმუნებენ, რომ მიმდინარე სეზონში სკუდეტოს მოპოვება ხელეწიფებათ.

### მომდევნო ტური

20 სექტემბერი: ნოვარა-ინტერი;

21 სექტემბერი: პალერმო-კალიარი, ჩეზენა-ლაციო, კიევო-ნაპოლი, ფიორენტინა-პარმა, ჯენოა-კატანია, იუვენტუსი-ბოლონია, ლეჩე-ატალანტა, მილანი-უდინეზე;

22 სექტემბერი: რომა-სიენა.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

### ჰოლანდია

ერედივიზიონი. VI ტური

**ნიიმეგენი-ბრედა** 1:2

**გოლები:** 1:0 ნუიტინკი (2), 1:1 შალკი (64), 2:1 ბაირამი (67).

**გრონინგენი-ექსლესიორი** 2:0

**გოლები:** 1:0 ტადიჩი (41), 2:0 ანდრესონი (51).

**ვიტესი-როდა** 5:0

**გოლები:** 1:0 გინკელი (55), 2:0 **კაშია** (71), 3:0 **ჟანტურია** (73), 4:0 ბუტნერი (77-პენ.), 5:0 იენერი (82).

**ვენლო-ჰეერენვეენი** 0:3

**გოლები:** 0:1 ნარსინი (74), 0:2 დოსტი (82), 0:3 ასაიდი (88).

**ფეიენოორდი-დე გრააფსხაპი** 4:0

**გოლები:** 1:0 შაკენი (47), 2:0 გუდეტი (59-პენ.), 3:0 ლერდამი (67), 4:0 ფერნანდესი (79-პენ.).

**პსვ-აიაქსი** 2:2

**გოლები:** 1:0 მატავცი (2), 1:1 სიგტორსონი (45), 2:1 ვინალდუმი (55), 2:2 ბულიკინი (79).

**ტვენტე-დენ ჰააგი** 5:2

**გოლები:** 0:1 იმერსი (14-პენ.), 1:1 იანკო (16), 2:1 დუგლასი (56), 3:1 იონგი (72), 4:1 ბერამი (77), 4:2 ვერჰოეკი (77), 5:2 იონგი (90).

**ვაალკვიკი-ალკმაარი** 1:2

**გოლები:** 0:1 ელმი (10-პენ.); 1:1 კასტილო (45), 1:2 ბენშოპი (65).

**უტრეხტი-ჰერაკლესი** 2:2

**გოლები:** 1:0 გერნდტი (19), 1:1 კუანსა (31), 1:2 პლეტი (37), 2:2 ასარე (54).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტვენტე | 6 | 5 | 0 | 1 | 18:6 | 15 |
| 2. ალკმაარი | 6 | 5 | 0 | 1 | 16:4 | 15 |
| 3. აიაქსი | 6 | 4 | 2 | 0 | 20:9 | 14 |
| 4. ფეიენოორდი | 6 | 4 | 2 | 0 | 15:4 | 14 |
| 5. პსვ | 6 | 3 | 2 | 1 | 16:9 | 11 |
| 6. ვიტესი | 6 | 3 | 1 | 2 | 12:9 | 10 |
| 7. ვაალვიკი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:6 | 10 |
| 8. უტრეხტი | 6 | 2 | 3 | 1 | 11:9 | 9 |
| 9. ჰეერენვეენი | 6 | 2 | 2 | 2 | 12:14 | 8 |
| 10. გრონინგენი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:12 | 7 |
| 11. ნიიმეგენი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:10 | 7 |
| 12. ჰერაკლესი | 6 | 1 | 3 | 2 | 10:11 | 6 |
| 13. როდა | 6 | 2 | 0 | 4 | 5:15 | 6 |
| 14. დე გრააფსხაპი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:14 | 5 |
| 15. ბრედა | 6 | 1 | 1 | 4 | 7:11 | 4 |
| 16. დენ ჰააგი | 6 | 1 | 1 | 4 | 7:13 | 4 |
| 17. ვენლო | 6 | 0 | 3 | 3 | 6:16 | 3 |
| 18. ექსელსიორი | 6 | 0 | 1 | 5 | 4:16 | 1 |

**ბომბარდირები:** 7 – მერტენსი (ეინდჰოვენი), იანკო (ტვენტე); 5 - სიგტორსონი (აიაქსი).

### კალიარი-ნოვარა 2:1

**კალიარი (4-3-3):** აგაცი – პიზანო, კანინი, ასტორი, აგოსტინი – ბიონდინი, კონტი, ნაინგოლანი – რიბეირო (59. იბარბო), კოსუ (83. ქაბირი), ნენე (72. ლარივეი).

**ნოვარა (4-3-1-2):** უიკანი – მორგანელა, პაჩი, ლისუძო, ჯემიტი – მარიანინი (67. რადოვანოვიჩი), პორკარი, რიგონი – პინარდი (76. ჯორჯი) – მორიმოტო, ჯედა (66. გრანოჩე).

**გოლები:** 1:0 რიბეირო (38), 2:0 ლარივეი (86), 2:1 მორიმოტო (88).

**გაფრთხილება:** ასტორი, აგოსტინი - მორგანელა, პაჩი, პორკარი.

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 18-22; **თამაშგარე:** 4-6; **კარში დარტყმა:** 13(5)-6(4); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 10 000

### ინტერი-რომა 0:0

**ინტერი (3-5-2):** ჟულიო სეზარი - ლუსიო, სამუელი, რანოკია - ნაგატომო, ძანეტი, კამბიასო, ობი (63. ჯონათანი), სნეიდერი - მილიტო (59. სარატე), ფორლანი (79. მუნტარი).

**რომა (4-3-3):** სტეკელენბურგი (18. ლობონტი) – პეროტა, კიაერი, ბურდისო, ტადეი – პისარო (59. გაგო), დე როსი, პიანიჩი – ოსვალდო, ტოტი, ბორინი (78. ბორიელო).

**გაფრთხილება:** ლუსიო - კიაერი.

**კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 15-12; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 12(4)-8(3); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 58 000

### ატალანტა-პალერმო 1:0

**ატალანტა (4-4-1-1):** კონსილი – მაზიელო, მანფრედინი, ლუკინი (23. კაპელი), პელუზო – შელოტო, ჩიგარინი (58. ბრიგი), პადოინი, ბონავენტურა – მორალესი (77. გაბიადინი) – დენისი.

**პალერმო (4-4-2):** ცორვასი - პიზანო, სილვესტრი, მილიაჩო, ბალცარეტი - ალვარესი (37. ზაჰავი), ბარეტო, აკუა (77. დელა როკა), ილიჩიჩი - ერნანდესი, მიკოლი (52. პინილია.

**გოლი:** 1:0 დენისი (34).

**გაფრთხილება:** კონსილი, მაზიელო, მანფრედინი, ბრიგი - აკუა, ილიჩიჩი, პინილია.

**კუთხური:** 1-8; **ჯარიმა:** 9-13; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 8(1)-7(0); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 26 000

### ბოლონია-ლეჩე 0:2

**ბოლონია (4-3-2-1):** ჟილე – მორლეო, პორტანოვა, ლორია, რაჯი (69. კაზარინი) – პერესი (46. კონე), მუდინგაი, პულცეტი – დიამანტი, აკვაფრესკა (58. რამირესი) – დი ვაიო.

**ლეჩე (4-3-3):** ჟულიო სერჟიო – ტომოვიჩი, კუადრადო, ესპოზიტო, მესბა – პიატი, ობოდო, ჯაკომაცი – გროსმიულერი (74. შტრასერი), პასკუატო (57. ბერტოლაჩი), დი მიკელე (84. კორვია).

**გოლები:** 0:1 ჯაკომაცი (37), 0:2 გროსმიულერი (60).

**გაფრთხილება:** მორლეო, პერესი, მუდინგაი - პიატი.

**კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 14-13; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 8(4)-14(7); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 19 000

### კატანია-ჩეზენა 1:0

**კატანია (4-3-3):** ანდუხარი – პოტენცა, ბელუში, სპოლი, ალვარესი – ბიაჯანტი, ლოდი, შაკა (37. დელ ვეკიო) – ბარიენტოსი (61. რიკიუტი), მაქსი ლოპესი, გომესი (85. კატელანი).

**ჩეზენა (4-3-3):** რავალია – კომოტო, ფონ ბერგენი, როსი, ლაურო – პაროლო, გუანა (62. კოლუჩი), კანდრევა – ედერი, მუტუ (79. მარტინესი), გეზალი (57. ბოგდანი).

**გოლი:** 1:0 მაქსი ლოპესი (45-პენ.).

**გაფრთხილება:** პოტენცა, ალვარესი, ბიაჯანტი, დელ ვეკიო - ლაურო.

**კუთხური:** 8-1; **ჯარიმა:** 12-14; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 4(3)-3(2); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 13 000

### ლაციო-ჯენოა 1:2

**ლაციო (4-2-3-1):** მარკეტი – კონკო, ბიავა (61. დიაკიტე), დიასი, ლულიჩი (81. სტანკევიჩუსი) – მათუზალემი, ბროკი – სისე, ერნანესი (58. ლედესმა), სკული – კლოზე.

**ჯენოა (4-4-2):** ფრეი – მესტო (22. გრანკვისტი), დაინელი, **კალაძე**, ანტონელი – სეიმური, კუჩკა, ველოზო, კონსტანტი (46. ხორკერა) – პალასიო, კარაჩოლო (70. პრატო).

**გოლები:** 1:0 სკული (10), 1:1 პალასიო (54), 1:2 კუჩკა (71).

**გაფრთხილება:** ფრეი, კალაძე (ჯენოა).

**კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 15-12; **თამაშგარე:** 3-7; **კარში დარტყმა:** 8(2)-10(4); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 29 000

### პარმა-კიევო 2:1

**პარმა (4-4-1-1):** მირანტე – ძაკარდო, პალეტა, ლუკარელი, რუბინი – ვალიანი (73. ბიაბიანი), მორონე, გალოპა (61. ბლაზი), მოდესტო – ჯოვინკო – პელე (58. ფლოკარი).

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო – ფრეი, სეზარი, ანდრეოლი, იოკიჩი – ვაცეკი (63. მოსკარდელი), რიგონი, ჰეტემაი – სამარკო (72. ბრედლი) – პელისიერი (31. პალოსკი), თერეუ.

**გოლები:** 1:0 ჯოვინკო (24), 1:1 პალოსკი (79), 2:1 ჯოვინკო (90).

**გაფრთხილება:** ლუკარელი - ცეზარი, სამარკო, თერეუ.

**გაძევება:** ჯივინკო (90).

**კუთხური:** 0-2; **ჯარიმა:** 12-19; **თამაშგარე:** 1-7; **კარში დარტყმა:** 10(5)-7(1); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 14 000

### სიენა-იუვენტუსი 0:1

**სიენა (4-4-2):** ბრკიჩი – ვიტიელო, როსეტინი, ტერცი, დელ გროსო – ბრიენცა, გაცი (71. ვერგასოლა), დ'აგოსტინო, მანინი – კალაიო, გონსალესი (63. ლარონდო).

**იუვენტუსი (4-2-2-2):** ბუფონი – ლიხტშტაინერი, ბარცალი, კიელინი (57. ბონუჩი), გროსო – პირლო, მარკიზიო – პეპე, ვუჩინიჩი (55. ვიდალი) – მატრი (76. დელ პიერო), ჯაკერინი.

**გოლი:** 0:1 მატრი (54).

**გაფრთხილება:** ტერცი, დელ გროსო (სიენა).

**კუთხური:** 1-5; **ჯარიმა:** 16-11; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 3(1)-9(5); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 20 000

### უდინეზე-ფიორენტინა 2:0

**უდინეზე (3-5-2):** ჰანდანოვიჩი – ბენეტია, დანილო, დომიცი – ბასტა, პინცი, ისლა, ასამოა (61. ბადუ), პასკუალე (42. არმერო) – ტორჯე (74. აბდი), დი ნატალე.

**ფიორენტინა (4-3-3):** ბორუცი – კასანი, გამბერინი, ნატალი, პასკუალი – ბეჰრამი, მონტოლივო (61. ვარგასი), ხარჯა – ჩერჩი (65. სილვა), ჯილარდინო (70. მუნარი), იოვეტიჩი.

**გოლები:** 1:0 დი ნატალე (8-პენ.), 2:0 ისლა (29).

**გაფრთხილება:** აბდი - გამბერინი, ბეჰრამი, მონტოლივო, მუნარი.

**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 15-11; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 7(5)-7(2); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 16 000

### ნაპოლი-მილანი 3:1

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანქტისი – კამპანიარო, კანავარო, არონიკა – მაჯო, ინლერი, გარგანო, დოსენა (79. ცუნიგა) – ჰამშიკი (65. ჯემაილი), ლაველი (83. პანდევი) – კავანი.

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი – აბატე, ნესტა, ტიაგო სილვა, ბონერა (77. ბონერა) – ნოჩერინო, ვან ბომელი (66. ემანუელსონი), აკვილანი (77. ელ შაარავი) – ზეედორფი – პატო, კასანო.

**გოლები:** 0:1 აკვილანი (11), 1:1 კავანი (13), 2:1 კავანი (36), 3:1 კავანი (51).

**გაფრთხილება:** არონიკა, გარგანო, კავანი – ნესტა, ნოჩერინო, პატო.

**კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 10-17; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 11(4)-8(4); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 49 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნაპოლი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-2 | 6 |
| 2. იუვენტუსი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 3. უდინეზე | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 4. კალიარი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-2 | 6 |
| 5. ჯენოა | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 6. კატანია | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 7. პალერმო | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 8. ფიორენტინა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 9. ლეჩე | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 10. პარმა | 2 | 1 | 0 | 1 | 3-5 | 3 |
| 11. კიევო | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 12. ლაციო | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 13. ნოვარა | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 14. ინტერი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 15. რომა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 16. სიენა | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 17. მილანი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-5 | 1 |
| 18. ჩეზენა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 19. ბოლონია | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |
| 20. ატალანტა* | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | -2 |

*შენიშვნა: *ატალანტას დაკლებული აქვს 6 ქულა*

### ბომბარდირები:

3 – კავანი; 2 - მორალესი (ატალანტა), მიკოლი (პალერმო), მილიტო (ინტერი).

### სერია B. V ტური

**ვერონა-პადოვა** 2:2

**გოლები:** 1:0 რუსო (22), 1:1 კუტოლო (30), 2:1 დალესანდრო (36), 2:2 კაჩა (54).

**ასკოლი-სასუოლო** 0:1

**გოლი:** 0:1 მაზუჩი (71).

**ბარი-ნოჩერინა** 1:1

**გოლები:** 1:0 რივასი (31), 1:1 ფარიასი (75).

**ჩიტადელა-ვიჩენცა** 4:2

**გოლები:** 0:1 პარო (30), 1:1 სკიავონი (64), 1:2 აბრუსკატო (67), 2:2 მაა (79), 3:2 მაა (85), 4:2 კარმინე (88).

**კროტონე-ემპოლი** 2:1

**გოლები:** 0:1 ტავანო (9-პენ.), 1:1 პეტინარი (26), 2:1 ჩანო (35).

**ლივორნო-იუვე სტაბია** 3:0

**გოლები:** 1:0 დიონისი (61), 2:0 სალვიატო (86), 3:0 ბარონე (90).

**მოდენა-გუბიო** 1:1

**გოლები:** 0:1 ლუნარდინი (30), 1:1 ვიტისი (34).

**რეჯინა-პესკარა** 4:2

**გოლები:** 1:0 მისიროლი (3), 2:0 კამპანაჩი (43), 3:0 მისიროლი (63), 3:1 კაშონე (72), 3:2 მანიერო (82), 4:2 ჩერავოლო (85-პენ.).

**სამპდორია-გროსეტო** 0:0

**ვარეზე-ალბინოლეფე** 2:1

**გოლები:** 1:0 პერეირა (3), 1:1 კოკო (60), 2:1 ლუკა (82).

**ტორინო-ბრეშა** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სასუოლო | 5 | 4 | 0 | 1 | 7-2 | 12 |
| 2. პადოვა | 5 | 3 | 2 | 0 | 10-5 | 11 |
| 3. რეჯინა | 5 | 3 | 1 | 1 | 12-6 | 10 |
| 4. ლივორნო | 5 | 3 | 1 | 1 | 7-3 | 10 |
| 5. ბრეშია | 4 | 3 | 1 | 0 | 6-2 | 10 |
| 6 ტორინო | 4 | 3 | 1 | 0 | 6-2 | 10 |
| 7. სამპდორია | 5 | 2 | 3 | 0 | 11-3 | 9 |
| 8. გროსეტო | 5 | 2 | 3 | 0 | 7-4 | 9 |
| 9. პესკარა | 5 | 3 | 0 | 2 | 11-10 | 9 |
| 10. ალბინოლეფე | 5 | 2 | 1 | 2 | 9-9 | 7 |
| 11. ვერონა | 5 | 2 | 1 | 2 | 7-7 | 7 |
| 12. ჩიტადელა | 5 | 2 | 1 | 2 | 8-10 | 7 |
| 13. ნოჩერინა | 5 | 1 | 2 | 2 | 5-6 | 5 |
| 14. ბარი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-5 | 5 |
| 15. ვარეზე | 5 | 1 | 2 | 2 | 2-5 | 5 |
| 16. კროტონე | 5 | 1 | 2 | 2 | 3-5 | 4* |
| 17. მოდენა | 5 | 1 | 1 | 3 | 6-10 | 4 |
| 18. ემპოლი | 5 | 1 | 0 | 4 | 7-11 | 3 |
| 19. ვიჩენცა | 5 | 0 | 1 | 4 | 3-9 | 1 |
| 20. გუბიო | 5 | 0 | 1 | 4 | 4-15 | 1 |
| 21. ასკოლი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-6 | 0* |
| 22. იუვე სტაბია | 5 | 0 | 1 | 4 | 2-8 | 0* |

შენიშვნა: ** ასკოლი - 7 ქულა, კროტონე - 1 ქულა, იუვე სტაბია - 1 ქულა*

**ბომბარდირები:** 5 – კოკო (ალბინოლეფე), ტავანო (ემპოლი); 4 - იმობილე (პესკარა), ბერტანი (სამპდორია), კამპანაჩი (რეჯინა), ჩერავოლო (რეჯინა), დიონისი (ლივორნო), პოცი (სამპდორია).

### ლეგა პრო 1 AA

აველინო-ტრიტიუმი 1:2, ბენევენტო-რეჯანა 2:2, კარპი-ლუმეცანე 3:0, კომო-სორენტო 2:2, მონცა-პრო ვერჩელი 0:1, პიზა-ფოჯა 1:1, სპალ-ვიარეჯო 1:0, ტარანტო-პავია 2:1, ტერნანა-ფოლინო 2:1.

### ლეგა პრო 1 B

ტრიესტინა-სირაკუზა 4:0, ბარლეტა-ანდრია 2:2, კრემონეზე-ბასანო 4:2, ლატინა-პერგოკრემა 1:2, პორტოგრუარო-კარარეზე 3:1, პრატო-ლანჩანო 0:1, სპეცია-პიაჩენცა 3:0, სუდტიროლი-ფროზინონე 1:0, ტრაპანი-ფერარპისალო 2:0.

● კალათბურთი. ევრობასკეტი 2011

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბო მაკალები

# ენთუზიასტი და გამაერთიანებელი

მაკედონიის კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მენეჯერმა ეროვნულ გუნდში **ბო მაკალების** გამოჩენის მნიშვნელობაზე ილაპარაკა.

**დეიან ლეკიჩის** სიტყვებით, ზოგიერთი ქვეყანა ნატურალიზებულ ამერიკელებს დიდ თანხებს უხდის, რათა მათ ევროპულ ნაკრებებში ითამაშონ. მაკედონიას კი არ ჰქონდა მაკალებისთვის ხელფასის გადახდის ფუფუნება.

*"ჩვენი ფედერაციის წლიური ბიუჯეტი დაახლოებით 350 ათას ევროს შეადგენს. ევრობასკეტზე მოთამაშე ზოგიერთი ვარსკვლავისთვის კი ეს ჯიბის ფულია"*, - განაცხადა მაკედონიის კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მენეჯერმა.

მისი სიტყვებით, ამჟამად მაკალები, რომელსაც ქვეყანაში **ბორჩე მაკალებოვსკი** შეარქვეს, შეიძლება სრულფასოვან მაკედონიელად მივიჩნიოთ.

*"თითოეულ გუნდს აქვს ერთი ნატურალიზებული მოთამაშის დამატების უფლება. მაკალები ჩამოვიდა, შეუყვარდა ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი და ჩვენც იმავეთი ვუპასუხეთ. ახლა ის სრულფასოვანი მაკედონიელია"*, - მიიჩნევს ლეკიჩი.

თავად მაკალებიც ადასტურებს მაკედონიის კალათბურთის ფედერაციასთან მოლაპარაკებების უბრალო ხასიათს.

*"შარშანდელი სეზონი სერბეთში გავატარე და მაკედონიელებისგან მიწვევა სწორედ იქ მივიღე – მათ თავიანთ ნაკრებში თამაში მთხოვეს*, - ჰყვება ბო. *– არანაირი შეკითხვა არ დამისვამს ქვეყანასთან დაკავშირებით, მხოლოდ ვთქვი: "კი!" და მომდევნო დღეს ჩავედი სკოპიეში"*.

ახლა, მაკალები წელიწადში ერთ თვეს ცხოვრობს სკოპიეში, მაგრამ საერთოდ არ იცის მაკედონიური ენა. გამონაკლისია რამდენიმე უწმაწური სიტყვა, რომელიც ნაკრებში მისმა პარტნიორებმა ასწავლეს. *"სიმართლე გითხრათ, ახლა ერთ-ერთ მათგანად ვგრძნობ თავს"*, - განაცხადა ნაკრების ლიდერმა.

ლეკიჩმა იმასაც გაუსვა ხაზი, რომ მაკედონიისა და მაკალების წარმატება ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის გაერთიანებისთვის, რომელმაც 2001 წელს სამხედრო კონფლიქტი გადაიტანა ეთნიკურ ალბანელებსა და მთავრობას შორის.

*"როცა ჩვენ ვთამაშობთ, მთელი ქვეყანა სულგანაბულია და შესცქერის იმას, რასაც მათი საყვარელი გუნდი აკეთებს. ნაკრებს ჩვენი ალბანელი მოსახლეობაც კი გულშემატკივრობს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის გაერთიანების მხრივ"*, - აცხადებს მაკედონიის კალათბურთის ფედერაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

# ესპანეთი ზედიზედ მეორედ

## ამ გუნდს მხოლოდ დრიმ თიმი შეაჩერებს

ესპანეთის ნაკრები ზედიზედ მეორედ გახდა კონტინენტის ჩემპიონი. **სერჯო სკარიოლოს** გუნდმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი უმაღლესი კლასი, რითაც, ალბათ, გჟანბილა ნეიტრალური მაყურებელი, რომელსაც დაძაბული ფინალის მოლოდინი ჰქონდა, მაგრამ მთელი მატჩის განმავლობაში იგრძნობოდა, რომ საფრანგეთს გადამწყვეტი შეხვედრის მოგების მინიმალური შანსი ჰქონდა.

ეს გუნდები ჯგუფურ ეტაპზეც შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ ესპანეთმა დიდი ანგარიშით გაანადგურა **ვენსან კოლეს** გუნდი, თუმცა იმ შეხვედრაში ერთი წამით არ უთამაშიათ ფრანგების ლიდერებს - **ტონი პარკერსა** და **ჟოაკიმ ნოას**. ამიტომაც კეთდებოდა გუშინ ფრთხილი პროგნოზები ესპანელთა სასარგებლოდ.

საფრანგეთმა კარგი გუნდური კალათბურთით დაიწყო თამაში და პირველი რვა ქულიდან ექვსი თავისი მაღლების ფარქვეშ გაყვანითა და ჩატენვებით დააგროვა. ამ შეტევების სულისჩამდგმელი ფრანგების ლიდერი **ტონი პარკერი**. თავად „სპურსის" გამთამაშებელმა პირველი ქულები 8:8-ზე აიღო და როგორც შემდეგ აღმოჩნდა, საფრანგეთი სწორედ ამ დროს გავიდა უკანასკნელად მატჩში წინ.

კალდერონის მონდომებით ესპანეთი 9:2 გაიქცა. ესპანელთა გამთამაშებელმა ამ ცხრა ქულიდან ხუთი თავის ანგარიშზე ჩაიწერა და ანგარიში 17:12 გახდა.

მალე ესპანელთა უპირატესობამ რვა ქულას მიაღწია, მაგრამ მეოთხედის ბოლოს სამქულიანი ჩააგდო **ნიკოლა ბატუმმა** და პირველ შესვენებაზე გუნდები ასეთი ანგარიშით გავიდნენ - 25:20. აღსანიშნავია, რომ ეს იყო ბატუმის პირველი ქულები მატჩში. მართალია, ესპანელებმა პარკერის შეჩერება ვერ შეძლეს, სამაგიეროდ, ბატუმი თითქმის მთლიანად გამოთიშეს თამაშიდან და ამან სკარიოლოს გუნდს საქმე გაუადვილა.

მეორე მეოთხედში ესპანეთმა ცხრა ქულამდე აიყვანა თავისი უპირატესობა, მაგრამ **ჟელაბალემ** და პარკერმა ზედიზედ ორი ზუსტი სამქულიანით სამამდე შეამცირეს სხვაობა - 26:29. ამის შემდეგ **სერჟ იბაკას** ჯერი დადგა, რომელმაც მეორე 10-წუთეულში ბენეფისი მოიწყო - ნატურალიზებულმა კალათბურთელმა რვა წუთში 5 (!) დაფარება გააკეთა და მის მიერ მოგერიებული შეტევების წყალობით ესპანეთი პირველად გავიდა წინ ორნიშნა უპირატესობით - 36:26.

დიდ შესვენებამდე საფრანგეთმა გაიბრძოლა და სხვაობა ხუთ ქულამდე დაიყვანა, მაგრამ იქვე **პაუ გასოლისგან** ზედიზედ ოთხი ქულა მიიღო და პირველი ტაიმი მოქმედმა ცხრა ქულით მოიგო - 50:41.

ესპანეთმა კიდევ ერთი საფრთხე მესამე მეოთხედის შუაში მოიგერია, როცა საფრანგეთი ექვს ქულამდე მიუახლოვდა მეტოქეს (54:60). ფრანგების 7:0 გაქცევას პირენეელებმა ზუსტად ასეთივე სპურტით უპასუხეს. ამის შემდეგ სხვაობა მუდმივად 10 ქულის ფარგლებში მერყეობდა. პარკერის გარდა ყველა ფრანგმა თითქმის შეწყვიტა ბრძოლა, ტონის მონდომება კი გასოლების, ნავაროს, კალდერონისა და **ფერნანდესის** წინააღმდეგ საკმარისი ვერ იქნებოდა. ესპანეთის სასტარტო ხუთეულის წევრებმა საერთო გუნდური 98 ქულიდან 86 საკუთარ ანგარიშზე ჩაიწერეს.

მატჩის გმირი ხუან კარლოს ნავარო გახდა, რომელმაც ორივე გუნდში ყველაზე მეტი - 27 ქულა დააგროვა, თუმცა მორიგი ორმაგი დუბლი შეასრულა პაუ გასოლმა, ამიტომაც რთული იყო იმის თქმა, საბოლოოდ ვის დარჩებოდა MVP-ის ტიტული. სწორედ ეს ინტრიგა ჰქონდა შემორჩენილი ევრობასკეტს, თორემ მეოთხე მეოთხედის საწყის წუთებში კონტინენტის ჩემპიონის საკითხი გარკვეული იყო.

ესპანეთმა პირველ სამ მეოთხედში ერთნაირი შედეგიანობა აჩვენა - 25 ქულა დააგროვა, მეოთხეში კი 23 ქულა მიითვალა და ასამდე ორი ქულა არ ეყო. თუმცა გასოლსა და კომპანიას ამის გამო დიდად არ უნაღვლიათ - გაისმა საფინარო სირენის ხმა და ესპანელების ზეიმიც დაიწყო. კალათბურთელები ბავშვებივით ხარობდნენ ზედიზედ მეორე ტიტულს. ლიტვაში მათი ტრიუმფი სავსებით კანონზომიერი აღმოჩნდა.

ასეთი თამაშით ესპანეთი გაისად ლონდონის ოლიმპიადაზე ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი იქნება და მის შეჩერებას „დრიმ თიმი" თუ მოახერხებს - გააჩნია, რა შემადგენლობას წაიყვანენ ამერიკელები ზაფხულის თამაშებზე.

რაც შეეხება ტურნირის ბოლო ინტრიგას, სავსებით კანონზომიერად და სამართლიანად MVP გახდა ნავარო, რომელმაც მაკედონიასთან ნახევარფინალში 35 ქულა დააგროვა, ფინალში - 27.

ევრობასკეტის სიმბოლური ნაკრები ასე გამოიყურება:

**ხუან კარლოს ნავარო** (ესპანეთი) - 20,6 ქ. 2,8 პ. 1,5 მ.

**ტონი პაკერი** (საფრანგეთი) - 24,6 ქ. 4,3 პ. 3,3 მ. 1,7 ჩ.

**ბო მაკალები** (მაკედონია) - 21,4 ქ. 3,7 პ. 3,1 მ. 2,1 ჩ.

**ანდრეი კირილენკო** (რუსეთი) - 14,9 ქ. 2,3 პ. 6,1 მ. 2,6 ჩ.

**პაუ გასოლი** (ესპანეთი) - 22,3 ქ. 1,4 პ. 8,1 მ. 1,1 ჩ.

### ფინალი

**ესპანეთი–საფრანგეთი 98:85**

**25:20, 25:21, 25:21, 23:23**

ე: ნავარო (27+5 პასი), პ. გასოლი (17+10 მოხსნა+4 დაფარება), კალდერონი (17), ფერნანდესი (12), მ. გასოლი (11+6 მოხსნა+2 დაფარება), იბაკა (4+5 დაფარება), ლიული (4), სადა (2), რეიესი (2), რუბიო (0), სან ემეტერიო (0), კლავერი (0).

ს: პარკერი (26+5 მოხსნა+5 პასი), დიაო (12+7 პასი), ნოა (11+8 მოხსნა), ბატუმი (10), ჟელაბალე (8), ტრაორე (4), პიეტრუსი (4), სერაფინი (4), კაუდი (3), დე კოლო (2), ალბისი (1), შიკამბუ (0).

### მე-3 ადგილისთვის

**მაკედონია–რუსეთი 68:72**

**13:17, 17:19, 20:16, 18:20**

მ: მაკალები (22+4 ჩაჭრა), ილიევსკი (16+4 პასი), ანტიჩი (13+5 მოხსნა), სამარძისკი (6), ვ. სტოიანოვსკი (5), ჩეკოვსკი (4), მირაკოვსკი (2).

რ: კირილენკო (18+7 მოხსნა), მონია (10+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), ვორონცევიჩი (10+7 მოხსნა), მოზგოვი (10+6 მოხსნა), ანტონოვი (7), ფრიძონი (7), ბიკოვი (5+5 პასი), შვედი (5).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




**ესპანეთი–საფრანგეთი 98:85**

| | | |
|---|---|---|
| **I მეოთხედი** | | |
| | 0:2 | ნოა (2) |
| | 0:4 | დიაო (2) |
| ნავარო (3) | 3:4 | |
| პ. გასოლი (2) | 5:4 | |
| | 5:6 | პიეტრუსი (2) |
| მ. გასოლი (2) | 7:6 | |
| | 7:8 | ნოა (4) |
| მ. გასოლი (3) | 8:8 | |
| | 8:10 | პარკერი (2) |
| კალდერონი (3) | 11:10 | |
| კალდერონი (5) | 13:10 | |
| | 13:12 | პარკერი (4) |
| ნავარო (4) | 14:12 | |
| ნავარო (5) | 15:12 | |
| მ. გასოლი | 17:12 | |
| | 17:14 | პარკერი (6) |
| ფერნანდესი (2) | 19:14 | |
| ნავარო (8) | 22:14 | |
| | 22:17 | პაკერი (9) |
| მ. გასოლი (8) | 25:17 | |
| | 25:20 | ბატუმი (3) |
| **II მეოთხედი** | | |
| კალდერონი (7) | 27:20 | |
| იბაკა (1) | 28:20 | |
| იბაკა (2) | 29:20 | |
| | 29:23 | ჟელაბალე (3) |
| | 29:26 | პარკერი (1[illegible]) |
| ნავარო (10) | 31:26 | |
| ნავარო (11) | 32:26 | |
| კალდერონი (9) | 34:26 | |
| პ. გასოლი (4) | 36:26 | |
| ნავარო (12) | 37:26 | |
| ნავარო (13) | 38:26 | |
| | 38:28 | ბატუმი (5) |
| | 38:31 | დიაო (5) |
| იბაკა (4) | 40:31 | |
| ფერნანდესი (4) | 42:31 | |
| | 42:32 | პარკერი (13) |
| | 42:33 | პარკერი (14) |
| ფერნანდესი (6) | 44:33 | |
| | 44:34 | ნოა (5) |
| ფერნანდესი (8) | 46:34 | |
| | 46:35 | დე კოლო (1) |
| | 46:36 | დე კოლო (2) |
| | 46:39 | ბატუმი (8) |
| | 46:41 | ბატუმი (10) |
| პ. გასოლი (6) | 48:41 | |
| პ. გასოლი (7) | 49:41 | |
| პ. გასოლი (8) | 50:41 | |
| **III მეოთხედი** | | |
| ნავარო (14) | 51:41 | |
| ნავარო (15) | 52:41 | |
| | 52:43 | პიეტრუსი (4) |
| კალდერონი (11) | 54:43 | |
| ფერნანდესი (10) | 56:43 | |
| | 56:45 | დიაო (7) |
| | 56:47 | ნოა (7) |
| | 56:49 | პარკერი (16) |
| ნავარო (16) | 57:49 | |
| ნავარო (17) | 58:49 | |
| პ. გასოლი (10) | 60:49 | |
| | 60:52 | ჟელაბალე (6) |
| | 60:54 | ნოა (9) |
| ნავარო (20) | 63:54 | |
| კალდერონი (13) | 65:54 | |
| მ. გასოლი (9) | 66:54 | |
| მ. გასოლი (10) | 67:54 | |
| | 67:56 | ტრაორე (2) |
| ნავარო (22) | 69:56 | |
| | 69:58 | ჟელაბალე (8) |
| | 69:60 | პარკერი (18) |
| ლიული (2) | 71:60 | |
| | 71:61 | პარკერი (19) |
| | 71:62 | პარკერი (20) |
| პ. გასოლი (11) | 72:62 | |
| პ. გასოლი (12) | 73:62 | |
| ლიული (4) | 75:62 | |
| **IV მეოთხედი** | | |
| | 75:64 | ტრაორე (4) |
| პ. გასოლი (14) | 77:64 | |
| სადა (2) | 79:64 | |
| | 79:66 | ნოა (11) |
| ფერნანდესი (12) | 81:66 | |
| | 81:68 | |
| პარკერი (22) | | |
| პ. გასოლი (17) | 84:68 | |
| | 84:69 | პარკერი (23) |
| | 84:70 | პარკერი (24) |
| | 84:72 | დიაო (9) |
| ნავარო (23) | 85:72 | |
| ნავარო (24) | 86:72 | |
| ნავარო (25) | 87:72 | |
| | 87:75 | დიაო (12) |
| კალდერონი (15) | 89:75 | |
| მ. გასოლი (11) | 90:75 | |
| | 90:77 | პარკერი (26) |
| ნავარო (27) | 92:77 | |
| კალდერონი (17) | 94:77 | |
| | 94:80 | კაუდი (3) |
| რეიესი (2) | 96:80 | |
| | 96:81 | ალბისი (1) |
| | 96:83 | სერაფინი (2) |
| ფერნანდესი (14) | 98:83 | |
| | 98:85 | სერაფინი (4) |

## ამბები

### ფორმულა 1

# კუბიცას ბედი თებერვალში გაირკვევა

დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია იტალიური პრესის მიერ გავრცელებულმა ცნობამ იმის შესახებ, რომ, შესაძლოა, „ლოტუს-რენომ" წლევანდელი სეზონის შემდეგ დაითხოვოს ორივე საპრიზო პილოტი - პოლონელი **რობერტ კუბიცა** და რუსი **ვიტალი პეტროვი**.

ჟურნალისტებს ყველაზე მეტად კუბიცას ამბავი აინტერესებთ, რომელიც თებერვალში მომხდარი საშინელი ავარიის შემდეგ რეაბილიტაციის კურსს გადის.

როგორც პოლონელი პილოტის მენეჯერი **დანიელ მორელი** ამბობს, კუბიცა უახლოეს ერთ თვეში შეუდგება სარბოლო სიმულატორთან მუშაობას და რეაბილიტაციის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მანქანის მართვას შეძლებს.

თუმცა „ლოტუს-რენოს" ხელმძღვანელი **ერიკ ბულიე** აცხადებს, რომ უკვე ოქტომბერში ეცოდინება, შეძლებს თუ არა კუბიცა ფორმულა 1-ში დაბრუნებას, ხოლო ფრანგული საჯინიბო პოლონელი პილოტის მომავალთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას თებერვალში მიიღებს.

### ცურვა

# ლოხტე წლის მოცურავეა

ამერიკის ცურვის ფედერაციამ ქვეყნის წლის საუკეთესო მოცურავედ სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი **რაიან ლოხტე** აღიარა. პრიზის გადაცემის ცერემონია ფლორიდის შტატის ქალაქ ჯექსონვილში გაიმართა.

ლოხტე წელს შანხაიში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის გმირი გახდა - მან პლანეტის პირველობაზე ოქროს ხუთი მედალი მოიპოვა. გარდა ამისა, ულტრათანამედროვე კოსტიუმების აკრძალვის შემდეგ რაიანი პირველი სპორტსმენია, ვინც მსოფლიოს რეკორდი განაახლა. ეს მოხდა მსოფლიოს ჩემპიონატზე 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში.

### ველოსპორტი

# ვინომ ნასვლა გადაიფიქრა

ცნობილმა ყაზახმა ველომრბოლმა **ალექსანდრ ვინოკუროვმა** კარიერის დასრულება გადაიფიქრა. 2006 წლის ვუელტას გამარჯვებული 2012 წელს ყაზახური „ასტანას" რიგებში გააგრძელებს გამოსვლას. არადა, ამ საჯინიბოს ვინოკუროვის თავიდან მოშორება სურდა ტურ დ ფრანსის ერთ-ერთ ეტაპზე დაცემის შემდეგ, როცა ყაზახმა ხელის მოტეხილობა მიიღო და ოპერაცია დასჭირდა.

*„კარიერის გაგრძელებას ვაპირებ. უნდა დავამტკიცო, რომ ნამდვილი მებრძოლი ვარ და არასოდეს ვნებდები. თანაც, მინდა დავეხმარო „ასტანას" მსოფლიოს ტურში ადგილის შენარჩუნებაში. გუნდის ახალმა მენეჯერებმა არაფერი იციან UCI-ის ახალი წესების შესახებ. ისინი, ვინც ჩემი გუნდიდან გაგდებას ცდილობენ, ვერ ხვდებიან, რომ იმ ქულების დაკარგვას რისკავენ, რომელიც მე მაქვს მოპოვებული. ჩემი ქულების გარეშე კი „ასტანა" ლიცენზიას დაკარგავს და საკონტინენტო გუნდი გახდება"*, - ამბობს ვინოკუროვი გაზეთ „ეკიპისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მძლეოსნობა. ბრილიანტის ლიგა

# ბოლტი ფრთხილად უნდა იყოს


ბოლტი და ბლეიკი

ბრილიანტის ლიგის ორი ფინალური ეტაპით პრაქტიკულად დასრულდა მძლეოსნობის წლევანდელი სეზონი. ციურიხისა და ბრიუსელის სტარტებზე გამოვლინდა ყველაზე პრესტიჟული სერიის ყველა ლაურეატი.

სეზონი ბრიუსელის ტურნირმა დახურა. ბელგიაში მსოფლიოს მინი-ჩემპიონატი გაიმართა, რადგან აქ თანამედროვე მძლეოსნობის თითქმის ყველა ვარსკვლავი შეიკრიბა.

პლანეტის ყველაზე სწრაფი ადამიანი **უსაინ ბოლტი** 100 მეტრზე გამოდიოდა. წინასწარ იყო ცნობილი, რომ ამ დისციპლინაში მთავარი პრიზი **ასაფა პაუელს** ეკუთვნოდა. საერთოდ, ბოლტმა წელს თავის საყვარელ დისტანციაზე ღირებული ჯილდო ვერ მიიღო - წააგო მსოფლიოს ჩემპიონატი და ბრილიანტის ლიგა, თუმცა მაინც მაჟორულ ნოტაზე დაასრულა სეზონი, რადგან ბრიუსელში მან 9,76 წამი აჩვენა, რაც წლის საუკეთესო შედეგია. ამით მაინც გაუსწრო პაუელს.

შემდეგ გაიმართა ფინალი 200 მეტრზე, სადაც ახალი იამაიკელი ვარსკვლავი **იოჰან ბლეიკი** გამოდიოდა. მსოფლიოს ჩემპიონატზე მან 100 მეტრი ბოლტის ფალსტარტის გამო მოიგო, ამიტომაც, 21 წლის სპრინტერს ჯერ სერიოზულად არ აღიქვამენ უსაინის კონკურენტად. გასულ კვირას ბლეიკმა ზედიზედ ორჯერ გაირბინა 100 მეტრი 9.82 წამში, ბრიუსელში კი 200 მეტრზე გამოსვლა გადაწყვიტა და დაამტკიცა, რომ ამ დისტანციაზეც ძალიან სახიფათოა და მისი შესაძლებლობების შეუფასებლობა არ შეიძლება.

ვირაჟის შემდეგ ბლეიკი და **უოლტერ დიქსი** გვერდიგვერდ მირბოდნენ, შემდეგ კი ამერიკელი თითქოს დადგა. მაგრამ, სინამდვილეში, დიქსი არ გაჩერებულა, უბრალოდ, იამაიკელმა ჩართო კოსმოსური სიჩქარე. საბოლოოდ, დაფიქსირდა ფანტასტიკური დრო - 19,26 წამი! ეს არის 14 მეასედი წამით უკეთესი შედეგი, ვიდრე ბოლტმა მსოფლიოს ჩემპიონატზე აჩვენა, შვიდი მეასედით უარესი უსაინის მსოფლიოს რეკორდზე და ისტორიაში მეორე დრო. ბლეიკი ფინიშზე განცვიფრებული ჩანდა, ისევე როგორც ბოლტი, რომელმაც მაშინვე მიულოცა გამარჯვება თანამემამულეს. დიქსმა 19,53-ით პირადი რეკორდი დაამყარა და „გრძელ სპრინტში" ბრილიანტი მოიგო.

ბრიუსელში ორი სენსაცია მოხდა. ქალებს შორის 100 მეტრზე თარჯრბენში მსოფლიოს ჩემპიონი **სალი პირსონი** სეზონის მეორე ნახევარში დაუმარცხებელი იყო, თუმცა ბრილიანტის ლიგის საერთო ჩათვლაში სულ მცირედით უგებდა კონკურენტებს. როგორც მოსალოდნელი იყო, ის სათავეში ჩაუდგა გარბენს, მაგრამ მეშვიდე ბარიერის გადალახვისას უხეში შეცდომა დაუშვა და ბილიკზე დაეცა, რითაც ისარგებლა **დანიელ კარატერსმა**, რომელმაც ეტაპიც მოიგო და მთავარი პრიზიც.

კიდევ უფრო დიდი მოულოდნელობა მოხდა მამაკაცებს შორის შუბის ტყორცნაში. ლიდერ **ანდრეას ტორკილდსენს** მეორე ადგილი სჭირდებოდა საერთო ჩათვლაში გასამარჯვებლად, მაგრამ ნორვეგიელმა სტარტი ჩააგდო, მხოლოდ მეხუთე ადგილი დაიკავა და ბრილიანტი გერმანელ **მატიას დე ცორდოს** გადააბარა.

სეზონის ერთ-ერთ გმირად უნდა მოვიხსენიოთ ქალთა სპრინტის ვარსკვლავი **კარმელიტა ჯეტერი**. მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის გარდა, მან ბრილიანტის ლიგაზე ორი მთავარი პრიზი მიიღო - 100 და 200 მეტრ დისტანციებზე. ამჯერად ამერიკელმა 100 მეტრი გაირბინა და ძალიან კარგი დროც აჩვენა - 10.78.

მორიგი სტარტი ჩააგდო ხორვატმა სიმაღლეზე მხტომელმა **ბლანკა ვლასიჩმა**, რომელმაც იმ საღამოს 1.96-ის აღებაც კი ვერ შეძლო. გაიმარჯვა მსოფლიოს ჩემპიონმა **ანა ჩიჩეროვამ** საკმაოდ კარგი შედეგით - 2,05 მეტრი, რის შემდეგაც 1987 წელს ლეგენდარული ბულგარელის **სტეფკა კოსტადინოვას** მიერ დამყარებულ რეკორდს შეუტია, მაგრამ სამივე ცდა გააფუჭა. ამ დისციპლინაში ბრილიანტი კი ვლასიჩს ბრიუსელამდე ჰქონდა გარანტირებული.

### ბრიუსელი. IV ეტაპი

#### კაცები

**100 მ.** 1. უსაინ ბოლტი (იამ) - 9,76 (სეზონის საუკეთესო დრო); 2. ნესტა კარტერი (იამ) - 9,89; **200 მ.** 1. იოჰან ბლეიკი (იამ) - 19,26 (სეზონის საუკეთესო დრო); 2. უოლტერ დიქსი (აშშ) - 19,53; **400 მ.** 1. ჯონათან ბორლი (ბელ) - 44,78; 2. კევინ ბორლი (ბელ) - 44,97; 3. ოსკარ პისტორიუსი (ს. აფრ) - 45,46; **800 მ.** 1. დავიდ რუდიშა (კენ) - 1.43,96; **10 000 მ.** 1. კენენისა ბეკელე (ეთი) - 26.43,16 (სეზონის საუკეთესო დრო); **400 მ/თარჯრბენი.** 1. ხავიერ კალსონი (პ-რიკო) - 48,32; **ჭოკი.** 1. კონსტანტინოს ფილიპიდისი (საბ) - 5,72; 2. რენო ლავილენი (საფ) - 5,72; **ბირთვი.** 1. რის ჰოფა (აშშ) - 22,09; 2. კრისტიან კანტველი (აშშ) - 22,07; **შუბი.** 1. მატიას დე ცორდო (გერ) - 88,36.

#### ქალები

**100 მ.** 1. კარმელიტა ჯეტერი (აშშ) - 10,78; 2. ვერონიკა კემპბელ-ბრაუნი (იამ) - 10,85; 3. კელ-ენ ბაპტისტი (ტრი) - 10,90; **400 მ.** 1. ამანტლე მონტშო (ბოტს) - 50,16; **3000 მ/სტიპლჩეზი.** 1. იულია ზარიპოვა (რუს) - 9.15,43; **სიმაღლე.** 1. ანა ჩიჩეროვა (რუს) - 2,05; **სამხტომი.** 1. ოლგა სალადუხა (უკრ) - 14,67.

### ბრილიანტის ლიგის ყველა ლაურეატი

#### კაცები

**100 მ.** - ასაფა პაუელი (იამ) - 18 ქულა
**200 მ.** - უოლტერ დიქსი (აშშ) - 16
**400 მ.** - კირანი ჯეიმსი (გრნ) - 12
**800 მ.** - დავიდ რუდიშა (კენ) - 16
**1500 მ.** - ნილსონ კიპლიმო (კენ) - 12
**5000 მ.** - იმანე მერგა (ეთი) - 15
**110 მ/თ.** - დაირონ რობლესი (კუბ) - 16
**400 მ/თ.** - დევიდ გრინი (ბრიტ) - 16
**3000 მ/ს.** - პოლ კოეჩი (კენ) - 17
**სიგრძე** - მიტჩელ უატი (ავსტრა) - 12
**სამხტომი** - ფილიპს აიდოუუ (ბრიტ) - 18
**სიმაღლე** - ჯესი უილიამსი (აშშ) - 9
**ჭოკი** - რენო ლავილენიე (საფ) - 20
**ბადრო** - ვირგილიუს ალეკნა (ლიტ) - 17
**შუბი** - მატიას დე ცორდო (გერ) - 17
**ბირთვი** - დილან არმსტრონგი (კან) - 17

#### ქალები

**100 მ** - კარმელიტა ჯეტერი (აშშ) - 22
**200 მ** - კარმელიტა ჯეტერი (აშშ) - 13
**400 მ** - ამანტლე მონტშო (ბოტ) - 28
**800 მ** - ჯენიფერ მედოუზი (ბრიტ) - 11
**1500 მ** - მორგან უსენი (აშშ) - 19
**5000 მ** - ვივიან ჩერუოტი (კენ) - 20
**100 მ/თ** - დანიელ კარატერსი (აშშ) - 19
**400 მ/თ** - კალის სპენსერი (იამ) - 24
**3000 მ/ს** - მილკა ჩემოსი (კენ) - 20
**სიგრძე** - ბრიტნი რიზი (აშშ) - 23
**სამხტომი** - ოლგა სალადუხა (უკრ) - 24
**სიმაღლე** - ბლანკა ვლასიჩი (ხორ) - 18
**ჭოკი** - სილკე შპიგელბურგი (გერ) - 14
**ბადრო** - იარელის ბარიოსი (კუბ) - 14
**შუბი** - კრისტინა ობერგფოლი (გერ) - 28
**ბირთვი** - ვალერი ადამსი (ზელ) - 24

## დოპინგი

# ნიკოტინის დოპინგია


ზინედინ ზიდანი

მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტო (WADA) რევოლუციური წესის შემოღებას აპირებს. ორგანიზაციის მორიგ სხდომაზე, რომელიც ჟენევაში გაიმართება, WADA-მ, შესაძლოა, სპორტსმენებს სიგარეტის მოწევა აუკრძალოს და ნიკოტინი აკრძალული პრეპარატების რიცხვში შეიტანოს.

სააგენტოს დავალებით ლოზანაში მდებარე სპეციალიზებული ლაბორატორია რამდენიმე თვის განმავლობაში იკვლევდა ნიკოტინის მავნებელ თვისებებს და ამ დღეებში გაავრცელა მეტად საგანგაშო დასკვნები. სპორტსმენთა ტესტების საფუძველზე შედგენილ დასკვნაში წერია მთელ რიგ ეფექტებზე, რომელსაც ნიკოტინის მოხმარება იწვევს. კერძოდ ეს არის: პულსის, სისხლის წნევის, სისხლში შაქრის დონის ზრდა, წონის დაკლება, სტრესთან ბრძოლაში დახმარება, კონცენტრაციის მომატება...

საინტერესოა, რომ ლოზანის ლაბორატორიის მიერ შემოწმებული სპორტსმენების 15 პროცენტს ნიკოტინის კვალი აღმოუჩინეს. ყველაზე მეტი მწეველი აღმოჩნდა ჰოკეისტებს, ტანმოვარჯიშეებსა და მოთხილამურეებს შორის. უფრო მეტიც, როგორც ამ დასკვნით ვიგებთ, იმ ჰოკეისტთა ნახევარზე მეტი, რომლებიც 2009 წელს შვეიცარიაში მსოფლიოს ჩემპიონატში გამოდიოდნენ, სიგარეტის მწეველები იყვნენ.

მწეველების არანაკლები პროცენტია ფეხბურთელებში. საიდუმლო არ არის, რომ ბევრი ვარსკვლავი სიგარეტის აქტიური მომხმარებელი იყო. მაგალითად, დიადი ჰოლანდიელი **იოჰან კრუიფი**. 2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის დროს სიგარეტის წევისას დააფიქსირეს **ზინედინ ზიდანი**...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **კოლუმბია** | |
| დეპ. პერეირა-კუკუტა | 2:1 |
| ენვიგადო-ატ. ხუნიორი | 2:0 |
| ტოლიმა-ინდეპედიენტე | 2:0 |
| ამერიკა დე კალი-იტაგუი | 2:1 |
| ატ. ნასიონალი-ატ. უილა | 1:2 |
| ლა ეკვიდადი-სანტა ფე | 2:1 |
| რეალ კარტახენა-ჩიკო | 0:1 |
| **ეკვადორი** | |
| დეპ. კიტო-იმბაბურა | 2:2 |
| ესპოლი-მანტა | 0:0 |
| ლიგა ლე ლოხა-ლიგა ლე კიტო | 3:2 |
| დეპ. კუენსა-ნასიონალი | 1:1 |
| **პარაგვაი** | |
| 3 დე ფებრერო-სერო პორტენიო | 1:1 |
| ხენერალი-რუბიო ნუ | 0:1 |
| **პერუ** | |
| ლეონი-სან მარტინი | 1:0 |
| სპორტ ბოისი-უნ. პერუ | 2:0 |
| ალ. ლიმა-სესარ ვალიეხო | 2:1 |
| უნ. კომერსიო-სენსიანო | 3:1 |
| მელგარი-ხუან აურიჩი | 1:1 |
| სპ. კრისტალი-ინტი გასი | 0:0 |
| **ურუგვაი** | |
| ფენიქსი-სერო | 0:3 |
| პენიაროლი-დანუბიო | 2:1 |
| რამპლა-ელ ტანკე | 2:1 |
| სერიტო-რივერი | 0:0 |
| ლივერპული-დეფენსორი | 2:3 |
| ნასიონალი-სერო ლარგო | 4:0 |
| მონტევიდეო-რასინგი | 2:3 |
| რენტისტასი-ბელა ვისტა | 2:1 |
| **ვენესუელა** | |
| ელ ვიხია-ლანეროსი | 2:1 |
| ტუკანენი-ტაჩირა | 1:2 |
| სამორა-დეპ. პეტარე | 1:2 |
| ტრუხილანოსი-ესტუდიანტესი | 2:0 |
| იარაკუიანოსი-კარაბობო | 3:2 |
| **იაპონია** | |
| შიმიცუ-ურავა | 1:0 |
| კოფუ-ფუკუოკა | 2:1 |
| ჰიროშიმა-ივატა | 3:1 |
| ვეგალტა-ნიიგატა | 2:0 |
| კობე-კაშივა | 0:4 |
| იამაგატა-კავასაკი | 0:1 |
| იოკოჰამა-გამბა | 1:1 |
| კაშიმა-ნაგოია | 1:1 |
| ომიია-სერეზო | 0:0 |
| **ავსტრია** | |
| აკრონი-ზალცბურგი | 2:3 |
| ვილახი-კლაგენფიურტი | 0:3 |
| ზნოიმო-ვენა | 5:6 ბ. |
| ლინცი-ოლიმპია | 4:2 |
| გრაცი-ფეჰარვარი | 2:3 |
| **დანია** | |
| ჰვიდოვრე-ელფსბორგი | 2:3 |
| როდოვრე-ოდენსე | 2:3 |
| ფრედრიკშავნი-სონდერიისკი | 2:6 |
| ჰერლევი-ოლბორგი | 1:2 ბ. |
| **გერმანია** | |
| იზერლონი-აუგსბურგი | 3:1 |
| მიუნხენი-ჰანოვერი | 0:3 |
| დიუსელდორფი-აისბარენი | 2:3 ო |
| ინგოლშტადტი-ვოლფსბურგი | 4:2 |
| ნიურნბერგი-ჰამბურგი | 1:4 |
| შტრაუბინგი-კიოლნი | 1:4 |
| **ნორვეგია** | |
| რუსენბორგი-სტავანგერი | 1:3 |
| სტორჰამარი-ლილეჰამერი | 3:4 |
| მანგლერუდი-სტიორნენი | 4:1 |
| ვოლერენგა-სპარტა | 3:4 |
| **სლოვაკეთი** | |
| პოპრადი-სკალიცა | 5:6 ო |
| ნიტრა-ბისტრიცა | 1:2 |
| ტრენჩინი-მარტინი | 7:0 |
| სლოვანი-ჟილინა | 2:0 |
| ზვოლენი-კოშიცე | 1:3 |
| **ფინეთი** | |
| ჰიფკ-ბლუზი | 6:3 |
| ილვესი-ჰპკ | 3:0 |
| კალპა-ტაპარა | 5:1 |
| კერპეტი-იუვიასკიულა | 3:2 |
| ლუკო-საიპა | 4:1 |
| ტას-ესეტი | 1:4 |
| პელიკანსი-იოკერიტი | 4:3 ბ. |
| **ჩეხეთი** | |
| ბოლესლავი-ჟლინი | 3:4 |
| პარდუბიცე-ლიბერეცი | 5:2 |
| სლავია-კარლოვი ვარი | 2:1 |
| ტრშინეცი-ბრნო | 1:3 |
| ლიტვინოვი-ბუდეიოვიცე | 3:2 |
| კლადნო-სპარტა | 3:2 |
| პლზენი-ვიტკოვიცე | 4:3 ბ. |
| **შვედეთი** | |
| შელეფტეო-ტიმრა | 2:3 ბ. |
| ბრინასი-ჰვ71 | 3:1 |
| იურგორდენი-მოდო | 1:4 |
| ვაქსიო-ლინჩოპინგი | 2:4 |
| ფერიესტადი-აიკ | 1:2 ბ. |
| ფრიოლუნდა-ლულეო | 2:1 |
| **შვეიცარია** | |
| რაპერსვილი-დავოსი | 3:6 |
| ლანგნაუ-ლუგანო | 4:3 |
| კლოტენი-ამბრი | 2:3 ო. |
| ბრნი-ფრიბურგი | 3:2 ბ. |
| ცუგი-სერვეტი | 7:3 |

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **ევრობასკეტი** | |
| სლოვენია-სერბეთი | 72:68 |
| ლიტვა-საბერძნეთი | 73:69 |
| მაკედონია-რუსეთი | 68:72 |
| ესპანეთი-საფრანგეთი | 98:85 |

### ფრენბურთი

| | |
|---|---|
| **ევ. ჩემპიონატი** | |
| იტალია-პოლონეთი | 3:0 |
| სერბეთი-რუსეთი | 3:2 |
| პოლონეთი-რუსეთი | 3:1 |
| იტალია-სერბეთი | 1:3 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| მეტალურგი (ნ)-ამური | 1:3 |
| სკა-ცსკა | 4:1 |
| სპარტაკი-დინამო (მ) | 5:2 |
| მეტალურგი (მ)-აკ ბარსი | 2:4 |
| ს. იულიაევი-ნეფტიხიმიკი | 3:3 |
| ტრაქტორი-იუგრა | 4:1 |
| სევერსტალი-ტორპედო | 6:2 |
| დინამო (მნ)-ატლანტი | 2:3 |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **დევისის თასი** | |
| ნადალი-ცონგა | 6:0, 6:2, 6:4 |
| ვერდასკო-გასკე | 6:2, 6:1 |
| ჯოკოვიჩი-**დელ პოტრო** | 6:7, 0:3 უარი |
| **ტიპსარევიჩი**-მონაკო | 6:2 უარი |
| **WTA. ტაშკენტი** | |
| **პერვაკი**-ბირნეროვა | 6:3, 6:1 |
| **WTA. კვებეკი** | |
| ერაკოვიჩი-**ბ. ზახვალოვა** | 6:4, 1:6, 0:6 |

## TV პროგრამა

### 19 სექტემბერი. ორშაბათი

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** იტალიის ჩემპიონატი. III ტური. ნაპოლი-მილანი.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. VI ტური. ჰანოვერი-დორტმუნდი.
**14:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. V ტური. ტვენტე-დენ ჰააგი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. VI ტური. ლიონი-მარსელი.
**18:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. VI ტურის მიმოხილვა.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. V ტური. ბლექბერნი-არსენალი.
**21:00** გერმანიის ჩემპიონატი. VI ტურის მიმოხილვა.
**22:00** არგენტინის ჩემპიონატი. VI ტური. ლანუსი-ბოკა ხუნიორსი.
**00:00** ესპანეთის ჩემპიონატი. IV ტური. ლევანტე-რეალი.

#### GMG-სპორტი

**10:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ტულუზა-ბორდო.
**12:00** მხატვრული ტანვარჯიში.
**14:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. I წრე. დუბაი. საემიროები.
**18:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სიენა-იუვენტუსი.
**20:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. II წრე. დუბაი. საემიროები.
**23:30** რაგბი. საფრანგეთის TOP 14. II ტურის მიმოხილვა.
**23:55** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

#### HTB-პლუსი (სპორტი)

**04:30** ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. ნიუ იორკი-სენტ ლუისი (LIVE).

#### EUROSPORT

**12:00** ველოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები/იუნიორები. კოპენჰაგენი. დანია (LIVE).
**15:30** ველოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. დროზე განცალკეთებით რბოლა (23-წლამდელები). კოპენჰაგენი. დანია (LIVE).

#### EUROSPORT-2

**14:30** კრიკეტი. ჩემპიონთა ლიგა. Twenty20. საკვალიფიკაციო რაუნდი. ინდოეთი (LIVE).
**18:30** კრიკეტი. ჩემპიონთა ლიგა. Twenty20. საკვალიფიკაციო რაუნდი. ინდოეთი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი


კობი ბრაიანტი

# კობი ისევ ევროპაზე ფიქრობს

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერმა **კობი ბრაიანტმა** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ კვლავინდებურად განიხილავს ლოკაუტის პერიოდში ევროპაში თამაშის პერსპექტივას. შეგახსენებთ, რომ ზაფხულში NBA-ის ერთ-ერთი მთავარი ვარსკვლავი „ბეშიქთაშთან" აწარმოებდა მოლაპარაკებებს, მაგრამ თურქულმა კლუბმა ვერ დააკმაყოფილა მოთამაშის ფინანსური მოთხოვნები.

*„არ ვიცი, გაიმართება თუ არა NBA-ში 2011-12 წლების სეზონი. ასე რომ, გამორიცხული არ არის ევროპაში გადასვლა. ეს რეალურია"*, - ამბობს ბრაიანტი AP-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

■ ■ ■

ამასობაში, სასამართლომ „ლეიკერსის" ფორვარდ **რონ არტესტს** გვარის შეცვლის ნება დართო, - წერს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი. ამიერიდან, რონი ასეთი სახელით უნდა მოვიხსენიოთ - **მეტა უოლდ პისი** (Metta World Peace).

ადრე სასამართლომ უარყო 31 წლის კალათბურთელის თხოვნა, რადგან მას რამდენიმე საგზაო ჯარიმა ჰქონდა გადაუხდელი.

*„ჩემი სახელის შეცვლა მთელ მსოფლიოში ახალგაზრდობას გააერთიანებს,* - განაცხადა კალათბურთელმა. - *მოხარული ვარ, რომ მცირე პაუზის შემდეგ გვარის ოფიციალურად შეცვლის უფლება მომცეს".*

ახლა, მეტა უოლდ პისს მართვის ახალი მოწმობის აღება მოუწევს, ხოლო მის კონტრაქტს „ლეიკერსთან" ცვლილება არ ემუქრება.

● ჰოკეი

# კროსბი შეკრებას გაივლის


სიდნი კროსბი

ბოლო დღეებში კარგი ამბები შეიტყვეს კანადური ჰოკეის მთავარი ვარსკვლავის **სიდნი კროსბის** თაყვანისმცემლებმა. „პიტსბურგ პინგვინზის" კაპიტნის ერთ-ერთმა მკურნალმა ექიმმა რადიოეთერში განაცხადა, რომ ჰოკეისტი მზად არის ყინულზე კონტაქტური ბრძოლებისთვის. შეგახსენებთ, რომ კროსბი იანვარში მიღებული ტვინის შერყევის შემდეგ აღდგენით კურსს გადის, რომელიც დროში ძალიან გაიწელა.

*„სიდნი მზად არის კონტაქტური ბრძოლებისთვის. ამაში ის ჰოკეის ეროვნული ლიგის არც ერთ ჰოკეისტს არ ჩამოუვარდება,* - ამბობს TSN-სთან კომენტარში ფლორიდელი ექიმი **ტედ კერიკი**. - *ახლა მისი მწყობრში ჩადგომა დამოკიდებული იქნება ფიზიკური და სათამაშო ფორმის აღდგენის ტემპზე".*

თუმცა კლინიკა UPMC-ის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა გაკვირვება გამოხატეს ფლორიდელი კოლეგის ამ განცხადებაზე. კროსბი სწორედ ამ კლინიკაში მკურნალობს.

აგრეთვე ცნობილი ხდება, რომ „პიტსბურგის" ვარსკვლავი კლუბის საწვრთნელ ბანაკში მიიღებს მონაწილეობას. თუმცა ეს იქნება შემოკლებული პროგრამა - ფორვარდს მხოლოდ ტრადიციული წინასასეზონო სამედიცინო შემოწმებისა და მშვიდად სრიალის უფლებას მისცემენ. ჯერჯერობით ლაპარაკიც ზედმეტია კონტაქტურ ჰოკეიზე.

● ამბები

**კრივი**

## პაკიაო გაქურდეს

ლოს ანჯელესში მსოფლიოს საუკეთესო მოკრივის, ფილიპინელი **მენი პაკიაოს** სახლი გაქურდეს. ამერიკული პრესის ინფორმაციით, პოლიციამ უკვე დააკავა ოთხი ეჭვმიტანილი და ამჟამად დგინდება მოპარული ნივთების სია.

არაფერს წერენ ამ ფაქტთან დაკავშირებით პაკიაოს კომენტარზე, რომელიც ამჟამად სამშობლოში ემზადება მექსიკელ **ხუან მანუელ მარკესთან** შესახვედრად. ეს ბრძოლა 12 ნოემბერს ლას ვეგასში უნდა გაიმართოს.

**ჰოკეი**

## მფრინავებს პრონგერი დაუნიშნეს

„ფილადელფია ფლაიერზის" მცველი **კრის პრონგერი** კლუბის ისტორიაში რიგით მე-18 კაპიტანი გახდა. მომავალ სეზონში მისი ასისტენტები იქნებიან მცველი **კიმო ტიმონენი** და ფორვარდი **დანიელ ბრიერი**.

ახალი სეზონი რიგით მესამე იქნება პრონგერისთვის „ფილადელფიას" რიგებში. რეგულარული ჩემპიონატის 123 მატჩში 36 წლის მცველმა გუნდს 80 ქულა (14+66) მოუტანა.

„ფილადელფიას" წინა კაპიტანი იყო **მაიკ რიჩარდსი**, რომელიც ზაფხულში „ლოს ანჯელესში" გადავიდა.

● კრივი. სატიტულო ბრძოლა

# ბინძური ნოკაუტი

ამერიკელმა **ფლოიდ მეივეზერმა** სკანდალურ ბრძოლაში ნოკაუტით დაამარცხა **ვიქტორ ორტისი** და WBC-ის ვერსიით ნახევრადსაშუალო წონაში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ეს გამარჯვება ორმოცდამეორეა მეივეზერის კარიერაში - ის კვლავინდებურად დაუმარცხებელია პროფესიულ რინგზე.

თვის ბრძოლა სკანდალით დასრულდა, ხოლო ნოკაუტი, რომელიც მეოთხე რაუნდში დაფიქსირდა, სპორტული ეთიკის ნორმებს არ შეესაბამებოდაა.

ამერიკელების - ორტისისა და მეივეზერის ბრძოლა ლას ვეგასის MGM Grand Garden Arena-ზე გაიმართა. ბოლო წლებში საჩემპიონო შეხვედრებს დაწყებამდე სდევს ხოლმე სკანდალები, ხოლო დასასრული პროგნოზირებადია და ნოკაუტები თითქმის არ გვხვდება. მაგრამ აქ იყო ყველაფერი: სკანდალი, ნოკაუტი და დაპირისპირებულ მხარეებს შორის საქმის გარჩევა...

ვიქტორ ორტისი კარგად მომზადებული ხვდებოდა ამ ბრძოლას. ის საკუთარ თავში დარწმუნებული მოკრივის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ხოლო მისი მწვრთნელი **დენი გარსია** არწმუნებდა კრივის მოყვარულებს, რომ მეივეზერი ვერ გარისკავდა მის შეგირდთან ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმას და მაქსიმალურად მოერიდებოდა ორტისს.

*„ჩემი აზრით, ფლოიდი ბევრს ირბენს,* - განაცხადა გარსიამ. - *მართალია, ის საპირისპიროს ამბობს და გვპირდება, რომ მუდმივად ვიქტორის წინ იდგება, მაგრამ მაშინ როგორ აიცილებს თავიდან მეტოქის დარტყმებს? ის ბევრ დარტყმას გაატარებს. იგრძნობს ვიქტორის ძალას და უკან დახევა მოუწევს".*

მეივეზერი და მისი გუნდი მეტოქეზე არ ლაპარაკობდა. ფლოიდი მხოლოდ საკუთარ თავს აქებდა. ბრძოლის წინ ცნობილი გახდა, რომ ფლოიდი 25 მილიონს გამოიმუშავებდა, ორტისს კი მხოლოდ ორი მილიონი ერგებოდა.

ბრძოლის წინ ვებგვერდ Boxingscene.com-ზე გამოქვეყნდა თანამედროვეობის ცნობილი მოკრივეების პროგნოზები და ყველამ გამარჯვება მეივეზერს უწინასწარმეტყველა. კინაღამ ჩხუბი ატყდა აწონვის ტრადიციულ ცერემონიაზე, რაც მომავალი ბრძოლის წინ სიტუაციას კიდევ უფრო დაძაბულს ხდიდა.

დენი გარსიას პროგნოზი არ გამართლდა. მეივეზერს არ უფიქრია ორტიზისგან გაქცევა და რეგულარულად პასუხობდა მეტოქის შეტევებს. პირველი სამი რაუნდი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა: რთული იყო რომელიმე მოკრივისთვის უპირატესობის მინიჭება. თუმცა მეტოქეთა აქტიური მოქმედებისა და დარტყმების გაცვლის შემხედვარე ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ საქმე ქულებით გამარჯვებამდე არ მივიდოდა.

დადგა მეოთხე რაუნდის დრო და აქ ორტისი არასპორტულად მოიქცა - მეტოქეს თავი ჩაარტყა. დარტყმა მეივეზერს ტუჩში მოხვდა და სისხლი წასკდა.

რეფერიმ ორტისს ქულა ჩამოართვა, რის შემდეგაც ვიქტორი მოწინააღმდეგის კუთხეში მივიდა და ბოდიში მოიხადა. ფლოიდმა ბოდიში მიიღო, მაგრამ გულში ბოლმა ჩაიდო.

ბრძოლა გაგრძელდა. ორტისმა ისევ გაუწოდა ხელი მეტოქეს, რათა დარწმუნებულიყო, რომ ბოდიში მიღებულია. მეივეზერმაც დაადასტურა შერიგება, მაგრამ როგორც კი ორტისმა ხელები ჩამოუშვა და ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, მეივეზერმა მარცხენა ხელით უძლიერესი დარტყმა შეასრულა. გაკვირვებული ორტისი მსაჯს მიაჩერდა, იქვე მარჯვნიდან დარტყმა მიიღო და რინგზე დაეცა. ასე გახდა ფლოიდ მეივეზერი ნახევრადსაშუალო წონაში მსოფლიოს ჩემპიონი.

მეივეზერის გამარჯვებულად გამოცხადების შემდეგ, ორტისის გუნდი მეტოქის კუთხისკენ გაემართა, მაგრამ მასიური ჩხუბის თავიდან აცილება მოახერხეს. იქვე მეივეზერს მიუახლოვდა HBO-ის რეპორტიორი **ლარი მარჩანტი** და მოკრივეს ჰკითხა - ლამაზად მოიქცა თუ არა ის მეოთხე რაუნდში? რა თქმა უნდა, ფლოიდს ნორმალური პასუხი არ ჰქონდა. საბოლოოდ მარჩანტსა და მეივეზერს შორის კამათი წარმოიშვა, რომლის დროსაც მოკრივემ შეურაცხყოფა მიაყენა 80 წლის ჟურნალისტს. ამაზე მარჩანტმა უპასუხა - მინდა 50 წლის ახალგაზრდა ვიყო და მაშინ ყბას ჩამოგილებდიო.

*„საქმე მხოლოდ ფულში არ არის - სანახაობაც საჭიროა. მომავალშიც გავაგრძელებ მუშაობას იმათთვის, ვინც კრივს მხარს უჭერს. მეტოქეებს არ მოვერიდები.*

*თქვენ ნოკაუტის ნახვა გინდოდათ? ჰოდა, მიიღეთ კიდეც. თუ ორტისი მიიჩნევს, რომ მას ეს არ ჰყოფნის, ყველაფერს თავიდან გავიმეორებთ. მას ისევ ნოკაუტში ჩავაგდებ.*

*ვიქტორი საკმაოდ ჯიუტად მეწინააღმდეგებოდა, მაგრამ მე ჩემს ტაქტიკას მივდევდი და ყურადღებით ვუსმენდი მწვრთნელების კარნახს.*

*პაკიაო? მასზე მუდმივად ამბობენ, რომ ჩემთან ჩხუბი უნდა, ჩემზე კი იმას, რომ ყოველთვის ბრწყინვალე ვარ. მაგრამ ეს ყველაფერი წვრილმანია. მთავარია, რომ გამარჯვებული ყოველთვის მე გამოვდივარ"*, - თქვა ბრძოლის შემდეგ მეივეზერმა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**




ნოკაუტის წინ


ორტისის თავური